

ერთო პირველი-ცავი



ესტრელებით შაშნებები
ქართული წარსელი

ISBN 978-9941-0-7797-5

9 789941 077975

ეროვნული კულტურული

ეროვნული მუზეუმი
ქართული კრასი

თბილისი 2015

რეცენზია

რედაქტორი
ნათელა ჩაჩუა

ფერიკური რედაქტორი
ალექსანდრე კუზანაშვილი

ოპერატორი
ლია დარბაძე

გამომცემლობა
„სვეტი +“

ევროპამ აუცილებლად სხვა მგრძნობელობით უნდა წაიკითხოს საბჭოური მოთხოვნა, უპირველესად კი ლეო ქიაჩელის „პაკი აძბა“, რათა პოსტსაბჭოური ქვეყნების თავისთავადობასა და ღრმა სულიერ შრეებს ჩასწვდეს, რათა უფრო კარგად მიაწვდინოს მზერა იმ ადამიანთა სიბრძნის ნიშნულს, რომელებმაც ტოტალური ყოფის წიაღში დაბადებული შიშის სინდრომით გალიეს რამდენიმე ათეული წელი... ამგვარმა ყოფამ მათ ფიქრს სხვა სილ-რმე, ხოლო მზერას სხვა შუქი მისცა.

„დღეს ერთი ცნობა, ხვალ ძმობა“... ევროპასთან გადებული ხიდის ერთი ბურჯი მყარად დგას პოსტსაბჭოური ქვეყნის საბჭოურ მოთხოვნაში, რომელიც ევროპული სულისკვეთების მწერლის ნაფიქრ-ნააზრევია.

დ. კლდიაშვილის ევროპა პროექტორივით ანათებს ავტორის მიერ განხილული „სამანიშვილის დედინაცვლიდან“ და პაოლო იაშვილის ლექსიდან „პირამიდებში“. საჭიროა, ჯერ ქართველობამ შეიმეცნოს ამ შუქით თავის თავი და მერე ევროპამ.

ქ. თბილისის მე-10 საჯარო სკოლის
მასწავლებელთა კოლექტივი

ნინასიტყვაობა

კლასიკური თხზულებები მხოლოდ ანალიტიკური „კრეჭით“ თუ მიაღწევს მკითხველის გულამდე, ამიტომაც ქართული ლიტერატურის შესწავლის პროცესი ერთად ფიქრის აუცილებელი პირობაა.

როგორც დეკორატიულ ბუჩქს ბალებში სჭირდება მუდმივი მზრუნველობა უსახურ ხედ რომ არ გადაიქცეს, რომელიც არც ხეს ჰგავს და ვერც ბუჩქის მოვალეობას ასრულებს, ასევე ელიან კლასიკური ქმნილებები გულით და გონებით წამკითხველს. მკითხველს, რომელიც საჭირო კითხვას თავისი სხეულით და სულით მიაგნებს.

რეალური ცხოვრება აშავებს და აზიანებს აზროვნების სტრუქტურებს, კლასიკური ლიტერატურა კი რწმენით და სიყვარულით ავსებს ადამიანის გულს. ასეთ გულს აქვს დიდი განძი – თავისუფლება, რომელსაც ხელებიფება საკუთარი თავის აგების აქტი. მხოლოდ სწორმკიხთველთა თაობა შეძლებს სახელმწიფოებრივ აზროვნებას, რომელიც ჰაერივით სჭირდება ჩვენი ქვეყნის ტიტულოვან ერს – საქართველოს.

მწერალი სიტყვაა, რომელშიც გაცხადებულია რაობა არსისა. მწერალი მწერია, მართლაც უღონო, ბუნებაში თითქოს უმნიშვნელო სიცოცხლე, მაგრამ მას შეუძლია დაავადებების გადატანა, დამტვერვაც, რომლის შედეგადაც ახალი სახის ნაყოფს იძლევა ხე ზოგჯერ უკეთესს, ხან იქნებ უარესსაც. იგივე რაობით დადის, დაფრინავს აზრებში ადამიანთა ცხოვრებაში მწერალი. იგი ფიზიკური მოძრაობითაც, კალმის რხევით წერის დროს, წააგავს მწერის ვითომდა უვნებელ მოძრაობას. ვითომდა უვნებელს-თქმ იმიტომ ვპედალირებ, რომ ორივე არსს

შეუძლია ადამიანის მოკვდინება რამდენიმე წუთში.

რა არის მიზანი მწერლისა?

უმრავლეს შემთხვევაში კეთილშობილი – გამოასწოროს ცხოვრება უკეთესობისაკენ, მიღრიკოს მკითხველი სიკეთისაკენ. იშვიათ შემთხვევაში კი მწერალს შეფარულად ან შეუფარავად ბოროტი მიზნებიც შეიძლება ამოძრავებდეს, რომლის მხილება აუცილებლობას წარმოადგენს.

მკითხველი წაიკითხავს, შეისწავლის, გაიხარებს საზრისის მიგნებით, მაგრამ მის ირგვლივ ცხოვრების შეცვლაზე, გამოსწორებაზე თუ არ იზრუნა, თუთიყუშის სილამაზის და ნიჭიერების განზომილებით ივლის ცხოვრებაში. ეს აზრი იკითხება ლ. გუდიაშვილის 1953 წელს გუაშით შესრულებულ სურათში „პოემის დასასრულის მოლოდინში“. მხატვარს მარცხისთვის განწირული – თუთიყუში ფართოდ გადაშლილი წიგნის მარცხენა მხარეზე დაუხატავს, და არც თუ შემთხვევით, კიბის მეხუთე საფეხურზე შემოუსკუპებია. შემოქმედის თანადროულ საქართველოში მეტი ასპარეზი მკითხველს ნამდვილად არ ჰქონდა, ამიტომაც ინტელექტუალური ხედვის ამ განსაკუთრებულ მოდელში დაგვანახა სიმართლე.

სიმართლე შემოუსკუპებია მხატვარს კიბის პირველ საფეხურზეც. თეთრი კატა მაღლა იყურება, ძეხვი არ-სად ჰქიდია, მაგრამ ეტყობა იცის, რომ კატანომიკის გზამ ამ კიბის საფეხურებზე უნდა გაიაროს, რომ ყოჩალობით ახტეს და ძეხვს შესწოდეს.

სურათი სხივმფინარებს ნაირგვარ ინტელექტუალურ ჭრილებში. ლადო გუდიაშვილი თავისი შეგრძენებით სწვდება ჭეშმარიტებას, ამიტომაცაა, რომ ტოტალიტარულმა რეჟიმმა ვერ მოახერხა მისი აზროვნება ტყ-

ვეობაში მოექცია.

თუთიყუშთა ხუთოსნობამ და კატის კატანომიკამ უკვე გალია გზა განათლებაში. თუთიყუშისებრთა და კატისებრთა ცნობიერებამ შექმნა არასრულყოფილი ყოფიერება.

სახელმწიფოებრივი განათლება იმ ნიშნით ფასდება, რა ძალითაც ის ახერხებს სინედლით აცხოვროს კლასიკოს მწერალთა შექმნილი ცნობიერება, რამდენად საჭიროა ეს ცნობიერება აქ, ახლა, ამჟამად და რამდენად ერწყმის ის ყოფიერებას.

დავით კლდიაშვილი

„სამანიშვილის დედინაცვალი“

კითხვები, რომელიც აქამდე არავის დაუსვამს

1. „სამანიშვილის დედინაცვალი“ – ასე დაასათაურა დ. კლდიაშვილმა თავისი ერთ-ერთი მოთხრობა. ნანარმოებში სამანიშვილის დედინაცვლისთვის სწორედ რომ მშვენიერი სახელი შეურჩევია ავტორს – ელენე. რატომ არ დაარქვა ეს სახელი მოთხრობას, ან თუნდაც პლატონის დედინაცვალი?

დავით კლდიაშვილს მოთხრობისათვის ელენე რომ დაერქმია, მაშინ ყურადღება გამახვილებული იქნებოდა მხოლოდ დედინაცვალზე. იუმორისტულად მოთხრობილი ტრაგედიის მთავარი დამნაშავე კი მაინც პლატონი უფრო იყო, ელენე უნებლიერი დამნაშავე ხდება იმიტომ, რომ ბიოლოგიური ქალური სრულყოფილების მატარებელი ყოფილა. ტროას ომი (პომეროსის „ილიადა და ოდისე“) ელენეს გარეგნულმა მშვენიერებამ გამოიწვია. პლატონისა და ბეკინას ომის მიზეზი კი ელენეს მდედრული ნაყოფიერებაა, რომელსაც მშვენიერებად არ აღიქვამენ არსებობისათვის ბრძოლაში ჩაბმული მამა-შვილი. ელენეს მოსალოდნელ „მშვენიერებას“ სამხიარულოდ აღიქვამს კირილე მიმინოშვილი: „... მარა, რომ ეყოლოს კაცო შვილი? რომ ეყოლოს?“ „რა არის ახლა ასეთი სულელური ჩაცივება?! – შეუტია კირილეს დარიკომ“.

ელენეს, მართლაც, რომ ბიოლოგიურმა მშვენიერებამ დაანგრია მამა-შვილს შორის ადამიანური ურთიერთობა-დამოკიდებულებანი. „ბიჭო, თქვენში შებრალება

არ იციან?”, – საყვედურობს გაოგნებული ბეკინა შვილს. „მე შემიძრალა ვინმერ?”, – პასუხობს პლატონი. პლატონი სამანის შვილი უფროა, ვიდრე ბეკინასი. სამანის შვილობა ანგარიშიანობაზე აგებული კანონებით მოქმედებას გულისხმობს. (სამანი, საზღვარი)

მამის არ შემცოდე კაცს მხოლოდ მოტივაციური გვარით მოიხსენიებს სათაურში დ. კლდიაშვილი. სახელი გვარს შეაფარა, რაშიც ფრიად დაკვირვებული მკითხველი მეტად მკრთალ ანტიპატიური შეფერილობის ავტორისეულ მიმართებას შენიშნავს.

2. როგორ მიგაჩნიათ მოთხრობის მთავარი გმირის სახელი – პლატონი, პაროდიულია თუ არა? (ორივე შემთხვევაში დაასაბუთეთ ტექსტუალური ჭრილიდან მოხმობილი ადგილებით).

პლატონი ძველი ბერძენი ფილოსოფოსის სახელია და ამიტომ მას გვახსენებს უპირველესად. პლატონი ქართველი კაცის სულსა და გულში ხმიანობს შოთა რუსთაველისაგან აქცენტირებული ღირებულებებით: „სიცრუე და ორპირობა ავნებს ხორცსა, მერმე სულსა.“

მოთხრობაში პლატონი არსად ცრუობს, არც ორპირობს, მაგრამ სახელი პლატონი მასთან მიმართებაში პაროდიულია. პაროდიულია იმიტომ, რომ ფილოსოფოსი პლატონი ავტორია იდეალური სახელმწიფოს მოდელისა. ასეთ რამეზე რომ იფიქროს ადამიანმა, საკუთარ თავში უნდა შეაჩეროს მსოფლიო ტრიალი და უმწეოების დახმარებაზე იფიქროს. ამაზე პლატონი საერთოდ არ იწუხებს თავს, პირიქით, ივანე გვერდევანიძის აზრებს იზიარებს, ოჯახების შვილებით ავსება უბედურებად მიაჩნია. „მადლიანს თითო-ოროლა შვილი დეეკლო, ამით მაგიერათ სარჩო მიემატებია, ის არ აჯობებდა? ... ნამ-

დვილი სიტყვა გახლავთ რასაც ბრძანებთ, – ამოიოხრა პლატონმა.“

3. როდის შეამჩნიეთ პლატონს სულიერი რღვევა პირველად?

პლატონის მოსალოდნელი სულიერი რღვევა მკრთალად, მაგრამ მაინც იგრძნობა ცოლ-ქმრის საქციელში. ცოლ-ქმარმა გააორკეცეს მოხუცებული მამის პატივისცემა და მოვლა; ორივენი გაფაციცებით თავს დასტრიალებდნენ დაქვრივებულ ბეკინას და თავგამოდებით ემსახურებოდნენ, თვალებში შეჰყურებდნენ, მაგრამ პლატონის ჭეშმარიტი სულიერი რღვევის დასაწყისი მაინც ივანე გვერდევანიძესთან შეხვედრის პირველი წამებია: „უეცრად ფეხის ხმა მოესმა პლატონს; მოიხედა უკან და უკმაყოფილებით პირი ისევ გამოიბრუნა, ვიღაც ხანში შესული კაცი მოათოხარიკებდა **მაღალ ცხენს... მასახლა ყოველი მოხუცებული კაცის დანახვა ეჯავრებოდა თავისი მამის გამო.**“

პლატონის თვალით დანახულ პორტრეტში სახასიათო შტრიხები: ჩასუქებული, წვერმოპარსული, კოზიროკქუდიანი, ქოლგით იღლის ქვეშ, წითური სახის კაცი, იმ კუთხეში ცნობილი სახელის მქონე აზნაური. პლატონის აზნაურული თავმოყვარეობის სურვილი უთუოდ იყო მაღალ ცხენზე მჯდარიყო. პავლია ღომიაშვილის ზურგგადატყავებულ „ბედაურს“ ფეხა-ფეხა ადევნებულ პლატონს ამიტომაც ეჩინიება თვალში გვერდევანიძის ცხენის სიმაღლე, გამოპრანჭულ-გაწკეპილი იერი და ცნობილი სახელი.

პლატონის პორტრეტი არსად წარმოუდგენია დავით კლდიაშვილს, მაგრამ მკითხველის გონებაში მაინც ილადება მისი სახე. პლატონი „გულმოდგინებით ურტყამდა

თოხს მიწას“, მუშაობით გათანგული უთუოდ გამხდარია, ხშირად ალბათ წვერმოუპარსავი და ა. შ. მისი სახე ივანეს პორტრეტული შტრიხების ანგიპოდში წარმოიდგინება.

ოჯახის რჩენის ჭაპანწყვეტაში საქმით და ფიქრით ქანცგაცლილ პლატონს კაცომძულვარება შეჰპარვია, სულიერი რღვევაც პირველად სწორედ იქვე იგრძნობა.

4. პლატონი სიტყვაძუნი ადამიანია საზოგადოდ, მა-გრამ ხანდახან მოდის ხოლმე ის ლაპარაკის ხასიათზე. რითა განპირობებული პლატონის მჭევრმეტყველება?

„ნამეტან უსაშველობაში ვართ ჩავარდნილი და გასაკვირველია, რომ კიდევ ასე ხალისიანად ვართ, არაფრად ვაგდებთ ყორიფელს, ... მარა თავს თუ არ მივეძალეთ, გული არ შევიმაგრეთ, სულ წავხდებით ბატონი, სულ ერთიანად და ის იქნება! – მჭევრმეტყველებამ გაიტაცა პლატონიც, თავისი ენაწყლიანი მოსაუბრის ნაყურები“.

„ტკბილად მუსაიფობდნენ ჩვენი მგზავრები და ამ ლაპარაკში დრო შეუმჩნევლად გადიოდა და გზაც ერთობ მოკლდებოდა“.

„პლატონი ერთობ კარგ გუნებაზე დადგა... რამდენ-იმე ხნის შემდეგ მოსალხენად გამზადებული ვახშმის სუფრას მიუჯდა და მხიარულად ელაპარაკა სალომეს, შემდეგ ვერიჩებას სიმღერაშიც მხარი მისცა, შეუერთდა საზოგადო ყიუინას, გულმოდგინედ სცლიდა ყანწს ყან-წეე.

ავტორისეული შეფასება „მჭევრმეტყველებამ გაიტაცა“ ფრიად ირონიულია. ორნაქმარევი უშვილო დედაკაცის გამოჩენა გაახალისებს პლატონს და ლაპარაკის ხა-სიათზე დააყენებს. შავბნელ ფერებში აღარ ესახება მო-მავალი, რაკი შეიტყო, რომ ასეთი ქალი არსეობოს. **ამით ავტორმა იმაზე მიგვანიშნა, რომ თუ არ არსებობს იმედი,**

ადამიანს მეტყველების უნარიც ერთმევა.

5. ჯიმშერ სალობერიძის ოჯახი

ა) რატომ ამოქრა ცხოვრებისეული რეალობიდან დ. კლდიაშვილმა შეჭირვებული ადამიანები მრავლად, დალხინებული კი მხოლოდ ერთი – ჯიმშერ სალობერ-იძე?

ბ) „თვით კარგი მოლაპარაკე, სხვასაც ენა ამოედგ-მებოდა და ლაპარაკის ხალისი ემატებოდა“, – გვამცნობს ავტორი. რითაა საყურადღებო მკითხველისათვის ავტო-რის მიერ აქცენტირება ლაპარაკზე?

გ) ჯიმშერის ოჯახში ფიგურირებს ჩაი, კირილეს კონფლიქტი ჩაისთან.

აზნაურთა სიღარიბის რასაკვირველობის აქცენ-ტირებისათვის ამოქრა ცხოვრებისეული რეალობიდან შეჭირვებული ადამიანები მრავლად, დალხინებული კი მხოლოდ ერთი, თუმცადა ავტორი იმასაც აღნიშნავს, რომ ის ერთადერთი არ იყო. დავით კლდიაშვილმა შე-ძლებული მხოლოდ ერთადერთი ოჯახი უთუოდ იმიტომ წარმოაჩნია, რომ ზედმეტად ფოკუსირებული დაკვირვე-ბის ობიექტი გამხდარიყო ეს ოჯახი მკითხველისათვის.

მოდით და ინტელექტუალური ლუპი გადავატაროთ ამ ოჯახის ცხოვრების სხვადასხვა მომენტებს. მწერალი ჯიმშერის დახასიათებისას ხმარობს სიტყვებს **გონიერო, შეგნებული** და იქვე ავტორისეული დასკვნაც გახსნილად ხმიანობს: „ეგ იყო მიზეზი, რომ მის ღვარში ყოველივე თავ-თავის რიგზე იყო“. ოჯახის წარმატების მიზეზად იმასაც ასახელებს, რომ მის ღვარში უსაქმურს ვერ ნახ-ავდით, შვილებისთვის სწავლა არ დაუკლია. „ცოცხალი გონების პატრონს – ჯიმშერს საინტერესოდ ჰქონდა

ყოველივე საზოგადო საქმე და მის ახლოს ყოველთვის გესმოდათ ამნაირ საქმეებზე სჯა-ბაასი, თვით კარგი მოლაპარაკე, მასთან სხვასაც ენა ამოედგმებოდა ხოლმე და ლაპარაკის ხალისი ემატებოდა. შეძლებით ღონიერს, პურადს, სტუმართმოყვარეს, თითქმის ყოველდღე სტუ-მარი ჰყავდა: ვინ მოსალაპარაკებლად მოდიოდა, ვინ რჩევის საკითხავად, ვინ შემწეობის სათხოვნელად, ვინ ისე ტყუილა, სანახავად, რომ მეგობრული კავშირი არ გაეწყვიტა ამ კაცთან. მეტადრე ყმაწვილკაცობას უყ-ვარდა სალობერიძისას თავის მოყრა: აქ მათ ხვდებოდათ მიმღები მასპინძელი, რომელმაც მათი აყოლა იცოდა, რომელთანაც თავისუფლად, უდარდელად, მასხარაობდ-ნენ, ოხუნჯობდნენ, ენამახვილობდნენ და სიამოვნებით ატარებდნენ დროს ამ ენამახვილიან და ხალისიან მოხ-უცებულებთან.“

ესოჯახი ზეპირია აზროვნების სივრცეა. აზრის დაბადე-ბა ხდება იმ იშვიათ შემთხვევაში, როცა ვლაპარაკობთ. ამ ოჯახში ინტენსიურ კონცენტრაციაში მსჯელობებში ჩნ-დება სიცოცხლის ნაპერწკალი – საღი აზრი.

ჭეშმარიტია, თუ არ არსებობს იმედი, ადამიანი პირ-ით უტყვი ხდება, ენანართმეული მიემონმება ცხოველს, კარგავს ბუნებაში მხოლოდ ადამიანის შესაძლებლობას – მეტყველებას და ცხოველივით იბრძვის ფიზიკური არ-სებობის გადარჩენისათვის. სწორედ ამიტომაცაა, რომ ნიჰილისტურად განწყობილი საზოგადოება დაავადებული სხეულია, მასში ნაკლებად მყოფობს სულიერება, იგი მა-ტერიისთვის უფრო იბრძვის. ასეთ საზოგადოებას სუ-ლიერება გამომეტყველებისთვის, თანადროული ტერმინი რომ ვიხმაროთ, იმიჯისათვის ჭირდება მხოლოდ.

1. გასათვალისწინებელია – მსჯელობებში ჩაბმულია უფროსი და უმცროსი თაობა.

2. თაობებს შორის პორიზონტალური ურთიერთო-ბაა. ჯიმშერმა იცოდა ახალგაზრდების აყოლა, ახალ-გაზრდებიც თავისუფლად ოხუნჯობენ, მასხრობენ (თაო-ბებს შორის კავშირი რა პირობებში მყარდება სრულადაა ასახული).

3. სიცოცხლის ნაპერწკალს – საღი აზრს ბადებს ერთ-მანეთის თანაგანცდა, სიყვარული, პატივისცემა.

ჯიმშერი ასეთი არსებობის ხდომილებებში შემდ-გარა, ჩამოყალიბებულა გონიერ, შეგნებულ კაცად. კა-ცური ცეცხლი მოსდებია – დაეხმაროს საქმით, აზრით, მასთან ოჯახში მისულ ადამიანებს. შესაფერისი სახელ-იც შეურჩევია დ. კლდიაშვილს მისთვის დარბაისლური ტონი რომ მუსიკობს ამ სახელის წარმოთქმისას და სახის მიმური გამომეტყველებაც შესაბამისად სერიოზულია.

შეჭირვებულ ადამიანთა სიმრავლე, შეუფერადე-ბელი სიმართლე – ობიექტური რეალობა იყო, მაგრამ სიმართლე არ იყო დალხინებული ოჯახის ერთადერთო-ბა. ასეთი მიმართებით ავტორი ხაზს უსვამს ადამიანის ძლიერებას. ყველა მარცხდება, მაგრამ მაინც არის ერთი გამარჯვებული, სოფოკლეს სიტყვებით რომ გამოვხ-ატოთ: „ქვეყნად ესოდენ მრავალია არსი ძლიერი, ადამი-ანზე ძლიერი კი არაფერია“

შეჭირვებულ ადამიანთა გადარჩენის გზა სალობერ-იძის ოჯახზე გადის, იქ იკრიბებიან, იქ მსჯელობენ, იქ თანაგანცდაა, სიყვარული, პატივისცემა, აზრიც ამიტომ იბადება საღი. საღი აზრი ყოველგვარ შეჭირვებას დაგა-ძლევინებს. დ. კლდიაშვილმა სალობერიძეთა ოჯახი თავ-ისი ერთადერთობით, ქრესტომათიული მიმზიდველობით

ააბრჭყვიალა, რითაც მისი სურვილი იყო მათაც საინტერესოდ ჰქონოდათ ჯიმშერივით ყოველივე საზოგადო საქმე.

მოთხოვთ ძირითადი ხაზი პლატონის პერსონაჟის ფსიქოლოგიური რღვევის პროცესის ჩვენებას ემსახურება. ეს პერსონაჟი ჯიმშერის ოჯახში ხვდება სტუმრად, მაგრამ იგი თავისი სირცხვილ-ტკივილის ღიაობით კირილემ გააშიშვლა თავისი როყიო ხუმრობით, თვითონ პლატონი კი ყველა ხერხებით თავს იმაღავს. პლატონმა მხოლოდ ფიზიკურად შეარღვია ჯიმშერის ოჯახი, შინაარსობრივად კი ვერა, ამიტომ მისი ფსიქოლოგიური რღვევა სრულ მეტამორფოზამდე მივა. ამიტომაცაა, რომ პლატონი ავტორისეული შეფასებით ასეთ ნიშაში ამოყოფს თავს: „ეს კაცი, რომელსაც წინანდელი მწუხარებაც ეყოფოდა, ამ ახლად გადახდილი უსიამოვნების შემდეგ, მეტად გამწარებული იყო. ამიტომ ისეთნაირი კილოთი ლაპარაკობდა, სწორედაც შეეცოდებოდა კაცს, რომ თვით ამბავი სასაცილო არ ყოფილიყო.“

...

ჯიმშერის ოჯახში მიირთმევენ ჩაის და ღვინოს. ღვინოს დროსტარების, გართობის მოყვარული კირილე ითხოვს: „მაგ ჩაის რომ დააცუნცულებ, მაგის მაგივრად, შექალო, ერთი ბოთლი ღვინო შემოიტანო, ის სჯობია, ჩემო ვერიჩეა.“

ჩაის სიამოვნებით უსხედან ისინი, ვინც საზოგადო საქმეებზე მსჯელობენ. კირილე საზოგადო ფიქრებისკენ არ მიუდის გონება, ამიტომაც კონფლიქტშია ჩაისთან.

როგორ გააშინაარსებო მოთხოვბაში ავტორის სახელ-დებულ მოტივაციურ გვარებს, გნებავთ სახელებს.

შეეცადეთ წარმოაჩინოთ შეფარული შინაარსები.

პლატონ სამანიშვილი – სამანი – საზღვარი.

ანგარიშიანობაზე აგებული ცხოვრების კანონები მისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანს ხდის საზღვარს, რაც საბოლოოდ აკარგვინებს ადამიანის მორალურ სახეს.

კირილე მიმინიშვილი – მიმინო ბრდლვნის ჩიტებს

კირილეს არ უჭირს ჩიტივით გაბრდლვნას პლატონის თავმოყვარეობა სალობერიძეების ოჯახში. არც სხვათა დამცირება-შეურაცხყოფაზე იხევს უკან. სახელი კირილე მსუბუქი, თითქოს მხიარული ფლუიდების შემცველი განწყობილებით ხმიანობს, მისი წარმოთქმისას სახე ღიმილის გამოსახატავად ემზადება თითქოს.

დარიკო – კირილეს ცოლი

„ეს-ესა ცხენზე შეჯდა, რაღაც საქმე მაქვსო და წევიდა. გამიქრა ხელიდან... ვერ დავამაგრე სახლში... დაყანყალობს ასე ტყუილუბრალოდ რა მოვუხერხო, აღარ ვიცი... გამიჭირდა საქმე!“ – შესჩივლებს დარიკო თავის ძმას – პლატონს; მაგრამ მიუხედავად ყოველივე ამისა დარიკოს სახლში მაინც დარია, ოჯახური ჩხუბი და არეულობა არ ხმიანობს. ამიტომაც დაურქმევია კირილეს ცოლისთვის **ასეთი საალერსო სახელი – დარიკო.**

ივანე გვერდევანიძე – ვექილობს, ფიზიკურად არ მუშაობს, ჩასუქებულია, ეტყობა კარგი გაგვერდილია. გვერდზე წამოწლილი თვალყურს ადევნებს სხვათა ცხოვრებას.

ბეკინა – ამ სახელში ბეკეკას კიკინი ისმინება – ბეკეკინა

თავისას კიკინებს, თავი მდიდრებში **მოაქვს და ცოლის თხოვა იმპერატიული გადაწყვეტილებაა.**

ბრეგაძეები – სამი ძმანი არიან. მათ თავმოყვარებას, მართლაც, ისეთი ხმაურიანი ბრეგა გახდა, რომ მათი ოჯახის ამბეჭს რამდენიმეჯერ ვისმენთ სხვადასხვა პერსონაჟის მონათხობიდან, მათ სტუმრისაც კი ეშინიათ, იმალებიან.

არისტო ქვაშავიძე – შავი ქვა ადევს მის ღირსებას. სახლში ეპატიუება სტუმარს, მისი დახვედრის შეძლება კი არა აქვს და ნათლიმამის ოჯახში მიჰყავს ყაზახისას საქეიფოდ კოტე ბალდავაძე.

კოტე ბალდავაძე – ჭრელ ბალდადზე გაშლილ სუფრას ასდევნებია კოტე და ერთი დაპატიუებით „გაბრიყვებული“ ესტუმრება არისტოს.

სალობერიძე – თითქოს ფუძეში ისმინება სიტყვა სალბი

სალბი მცენარეა, რომლისგანაც მზადდება მალამო. **სალობერიძის ოჯახი, მართლაც, მალამოა ფიზიკური არ-სებობისათვის ბრძოლაში გადალლილი ადამიანებისათვის.**

სალომე – სალომეს ოჯახი სალონურია, იქნებ ამიტომ მოუძებნა ეს სახელი

აშკარაა, რომ მოტივირებულ გვარებსა თუ სახელებში პერსონაჟის ხასიათია გახსნილი.

რა მიზანს ემსახურება ღრმად შეფარული შინაარსი მოტივაციური სახელებისა.

თავად დავით კლდიაშვილს ძალიან უყვარდა ცხოვრებასთან ბრძოლაში დამარცხებული ღირსებადაკარგული ადამიანები – თავისი მოთხობის გმირები. მწერალი ისეთი ნიჭიერებით უყვება მათ ისტორიებს მკითხველს, რომ მოთხობის გმირები უყვარდება მკითხველსაც. თვითონ

რომ არ ყვარებოდა ავტორს, ჩვენ ვერ შეგვაყვარებდა. ადვილდასანახია, დიდ ჰუმანისტს ჰქონდა მიზანი თავისი მკითხველიც ისეთივე დიდი ჰუმანისტი ყოფილიყო... და კიდევაც გახადა. მის პერსონაჟებს სიხარულით უსმენენ, მათთან შეხვედრა უხაროდათ, უხარიათ ყველა თაობის ადამიანებს წიგნში, თეატრსა თუ კინოში და მის კვალობაზე პროტოტიპები თვით ცხოვრებაშიც კი.

დავით კლდიაშვილს, როგორც მწერალს, ღირსებაულირსობასთან თავის მიმართება სადღაც მაინც უნდა გამოეხატა, სწორედ ამ გამოხატულებისათვის სჭირდებოდა მოტივაციური სახელები, რომელთა შინაარსი ისე ღრმად შეაფარა, რომ მრავალი თაობისათვის ვერ გახდა საცნაური. სამაგიეროდ, ზედაპირზე აატივტივა განწყობილება, რომელიც მუსიკად იღვრება მკითხველში გვარებიდან: მიმინდვილი, ქვაშავიძე, ბალდავაძე, შაფათაძე, გვერდევანიძე, სამანიშვილი, ბრეგაძე.

რა არის ამ მოთხობის უმთავრესი სათქმელი?

მოთხობის უმთავრესი სათქმელია გიყვარდეს დამნაშავე ადამიანი.

უპრიანი იქნება ჩავთიქრდეთ, რატომ ვერ გააფერმკრთალა დრომ დავით კლდიაშვილის პერსონაჟები ?

დავით კლდიაშვილმა თავის ლიტერატურულ გმირებთან სიახლოებში ადამიანი მრავალმხრივ გაანიჭიერა. იწყებ მაგალითად „სამანიშვილის დედინაცვლის კითხვას: „ბეკინა სამანიშვილი, რასაკვირველია, ღარიბი აზნაური იყო, გვარიანი ღარიბიც. აბა რა სიმდიდრეს მოასწავებდა...“ I-II აბზაცი მწერალი-მთხობელის ინტონაციური სიდინჯით იკითხება წმინდა ლიტერატურული ქართულით, მაგრამ, საკმარისია, პერსონაჟი ალაპარაკდეს, უმალ ტუჩი დიალექტური მუსიკალური

მელოდიით იწყებს მოძრაობას, როგორც მსახიობი ირჩევ ხმის ტემპრს და სიტყვის წარმოთქმის მოდულაციას სპონტანურად არეგულირებ. თუ მხატვრული ნიჭიერება მყოფობს მკითხველში წარმოსახვამ შეიძლება ტანსაც-მელი ჩაცვას მას, მოქმედების გეოგრაფიული გარემოც კი შეარჩევინოს. იმ შემთხვევაში, თუ მკითხველი მელო-მანია, მუსიკა ბუზივით მოფრინდება „ბალდადიდან“.

საკუთარი თვალით დანახული ცხოვრებისეული რე-ალობები მოხვდება რა მწერლის გულს, საკუთარი გუ-ლიდან იბრძვის ენობრივი სალაროდან ლარივით სწორად შერჩეული სიტყვით შეატყობინოს სიმართლე მკითხვე-ლის ყურს და ის თვალი ჩაუდგას სიტყვამ, ცხოვრებაში სასიარულოდ მის ურემს თვალად რომ გამოადგება და შეუფერხებლად ატარებს.

ცხოვრების გზას სისწორით დიდი მწერლები გაჰყურე-ბენ, ადამიანი კი გზას მხოლოდ მაშინ უსწორებს თვალს, თავისი ან სხვისი ურემი რომ გადაბრუნდება, ამიტომაც შეყენებულა ქართული სიტყვების შემაწვნებული აზრი ქართულ ანდაზაში: „ურემი რომ გადაბრუნდება, გზა მა-შინ გამოჩნდებაო“.

გზა ბზით, მწვანით მაშინ შეიმოსება, თუ მწერალს ძალუძს გახადოს იგი კითხვისას გრძნობის გრძნეულებით მხატვარი, მუსიკოსი, მსახიობი წარმოსახვაში. ამის შემ-დეგ მკითხველი საკუთარი სხეულის, სულიერი მდგო-მარების მოცემულობებიდან აჩრდილებს თხზულებაში თავისთვის საინტერესო წერტილებს, საიდანაც მოედი-ნებიან კითხვები და ადამიანი ხდება ყურით მხედველი – მაყურებელი. ასეთი მაყურებელი ყურით რებს, მირ-ბის მწერლის გულისაკენ ცხოველის რებით, ცხოვრების მისნაირი გაგება-აგებისაკენ. სიძნელე ამ გზაზე იმაში

მდგომარეობს ქვეცნობიერი დრეკილობა და მისწრაფე-ბები მკითხველისა საითკენ იხრება: აიშენოს დიდი სახლი მატერიაში ე. ი. აჯობოს ცხოვრებას გვერდევანიძესავ-ით, თუ უხილავი სულიერების მძივი ააგოს სალობერიძე-სავით. ორივე ტიპის მკითხველი თავის პასუხს მოქებნის დავით კლდიაშვილთან, მაგრამ მწერლის გულამდე მხ-ოლოდ საეროდ ბალანსირებული კაცი სულიერება-ხორ-ციელებაში ცრემლიანი სიცილით მიაღწევს.

ასე იკვრება წრედი სისხლის მოძრაობისა მწერალსა და მკითხველს შორის, სადაც მწერლის ზოგად, ყველა-სათვის მისაღებ აზრს ჯარად უდგანან ადამიანები. ასეთი წრედის შემკვრელ მწერლებს კლასიკოსებს უწოდებენ. ისინი ფლობენ სწორი, შეწონილი სიტყვის აღმოჩენის, ხმარების, ხანაც შექმნის უნარს. უნარს, რომელიც ად-ვილად გაივლის სხვადასხვა ეპოქებში მშობლიური ეთ-ნოსის, ხოლო შემდეგ კაცობრიობის ყუნწში. აი, ასე იკ-ერება ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო კულტურა. ეს გზა გაიარა, ამ გზას ახლაც გადის დ. კლდიაშვილი, ამი-ტომაც ვერ გააფერმკრთალა მისი პერსონაჟები დრომ და ვერც ვერასოდეს გააფერმკრთალებს.

ბოლოთქმა

თითქოს ბევრი რამ გავიაზრეთ, გავერკვიეთ, შევაფა-სეთ, მაგრამ აზრის ზრიალი აქ თუ დამთავრდა, აზროვნე-ბაში ნამდვილად ვერ გადავალთ. ნეტავ რა არისო აზ-როვნება? – იკითხავს ღრმად განსწავლული მკითხველი. ამ კითხვაზე უმარტივეს, საჩინოდ თვალხილულ პასუხს, ხელისგულზე რომ დაუდებს ადამიანს, გვაწვდის მერაბ მამარდაშვილის განმარტება: „აზროვნება ის წერტილია, რომელშიც არკვევ იმის ბუნებას, რაშიც მონაწილეობ“.

გაარკვიო იმის ბუნება რაშიც მონაწილეობ, – ესა სა-

ზოგადოებაში ცხოვრების სირთულე და იშვიათად იქნებს საკუთარ ოჯახში ცხოვრების სირთულეც. ვინ დაეხმარება ამაში ადამიანს, ვინ შეეწევა ღმერთივით მას? ქართული ხალხური ზღაპრის სიტყვებით რომ ვთქვათ, „ღვთის უკეთესი რა იქნებოდა?... რა იქნებოდა და სიტყვა. ასეთი არსით ადამიანის წინ დგას კლასიკოსი მწერალი. მისი ხელდასმით შექმნილი სამყარო ხელოვნებაში და რეალური ცხოვრება ყველა ეპოქისა, აზროვნების ერთ სიბრტყეში განთავსებულ საზროვნო სივრცეს ქმნიან, სადაც ხელის წავლებით, სახელ-გვარებით თუ გარკვევ, რომელია თხზულების გმირი და რომელი რეალური ცხოვრებისა.

თანადროული სტერეოტიპები ისეთივე მგრძნობელობით დააბიჯებენ ცხოვრებაში, ისეთივე მორალური თარგის ტანსაცმელი სჭირდებათ ხალხში გამოსაჩენად, როგორიც ესაჭიროებოდათ „სამანიშვილის დედინაცვლის“ გმირებს. თხზულება და ცხოვრება ნიჭიერი შემმეცნებელი მკითხველისათვის ერთიანი პანორამაა. პანორამა, სადაც მწერლის სულჩაბერილი გმირები ნაწარმოების კედლიდან ჩამოდიან და რეალურად ცხოვრობენ, ხან რეალური ადამიანები თავისი ფეხით შედიან და ხელოვნების კედელზე დახატულებს მიემონმებიან.

სამართლებრივად დაუწყობელ სივრცეში პლატონის-ნაირებს თვალში კვლავ ეჩიონებათ გაგვერდილობა – სიმსუქნე, ქოლგით ან ქუდით განკვერტილ-გაპრანქულობა, ცნობილობა – სახელიანობა, მაღალ ცხენ-ჯიბზე ჯდომა და კრიტიკის თუ დაცინვის მდინარეები გაზეთებიდან და სატელევიზიო შოუებიდან ამ წერტილებისაკენ მიემართებიან. მიუხედავად ამისა, ეს მიდრეკილებები კვლავ და კვლავ ხელახლა იბადება. პლატონისნაირნი მოახერხებენ

თუ არა გვერდევანიძის ფორმულაში ჩაძრომას, უმალ გვერდევანიძესავით მოირგებენ ცხოველურ რებას სათავისო ქცევაში და საარვისო და სასხვისო ქცევის მოდელები კვლავ გრამატიკულ ტერმინოლოგიებად რჩება. რატომ?.. რატომ?... რატომ?... – კითხულობს, ამ განახლებული რეცეფციის მხედველი ისევ პლატონისნაირი შეჭირვებული ადამიანი, რომელიც მოელის საარვისო და სასხვისო ქცევის ცხვირპირიანობას. ნაპლატონარი გვერდევანიძეები კი, ოქროპირული მჭევრმეტყველებით გატაცებულნი, ბანაობენ მოთხოვნილ საარვისო-სასხვისო ბანზე აგდებულ სიტყვებში, რადგან მათი ლაპარაკის სხივური ელემენტი დატვირთულია გარანტირებული ბედნიერი ცხოვრებით. მიზნისკენ მიმავალ გზაზე მათ სიცილის ხიდი უნდა გაიარონ მოღუშული, პირქუში სახით. ისინი კვლავ სიტუაციური კომიზმის შვილები არიან.

გადიდებულ კირილებს მხიარული რესტორნები ესაჭიროებათ, ალარ მოსწონთ შაფათაძეებში ქეიფი, რადგან იქ კვლავ ჩოხას შემოახევენ, დაკერილი ჩოხით სიარული კი ალარ ეპიტნავებათ. ისინი ჩაიზეც უარს აცხადებენ, რომელი ფიროსმანი მე ვარ ჩაის მიუჟდე და ხელოვნებაზე გელაპარაკოთო. კირილები ოთარაანთ ქვრივის სიტყვასაც მოგვანებებენ შუბლში: ჩაი რა ჩემი საქმეა, თქვენ მიირთვით, მე უმაგისოდაც გავძლებო და ნაპეტერბურგალი არჩილისა და კესოს უხერხულ ზრდილობაში დაგვტოვებენ.

ზოგიერთ კირილესნაირებს გაუჩნდებათ მისწრაფება სიამის წამს უფრო ძლიერად დაეწაფონ, ვიდრე ეს ლვთით დროსტარებას შეუძლია. სალომეს თანაგრძნობით ალალი მამიდები კირილესი კვლავ მწუხარებით ჩივიან მათზე: „ – საცხა ჩეიჩება ახლა ის უბედური და

ერთი საცოდაობა უნდა მოხდეს!“

დარიკობის სურვილი ნაკლებად მყოფობს ყოფი-ერებით გატაცებულ ტანებში. ქალობის კარიერა რე-ალური ცხოვრების სხვა ხაზებით მიემართება პატივსა-ცემი სკამებისაკენ, ბრენდი ტანსაცმლისაკენ, ბრჭყვიალა სასახლეებისაკენ, ბოლო თაობის აიფონ-მობილურები-საკენ, „შოფრობისაკენ“. ეს, კლდიაშვილისნაირი მთხოობელი აღარ გვყავს, თორემ ავდარიკოებსაც ისე შეგვაყვარებდა, როგორც კირილე გვიყვარს. ისე რა ავდარიკოების სიყვარული აგვიტყდა, შეიძლება გაგვიბრაზდნენ კიდეც, რაში გვჭირდება, თქვე დაღირსებულებო, თქვენი სიყვარული, ჩვენ კანონი გვიცავსო, ის გირჩევნიათ მიხვდეთ რა დიდი უბედურებაა დარიკობაო.

ცხოვრებისა და წიგნის ყოჩალად მკითხველი პანორა-მის უტყვი მაყურებელი როდია, იგი შეიძლება ცხოვრებას წაეჩეუბოს წიგნის სიტყვებით და ყოჩიც გახდეს, ან წიგნს წაეჩეუბოს ცხოვრების სიტყვებით და იქაც იყო-ჩოს. ესაა გზა პიროვნების ინტელექტუალური დახერხ-ემლიანებისა.

ასეთი ხერხემლით კი ისინი აღარ გაივლიან სიცი-ლის ხიდზე პლატონის მოღუშული, პირქუში სახეებით. ისინი გაივლიან ყოჩი სიტყვით, რომლის წნულში თავ-სებადი სისრულით ივლის წიგნში ამოცნობილი ცხოვრებით განსწავლული და ცხოვრებაში ამოცნობილი წიგნით განსწავლული მართებულობა. განა ასე არ გვმოძღვრავ-და „ოთარანთ ქვრივში“ არჩილის სიტყვით ილია, „არც უნიგნურობა ვარგა და არც მარტო წიგნებიდან გამოხედ-ვაო.“

იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა? რა იქნებოდა და ასე თქმული სიტყვა, მეგობრებო. თქვენი

ვალია დაჯარდეთ და ყოველი მხრიდან შეუტიოთ არის-ტოებს თხზულების კედელსა თუ ცხოვრებაში, კოტე ბალ-დავაძეს თუ სხვათ და სხვათ. „აბა ჰე, აბა ჰე, აბა მივცეთ მხარი მხარს“, დავიბნიოთ ბრძენი ქართული სიტყვა ისე, როგორც გალაკტიონს მოსწონდა: „მაქვს მკერდს მიდე-ბული, ქნარი როგორც მინდა, ჩემთვის დიდებული სხივი გამობრწყინდა.“ ერთი არ დაგავინყდეთ, ძვირფასებო, ერთნაირი სიწმინდით წარდექით ცხოვრებასთან და თხ-ზულებასთან, თორემ ნათელი სხივი ისე არ გამობრწყინ-დება, ისევ უტყვი დარჩება სიტყვის ჩუქურთმა შუქურთ-მაში ამეტყველებული.

2014 წელი ოქტომბერი

სასკოლო პროგრამაში მოხვედრილი
პაოლო იაშვილის ეროტიკული ლექსი

„პირამიდებში“

იქ, სადაც სდუმან ბირჩმიდები,
მზის ქთრწილის დროს მე დავწევები მზისფერ სილაზე,
იქ, სადაც სდუმან ბირჩმიდები, შენ მთმინდები,
შენი თვალები, შენი მკლავები, შენი სინაზე.

შენ მთგაფრთქენს ცნენი არაბული, თვალებდანაბული.
საყვაჩლის ხელებს მიეცემი, რთვობრუ ნაზ საწილს,
და შენ დამკოცნი ვით დედოფლალს, ვით მხევალს და ცოლს.

ტკბილი იქნება ცნელ სილაზე ჩვენი თამაში,
მზიურებს მაშინ, არაფერ მთგვაგონდება...
ბირჩმიდებში ატირდება ლოდინით რაში,
ლურჯ სფინგსთან მიგა, უცქენს დიდხას და დაღონდება,

სილიან ჭანით მდინარისკენ გავეშურებით,
მწვანე ტალღებში დაფარშეიდებთ ჩვენს ლელვას – ალურს.
გამთვაზე შენ რაში სფინგსის ყურებით,
დაუწყებს ძებნას უდიბნოში თავის სიყვარულს.

1916 წ.

პარლო იაშვილის ლექსი „პირამიდებში“

ქართველ ხალხში ცხოვრობს უკვდავი აქტიორული სული, იმას უნდა მუდამ სხვა იყოს, იმას უყვარს თეატრალიზაცია ცხოვრების, ქართველ ხალხს უყვარს ნიღაბი“, – წერდა ტიციანი. ლიტერატურის თეატრალიზაციის გამოვლენაა „პოეტი ქალის“ ელენე დარიანის სახის შექმნა (ელენე დარიანი პაოლოს ფსევდონიმია). ლექსის ლირიკული გმირი ქართველი ქალია, რომელიც თავის გრძნობასა და განცდებს, ვნებებს, ოცნებასა და სევდას სახისმიერი თრთოლვით დაიტანს თეატრალურ ნიღაბზე.

თეატრალური ნიღაბი სამი გაყინული სახეა. ტრაგედიის, კომედიისა და დრამისა. რეალური სასიყვარულო თანაცხოვრება ელვის უსწრაფესად არგებს და ხსნის ძლიერი გრძნობის მატარებელ ადამიანს ბეჭედს სილალე-მხიარულებისას, სევდისას, თუ სერიოზულობისას მონაცვლეობით. ამ ლექსში კი ეს სამსახოვნება ლეონარდო დავინჩის ნიჭიერებით დაიტანება ერთ სახეში. თუ გვაქვს სურვილი გავერკვეთ, როგორ ახერხებს ქართველი ქალის ხორციელი და სულიერი წნულის პოეტური ბუნების წვდომას, უპრიანი იქნება ხედვის განსხვავებულ შრეებში მოვაქციოთ კინოკადრებად აღბეჭდილი შინაარსი ლექსისა. ეს რომ შევძლოთ, საჭიროა, დავსვათ მეტად ზოგადი კითხვა: რამ შეიძლება მოგხიბლოს ლექსში? ყველა ადამიანი იოლად გასცემს ამ კითხვას ასეთივე განზოგადებულ პასუხს: ლექსში შეიძლება მკითხველი მოხიბლოს შინაარსმა, გრძნობა-განცდამ, მუსიკალურობამ, ელვარეოქროპირმა სიტყვამ, მხატვრული აზროვნების სინატიფერმ. მოდით, მივყვეთ ჩამონათვალს და ამ ჭრილებში წარმოვაჩინოთ, რა გვიზიდავს, რა გვნუსხავს.

ლექსის შინაარსი

მთელი ლექსი მომხიბვლელი მისტიფიკიური თხრობაა და ამ თხრობაში ჩაქსოვილი ეროტიკული სი-თამამე, რომელიც მანამდე არ უგრძენია ასეთი გზნებით ქართულ პოეზიას.

„იქ, საბატუ სდუმან ბიჟამიდები, შენ მთმინდები“...
„საყვარელის ხელებს მივეცემი, ჰთგობრც ნაზ საწოლს“...
„ტკბილი იქნება ცხელ სილაზე ჩვენი თამაში
არაფერთი მთგვარნდება „მზიურებს მაშინ“...
„მწერნე ჭალლებში დაგამშვიდებთ ჩვენს ღელვას ალურს“...

მისტიფიკიური დამღის ძლიერებას თხრობაში ატარებს სიმბოლოები (პირამიდა, სფინგი, ცხენი არაბული, უდაბნო) და ამ სახეებთან დაკავშირებული ასოციაციები.

რა ასოციაციებს აღძრავს პირამიდა, უდაბნო, ლურჯი სფინგი, ცხენი არაბული. სიყვარულის გრძნობა-განცდას ახლავს იდუმალება. პირამიდა ისეთივე იდუმალია, მაღალი, მარადიული და მუდამ მზესთან მყოფი, როგორც თავად სიყვარული. პაოლო უთუოდ სიყვარულს ისეთივე საოცრებად აღიქვამდა, როგორც პირამიდას. არავინ იცის, როგორ შენდება პირამიდა, ასევე არავინ იცის, როგორ შენდება სიყვარული. პირამიდები მარადისობას უერთდება, მარადიულად ცოცხლობს ადამიანში თვით დაბალი სიყვარულიც კი.

უდაბნო – „დაუწყებს ძებნას უდაბნოში თავის სიყვარულს“

უდაბნო ის სივრცეა, სადაც იქმნება აუცილებელი

მარტოობის ატმოსფერო ცხელი და მწველი სიყვარულისთვის.

ლურჯი სფინგი – „ლურჯ სფინგსთან მივა, უცქერს დიდხანს და დალონდება,

„გამოფხიზლდება შენი რაში სფინგის ყურებით“.

სფინგის ლექსის ლირიკული გმირის პოეტური პიპოსტასია.

სფინგის ადამიანის თავი აქვს, ტანი კი ცხოველის. ეს სახე ხაზს უსვამს სიყვარულის ორგანზომილებიან ბუნებას: ცხოველურს და მორალურს. პაოლოს ნარმოსახვაში სფინგის ლურჯია, რატომ? ადვილი მისახვედრია, ლურჯი ხომ ღრმა ოცნების ფერია.

რაში, ცხენი არაბული თვალებდანაბული – ღრმა ინტიმური სახისმეტყველებით ფეთქავს ეს სიმბოლოც. არაბული ცხენი – ერთი ფიქრით ავთანდილსაც გაგახსენებს „ვეფხისტყაოსნიდან“.

გრძნობა-განცდა

სიმბოლოებში ბეჭდილი გრძნობა-განცდის სიმხურვალე მკითხველის არსებაშიც აღწევს გაუფერმკრთალებლად. საზოგადოდ ქართველი ქალი ღრმად მაღავს ვნებიანობას, ამ ლექსში კი პაოლოს ინელექტუალურ მკლავებში ამოხსნილია ქართველი ქალის ოცნება.

„საყვარელის ხელებს მივეცემი, ჰთგობრც ნაზ საწოლს,
და შენ დამკთცნი ვით დედოფლს,
ვით შენებლს და ცოლს“.

ქართველი ქალის შინაგანი ვწებიანი ბუნების გასახ-
სნელად პაოლომ „ევროპული კარები“ შეაღო, მაგრამ იქ
„ეროვნული კულტურის ყველა ფოლაქებშეკრული მან-
დილოსანი დახვდა. ლურჯი სფინგსობა არის ქართველი ქა-
ლის ნიჭიერება, ამასთანავე გაბედული ამბიციაც, რომელ-
საც წარმოქმნის ოცნება („და შენ დამკოცნი ვით დედო-
ფალს, ვით მხევალს და ცოლს). კვეთება ქართველი ქალის
სულისა და ხორცისა ისეთი გახსნილობით მოახერხა, რომ
ჭეშმარიტად ქართველ შტეფან ცვაიგად აღიქმება.

მუსიკალურობა

საინტერესოა ლექსის მუსიკალური პროფილი, საინ-
ტერესოობა მის არითმიულობაში მდგომარეობს. რატომ
ისურვა პოეტმა არითმიული ყოფილყო ეს ლექსი.

სიყვარულის ზეიმში გული არითმიულად უძერს
ადამიანს, ამიტომაც აირჩია ასეთი მუსიკაც. მით უმეტეს,
რომ ლირიკული გმირი მხოლოდ ხორციელი ვწებით არაა
შეპყრობილი, ის მორალური ვწებითაცაა დატვირთული.

სიტყვა ელვარე

სიტყვას ელვარეს და ოქროპირს ამ ლექსში აქვს უნ-
არი მკითხველი გახადოს გრძნობა-განცდის, ოცნების
თანამონანილე და თავის ტალღებში ისიც დიდი ვწებებით
ანებივროს. პაოლოს მხატვრული აზროვნების პრიზმები
ადამიანს იდუმალ, მისტიკურ სამყაროში გატყორცნის,
აღმოაჩენინებს საკუთარ თავს და აგრძნობინებს დიდ
ბედნიერებას. მართლაც, დიდი ბედნიერებაა ასეთ ესთე-
ტიკურ საქანელაზე ქროლა.

ახლა ცხადზე ცხადია, კაფე „ქიმერიონის კედელზე
ძველი ქართული ფრესკიდან გადმოღებულ ტანსაცმელ-
ში მორთულ ვერას (სუდეიკინის ცოლი) წინ რატომ დახ-
ატა სუდეიკინმა პაოლო ესპანური შლაპით და ყანწით
ხელში.

შლაპა – ევროპული ნიშნული სახეში, ყანწი კი ქართუ-
ლი გემოვნებით, ქართული სულიერების ღვინით თრობა.

კვლავ ლექსში მინდა ამ რაკურსით ხელმეორედ ჩა-
ვიხედო. ეს პოეტური ქმნილება მკითხველს უპირვე-
ლესად გრძნობის უკიდურესი სიმძაფრით აოგნებს და
მკითხველსაც სიყვარულის ვწებიანობის ვერცხლისწყ-
ლის სვეტზე უკიდურეს ნიშნულზე მიიზიდავს. მიზიდუ-
ლობის მაგნიტურ ველს კი მკითხველი ქალისთვისაც და
მამაკაცისთვისაც ქმნის ქალის სურვილი: სიყვარულის
რკალში ყველა ქალური ღირსება კოცნას იმსახურებდეს.
კარგი იქნებოდა, ყურადღება გაგვემახვილებინა ერთ მო-
მენტზეც, ღირებულება ქალისა – დედოფალი, მხევალი,
ცოლი წრფეზეა განლაგებული, თუ კიბის საფეხურების
შთაბეჭდილებას ტოვებს დაბლიდან მაღლისკენ. მე პირა-
დად უფრო კიბისებური მეჩვენება.

დასასრულს შევნიშნავ, პაოლოს ბუს ნებიერობით
(ე. ი. ბნელში მხედველი თვალის ნიჭიერებით) რომ გაეს-
წორებინა თვალი ქართველი ქალის ბუნებისათვის, თავი
ევროპული ქუდით უნდა ჰქონოდა დამშვენებული და
ხელი ყანწით. სწორედაც რომ არ შეშლია ყოველივე ეს
სუდეიკინს – საიმპერატორო კარის ყოფილ მხატვარს. არ
შეშლია სუდეიკინს იმიტომ, რომ მხატვრის მგრძნობიარე
თვალს არ გამოჰქონია პარიზულ ცხოვრებაგამოვლილი
პოეტი რეალურად ქართულ სულიერებაში მყოფობდა,
ოცნებით კი არაბეთში – პირამიდებთან. პარიზი, საქართ-

ველო, არაბეთი – ეს სამკუთხედი გზაა ხორციელებით
სულიერება წაიკითხო და სულიერებით ხორციელება.

„მე დავიბადე აბრიალის თვეში
გაშლილ ვაშლების ყველაბიდან“, –

ეს სიტყვები ტიციანის განაცხადია საქართველოს
წინაშე. მართალია, პაოლო არ დაბადებულა აპრილის
თვეში, მაგრამ იგივე რიხით, სრული უფლებით შეეძლო
გაემეორებინა ეს სიტყვები მისი სიამის ტყუპს – პაოლოს,
რადგან ორივემ ხეს ცნობადისას ერთნაირი ნიჭიერებით
გაუსწორა თვალი თავიანთ პოეზიაში.

2014 წელი

ლეო ქიაჩელის მოთხოვბა

„ჰაბი აძბა“

შიშის გასანადგურებლად აშვებული ცეცხლოვანი ფრანი

1. წინასიტყვაობა
2. შიში მაკროსამყაროში
3. შიში მიკროსამყაროში
4. სპირალისებურად დატრიალებული ცეცხლის
აღი ქალაქში
5. გრძნობების ორი მდინარე, დღისა და ღამის
გზაგასაყარზე
6. მოთხოვობის კარიბჭე
7. მოთხოვობის პერსონაჟები კრიტიკის ავან-
სცენაზე
8. სიღიადე ლეო ქიაჩელისა

ნინასიტყვაობა

საბჭოთა მოთხოვა განსაკუთრებული შესწავლის რეჟიმში უნდა აცხოვროს სკოლაში მასწავლებელმა. აქ, ყოფილი საბჭოეთის სივრცეში, მუდმივ დაკვირვებაში გაკვირვების საძირკველი თუ ვერ იპოვნა მკითხველმა, მისთვის თხზულება, რომლის მიზანია ეპრძოლოს შიშის ყველა კუთხე-კუნჭულში, შეასრულებს მხოლოდ ფაბულით ტკივილ-გართობის ფუნქციას.

რეალური ცხოვრების აბლაბუდაში ყოველგვარი სისაზიზლრე, რაც შეიძლება ადამიანმა მოიგონოს, ყველაფერი შიშის ძაფითაა ნაკერი. შავი იყო შიშით და ავობით დაბინძული აზროვნებითი სივრცე ტოტალიტარული რეჟიმის პირობებში. აზროვნებააკრძალულები მაინც აზროვნებდნენ, მაგრამ აზრებს მაღლავდნენ საკუთარ თავში და ისე ღრმად, რომ მის ცირკულაციას ოჯახის წევრებთანაც კი ვერ ბედავდნენ.

აზროვნებააკრძალულები არა საშიშებს, თავისზე უსუსურებს უყეფდნენ, პარტიულ კრებებზე, შეკრებებზე, ხოლო თავისზე ძლიერებს ძალური ერთგულების საწყალი თვალებით შესჩერებოდნენ, რადგან დაუმსახურებელი, კუჭის დამამშვიდებელი ხორცის ნაჭერი უფრო დიდ სკამებზე მჯდართ უნდა გადაევდოთ მათთვის.

როგორ მივიღნენ საბჭოთა ადამიანები ცხოვრების ამ წესებამდე, რა ბორბალი გადაატრიალა ბოლშევიკურმა რეალობამ, აზროვნებითი მორჩილება ცხოვრების ყოველ-დღიურ საჭმელ კერძად რომ ექცია, სწორედ ესა ასახული საბჭოეთის ამ პროფილით ყველაზე ძლიერ მოთხოვობაში „ჰავი აძბა“.

აზრის ზრიალი უკიდურეს სიჩუმეში ცხოვრობდა.

სიჩუმე გარინდებით ყურის გდებას მოითხოვს. ეს მოახერხა სწორედ ლეო ქიაჩელმა. მან აზრის ზრიალს გარინდებული ყურით უსმინა, რამაც ათქმევინა თავისი ასეთივე გარინდებული სიტყვა, რომელიც დროის სიშავეს უვნებლად შეერწყა.

როგორ იხმარება ნემსი და ძაფი შიშის კერვის დროს, რაში მდგომარეობს ძაფის სიძლიერე. ვინ არის შიშის მკერავი, ვის მიუშვერია ტანი მკერავისათვის შესაკერად.

ლეო ქიაჩელს ნემსი უწვრილესი შეურჩევია საბჭოთა ტანში გასაყრელად, ისე გაიარა და გამოიარა თხზულებაში თავისი უწვრილესი შავი ძაფით აგებული ნემსით შიშით გარემოცულ შავ სივრცეში, რომ არავის გაუგია დედააზრი ამ მოთხოვისა.

შავი ძაფით ნაკერმა თეთრ ტანებში – მასწავლებლის ტანებში – ლოგოსის მგრძნობელობით უნდა გაიაროს და ყველა ნაკერი საჩინო გახდება.

ვერ წაიკითხა ლეო ქიაჩელის „ჰავი აძბა“ თავისუფლების უხარისხო ცხოვრების ოცდახუთმა წელიწადმა, ამიტომაც ამოიღეს ეს მოთხოვა ეროვნული გამოცდებიდან, მაგრამ მადლობა მათ, ვინც დაკვირვების რეჟიმი არ მოუხსნა სკოლაში ამ სისხლით ნაწერ წიგნს.

„ერს აქვს თვითგამორკვევის უფლება“, – ასე ეწერა საბჭოთა კონსტიტუციაში, მაგრამ თვითგამორკვევის მსჯელობები უნივერმალის კარებივით ხან შიგნიდან იღებოდა და ხან გარედან, ამიტომ საზოგადოება გარკვეულობა-გაურკვევლობის მორევში ყურყუმალობდა.

შემოთავაზებული კრიტიკული განხილვა მოთხოვისა ინტელექტუალური მგრძნობელობით ჩაახედებს მკითხველს სიბრძელეში. ამ სივრცეს სიღრმეში ჩასცეროდა და ჩასცერის ბებერი ევროპა, რადგან აზროვნების ასეთი

პოლიციურობით თუ არ ისუნთქა, უმაღვე მოკვდება. ასეთ სუნთქვას გვასწავლიან ჩვენ. ევროპა განაბული ელოდება როდის დაიწყებს თავისი ქშენით სიარულს სწორმკითხველთა არმია, არმია, რომელსაც შეუძლია ხელოვნების ემპირიულ აზროვნებაში შეღწევა. გჯეროდეთ, საქართველოს მოქალაქენო, ბებერი ევროპა წითელქუდას ბებიასავით დაგვიძახებს: ასწიეთ ურდული და კარები გაიღებაო. ჩვენც ნასაბჭოეთარი წითელი ქუდებით შევალთ ბებია ევროპასთან – ბებერ იასთან.

ლეო ქიაჩელი

„ჰაბი აბბა“

შიში მაპროსამყაროში
(I-II თავების ანალიზი)

ლიტერატურული ნაწარმოები კლასიკურ ქმნილებად მაშინ გარდაიქმნება, როდესაც იგი რეზონანსული ბუნებით იწყებს ახალ ცხოვრებას. იცვლება რეალობები და ამ რეალობებს მიდევნებული ხდომილებები, საზოგადოებრივი ფორმაციები, იცვლება ეპოქების ფსიქო-სომატური პროდუქტი – თავად ადამიანი, მაგრამ მწერალი გაცილებით მეტი ინტელექტის შუქს ფენს მომავალ თაობებს გაერკვნენ იმის ბუნებაში, რაშიც მონაწილეობენ. კლასიკური ნაწარმოების ნიჭიერი მკითხველები მწერლის შემდგომი თაობები უფრო არიან, ვიდრე მისი თანამედროვენი.

ლეო ქიაჩელის „ჰაბი აბბას“ რეზონანსულობის საფუძველს ქმნის ის მომენტი, რომ ნაწარმოებს ლრმა გაუმჭვირვალე ბუნდოვან ნისლოვანებად აკრავს შიშის ფენომენი, რომელთან მიმართებაში მკითხველის წარმოდგენაში ქანდაკება ზნეობრივი სახე ყველა გმირისა და მასთან ერთად მთელი ხალხისა. თხზულება დაიწერა 1933 წელს, ეს ხანა საბჭოთა კავშირის სინამდვილეში იყო დრო, როცა შიშის ყუთი იქმნებოდა დედამიწის უზარმაზარ ტერიტორიაზე, ამიტომაც გაუჩნდა ავტორს გახელებული ვნება ეჩვენებინა ერთი ქალაქის – სოხუმის მაგლითზე შიშის ყუთის შექმნის ისტორია. გადმოცემული სიუჟეტი კონკრეტული ამბავია, რომელიც მოხდა

1918 წელს რევოლუციის შემდგომ.

სიტყვა შიში პირველივე თავში წამოიმართება, მა-გრამ, სანამ მას ახსენებს მოთხრობაში მწერალი, ჯერ ქმნის შიშის ატმოსფეროს. აი, ეს ამონარიდები:

1. „ეს მოხდა ქალაქ სოხუმში 1918 წ., როცა რუსეთში ოქ-ტომბრის რევოლუციის გამარჯვების შემდეგ უსას-ტიკესი ომი მიმდინარეობდა“.
2. „შავ ზღვაზე და მის სანაპიროებზე სისხლის თქეში იდგა კიდით-კიდემდე“.
3. ნითელ კრეისერს მეთაურად „მრისხანედ“ წოდებული „ბოცმანი კუზმა კილგა ახლავსო“.
4. „სოხუმის ქალაქის თავს, სამსონ დავანძეს ბოლშე-ვიკების სამხედრო გემის მოახლოების ამბავი ბინაზე მიუტანეს დილაადრიანვე, ჯერ ლოგინში იწვა, „შმიდ-ტისა“ და „კუზმა მრისხანის“ გაგონებაზე შეფეთბუ-ლი იღვა. მოულოდნელობისა და აჩქარებისაგან ძლივს მოაწრო ტანთ ჩაცმა და პირდაუბანელმა ქალაქის საბჭოს მიაშურა... მაღალი კაცი იყო, ზორბა, „ნითური წვერი მკერდზე დაჲფენოდა. ქშენით მოალაჯებდა და თან ზღვისკენ იცქირებოდა“...
„დაწყნარებული ზღვის მშვიდი კამკამი დაუჯერებ-ელს ხდიდა ხმად დარხეულ ამბავს“...

სიტყვა შიში პირველად დავანაძის ფიქრებში ხმიან-დება წინადადებაში „შიშისაგან თუ მოეჩვენათ“, ფიქრებ-შივე ბრაზი მოსდიოდა სოხუმელებზე გულში ედვა, თუ განგაში ტყუილი აღმოჩნდებოდა, სასტიკად დაეტუქსა, ვინც ჭორს ავრცელებდა და ხალხში შფოთს იწვევდა. თვითონ თავი ძველ რევოლუციონერად მოჰქონდა და ბოლშევიკების არ ეშინოდა“...

სოხუმის მესაკუთრეები საბჭოს წინ დახვდნენ, აფრთხილებდნენ, საეჭვოდ მიმოდის გემი ზღვაში უნდა იცოდეთო. „გემი იმისთვის არის გემი, რომ ზღვაში მიმო-დიოდეს, მაშ ხმელეთზე ხომ ვერ ივლის, აიმრიზა ქალაქ-ის თავი, მოქალაქეების შიში არაფრად ჩაუგდო რიხი და სითამამე ხმაში მასაც აღარ ეტყობოდა, როდესაც თავად აღეძრა ეჭვი.

შიშის წინაშე ვაჭართა სიჯაბანე რუსთაველის შემ-დეგ აქაც სახიერობს. ყველაზე უფრო რაუდენ თორია შეუშინებია ქალაქში დარხეულ ხმებს, სოხუმში ცნობილი ვაჭარი. სწორედ მან ურჩია სამსონს გაგრა გამოეძახ-ებინა და ამბავი ეკითხა. დამაიმედებელი არც გაგრის პა-სუხი იყო: ამბობენ ამ მხარეს „შმიდტი“ იმისთვის დადის, რომ დამარცხებულ თეთრგვარდიელებს გზა გადაუ-ჭრასო, ნამდვილად არავინ იცის რა საომარი ამოცანა აქვს დასახულიო.

საგონებელში ჩავარდნილი ქალაქის თავი – სამსონი თბილისში საიდუმლო დეპეშითაც იზღვევს თავს ყოველ-ნაირი პასუხისმგებლობა თავიდან აეცილებინა. დეპეშის შედგენისას გაახსენდება, რომ სოხუმშიაც არსებობდა მუშათა, გლეხთა, ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭო, რომლის თავმჯდომარე მისი კარგი მეგობარი – ნარიქ ეშბა იყო, ესეც ნაციმბირალი, ძველი რევოლუციონერი. ეს საბჭო თითქმის არ მოქმედებდა, მხოლოდ დროგა-მოშვებით მდგომარეობის გართულებისას, მომენტის შესაფერის რეზოლუციას მიაღებინებდნენ და გაზეთებში აქვეყნებდნენ, ამ ორგანიზაციის არსებობა რომ გაახსენ-და სამსონი სიხარულისაგან წამოიძახებს „ევრიკა!“ ისინი შექმპნილ მდგომარეობაში მხსნელებად წარმოუდგებოდ-ნენ აფორიაქებულ ქალაქის თავს. მან ისიც გაიხსენა ამ

საბჭოი მეზღვაურებიც რომ შედიოდნენ ოფიციალურ სახელწოდებაში.

სამსონის დავალებით საბჭოში მისულმა ნარიქ ეშბამ გულდასმით მოუსმინა, ცოტა ხანს დაფიქრდა და მეგობრული პასუხიც გასცა: „პასუხისმგებლობას ან შენ რატომ იკისრებ, ძვირფასო სამსონ, ან რატომ გინდა მე მაკისრებინო. ხომ იცი რა მდგომარეობა. თუ პასუხისმგებლობამდე მივიდა საქმე, სჯობია მისი ტვირთი ისე განაწილდეს, ყოველ შემთხვევისათვის, რომ ბრალი ყველას და ამავე დროს არავის არ დაედოს... მოვიწვიოთ ქალაქის საბჭოს და მუშათა გლეხთა, ჯარისკაცთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოს პრეზიდიუმის სასწრაფო გაერთიანებული სხდომა პარტიებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლების თანდასწრებით და იქ დავსვათ ეს საკითხი. დე, ამათ გადაწყვიტონ, თუ რა სახით უნდა დახვდეს ქალაქი სოხუმი ბოლშევიკების სამხედრო გემს.“

პრეზიდიუმის გაერთიანებული სხდომა, საბჭოს დარბაზს ხალხი მოაწყდა, არ გამოცხადდნენ ოფიციალურად მხოლოდ პარტიების წარმომადგენლები, უმაღვე მიხვდა ისინი პასუხისმებლობას გაურბოდნენ.

ამ სხდომაზე შიშის კონტურები იხაზება, აქვე წყდება, როგორ უნდა მოიქცნენ ამ ყუთში მცხოვრები ადამიანები.

ვინ ან რა ხაზავს შიშის ყუთის კონტურებს?

1. ქალაქის საბჭოს თავმჯდომარე – ბექირბი ჩაჩბა

„აფხაზთა შორის მეტად პოპულარული პიროვნება, მისდამი პატივისცემას ყველასათვის სავალდებულოდ ხდიდა, გარდა დიდი გვარისა, მისი იშვიათი ტანადობაც და აფხაზური იერით შემკული სახიერება.“

ბექირბი ჩაჩბამ მამაშვილური პირდაპირობით დააყე-

ნა საკითხი, „რა ვქნა, ბოლშევიკები კარს მოგვადგნენო“.

2. შიშის ყუთს კედლებს უსქელებს სიჩუმე. ღამურის ფრთებით იწყებს შიში ფრენას. დამსწრენი მოელოდნენ ენაწყლიან ორატორებს, მაგრამ მათგან სიტყვის თქმის მსურველი არავინ გამოჩნდა.

3. სოხუმის გადარჩენის გზა კრებაზე საგანგებოდ მოწვეულმა მდიდარმა მესაკუთრემ, გავლენიანმა მკვიდრთაგანმა რაჟდენ თორიამ გაკვალა: „ახლა პოლიტიკური ანგარიშების გასწორების დრო არ არის. ჩვენ, უბრალო ხალხი ამ ანგარიშებში არ ვერევით, ეს ჩვენი საქმე არ არის. არავის მივცემთ ნებას გართულებული მდგომარეობა დღეს კიდევ უფრო გაგვირთულოს. ჩვენ ვიცით მხოლოდ ერთი რამ: რადგანაც კრეისერი „შმიდტის“ ერთი გასროლაც კი საკმარისია, რომ ჩვენი სახლები და მთელი სარჩო-საბადებელი ცეცხლმა თვალის დახმამებაში ჩანთქას, ჩვენი ყოფაქცევაც ამ უეჭველი გარემოებიდან უნდა გამომდინარეობდეს. გემიც, მეზღვაურებიც მთელმა ქალაქმა ისეთი პატივისცემით უნდა მიიღოს, რომ ეჭვი არავის დაებადოს ჩვენს მათდამი თანაგრძნობასა და მეგობრულ განწყობილებაში... გემის ყველა მოთხოვნილება დაუყოვნებლივ უნდა დავაკმაყოფილოთ, რადაც უნდა დაგვიჯდეს მაინც... ვინც სხვანაირად გვირჩევს, იმას, ალბათ, ჩვენი დაღუპვა უნდა... მთელი დარბაზი ერთიანად დაეთანხმა რაჟდენ თორიას.

4. რაჟდენის შემდეგ ნარიქ ეშბა ამბობს სიტყვას. მეტად ყურადსალებია ის გარემოება, რომ მწერალი თავის მიმართებას ამ სიტყვასთან თამამად ასე გამოხატავს: „მუშათა, გლეხთა, ჯარისკაცთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოს პრეზიდიუმის სახელით ნარიქ ეშბამ მოკლე დეკლაერაცია წაიკითხა. **იგი მაღალფარდოვანი და**

გრძელი პერიოდებისაგან შედგებოდა, რომლის სიტყვიერ ლაპირინთში გარკვეული აზრის დანახვა შეუძლებლი იყო, მაგრამ დასკვნა წინდახედულად იყო მოზომილი და ავტორს ყოველგვარ უჭვს გარეშე აყენებდა, რაგინდ თვალ-საზრისით გაგესინჯათ იგი“. აი ეს დასკვნაც: „— იმ ბრძოლაში რომელიც ახლა მთელს რუსეთში წარმოებს, ჩვენ უთუოდ რევოლუციის მხარეზე უნდა ვიყოთ და ვართ კიდევაც. ასეთია მშრომელი მასების სულისკვეთება“.

„საწინააღმდეგო აზრი, რასაკვირველია დარბაზში არ გაჭაჭანებულა“, — შენიშნავს მწერალი. ამ შენიშვნაში განსაკუთრებით დამაფიქრებელია სიტყვა რასაკვირველია. რასაკვირველი რატომაა დარბაზში საწინააღმდეგო აზრი რომ არ ჭაჭანებს“. ამ სიტყვით მწერალი მიგვახვედრებს: კრებაზე დაიბადა საყოველთაო შიში, რომელ-მაც ყველა ადამიანის თავის ქალაში შეალწია და დან-გრია მოქალაქეობრივი აზროვნების შინაგანი წყაროები. წოდებრივი, ქონებრივი, თანამდებობრივი უპირატესობის მქონე ადამიანები კრებაზე ისეთი აზრობრივი და მოქ-მედებების ბადე-წნულ ქმნიან, რომ ხალხი შიშის ყუთში თავისი ნებით იწყებს ცხოვრებას, მათი სხეულები სხვის თავებს მობმულ ლანდებად გადაიქცევიან.

ქალაქში მოაქვთ ამბავი: კრეისერ შმიდტს გეზი ნავსადგურისკენ აქვსო, უცბად გამოიცვალა ქალაქი. ლანდები დარბაზ, ფაციფუცობენ, თავიანთ სახლებს უტრიალებენ, წითელი დროშებით ამკობენ. ლანდებს გაკ-ვირვებული სახეები აქვთ, დაუფარავი შიში, დაბნეულობა უკრთით თვალებში. „ზღვის სანაპიროს გასწვრივ პალმების ხეივანზე გამავალ დიდი სასტუმროს ქვედა სართულში რესტორანი წითელი არშიებით დაებლანდათ, არშიებზე

რევოლუციური წარწერები, სუფრას შლიან ასი კაცისთვის“. ქალაქი შიშის ლაქით აგრძელებს სიცოცხლეს, შიშის ლაქის ავტორები სხვის თავებს მობმული ლანდები არიან, ახლა უკვე მზადმყოფნი ლაქიობისათვის.

მოთხოვობის I-II თავები დოკუმენტური კინოსთვის შექმნილ ტექსტს უფრო ჰგავს, ვიდრე მხატვრულ ნაწარმოებს. თხრობის დოკუმენტურობაზე მეტყველბს ერთი პასაუიც, სამსონ დავანაძეს ქალაქის საბჭოს წინ აღელვებული მოქალაქეები დახვდნენ, მეტნილად სოხუმის მესაკუთრეები იყვნენ, ისინი პასუხს სთხოვდნენ: გემი რაღაც საეჭვოდ მიმოდის ზღვაში და ეს უნდა იცოდეთო. ქალაქის თავი მათ პრეტენზიას ახირებულობად თვლის და ეუბნება: „გემი იმისთვის არის გემი, რომ ზღვაში მიმოდიოდეს, მაშ ხმელეთზე ხომ ვერ ივლის“. სამსონის ნათქვამი ღიმილსაც კი არ მოჰვრის იქ მყოფთ, თუმცა მკითხველის სახეში ოდნავ მაინც შეივარდისფერებს ღიმილი, მაგრამ მხოლოდ წამიერ, რადგან იმავე წინადადებაში ახსენებს ავტორი შიშს, — „აიმრიზა ქალაქის თავი და შიში არათორად ჩაუგდო“. ლეო ქარები, რომელიც თავისი გაბერილი ნესტოებით შეისუნთქავდა შიშის ატმოსფეროს ამჩნევდა, რომ იუმორის აღქმის უნარი დაკარგული აქვს შიშის ქარით თმებდავარცხნილ ადამიანებს.

აი ასე იბადება და შლის ფრთებს შიში მაკროსამყაროში, რომელიც ერთი ქალაქის მოცულობითი სივრცეა. შიშის დაბადების და ფრთების გაშლის შემსწრე მრავალი ადამიანი ყოფილა მრავალი ათეული წლების განმავლობაში, მაგრამ ცალკეული ადამიანების შეგრძნებები ვერასოდეს აღწევს დასრულებულობას. დასრულებულობის საფეხურს აღწევს და ხდომილებად იქცევა სამყაროში მხოლოდ კლასიკოსი მწერლის დახატული სინამდვილე,

სადაც დანახვის აქტი სრულდება გაგებით ცოდნით. ლეო ქიაჩელის „ჰაკი აძბა“ ასეთი თვალთახედვით ნამდვილად არის ორგანო სიცოცხლისა, სიცოცხლისა, რომელიც გაიზომება სრულყოფილ აზრებში, აღქმებში.

როგორია მწერლის სრულყოფილი აზრები, აღქმები

მკითხველი სრული დაძაბვით უნდა დახვდეს მწერლის აღქმების კაკუნს. I-II თავებში მწერალი გვიჩვენებს როგორ ეუფლება შიში მთელ ქალაქს და გადაიქცევა ერთ მთლიან შიშის ყუთად.

როგორ ხდება მორჩილების დამზადება?

1. იქმნება შიშის ატმოსფერო
2. ამ ატმოსფეროს შესაცვლელად ტარდება კრება, კრების ავტორების მიზანია ხალხს აფიქრებინონ ის, რაც მათ უნდათ.
3. ხალხი აზროვნებს და მოქმედებს იმის მიხედვით, რაც სიმყუდროვეს შეუნარჩუნებს, რეალობა კი სიკვდილის ენაზე ელაპარაკება მათ. ისინი თავს ყოფენ რეალობასთან მორგების ჯაჭვში.
4. არ ჭაჭანებს საწინააღმდეგო აზრი.

რასაკვირველია, არ ჭაჭანებს, რადგან ადამიანი განსაცდელში, მერყევ სიტუაციაში უნდა იყოს, რომ საღი აზრი დაიბადოს. აზრი იბადება ასეთი განსაცდელისგან და არა სურვილიდან. კრებაზე გამომსვლელებს ისინი მერყევ სიტუაციაში არ ჩაუყენებიათ. მერყევ სიტუაციაში პიროვნება უნდა ჩააგდოს ეჭვმა, იქ მყოფთ კი ეჭვი არ გასჩენიათ, მაშასადამე, ისინი მიამიტები არიან, მათი მიამიტობა კი შიშმა თავის ფილტვებად გამოიყენა.

აი, ასე პერცეფიცირებს ავტორი სრულყოფილ აზრებსა და აღქმებში.

მწერლის, როგორც ხელოვანის, ოსტატობა I-II თავ-

ებში იმაში მდგომარეობს, რომ **ავტორმა შესანიშნავად წარმოგვიდგინა, როგორ შეიძლება ავტორიტეტულმა ადამიანებმა მოახდინონ საზოგადოებრივი აზრის კასტრაცია.**

შიში მიკროსამყაროში

მკითხველისათვის საინტერესო საკითხავია მოთხოვნა III თავიდან, რადგან ჩნდებიან პერსონაჟები, რომელთა ცხოვრების გაცნობა აინტერესებს მკითხველს, აინტერესებს უპირველესად იმიტომ, რომ მათ არც კი იციან, რა ხდება გარეთ, ისინი, სასტუმროს II სართულზე ღამენათევნი, ბანქოს თამაშობენ – „ხუთნივე ბრწყინვალე წოდების წარმომადგენელნი“.

ლეო ქიაჩელი საკუთარი თვალით შეგვახედებს მოთამაშეთა **კამერულ** სივრცეში: ოთხნი უსხედან მაგიდას – მეგრელი, აჭარელი, იმერელი, აფხაზი. თამბაქოს ბოლი, უძილობისაგან დალლილი, „აზარტისაგან დაგლეჯილი“ სახეები, ფულით სავსე მაგიდა – ოსმალური ლირებით, რუსეთის იმპერიის გაუქმებული ასიგნაციები, „ბონები“, „კერენკები“. თამაშის მოკვეთილი ფრაზები, ფულის უსიტყვო გადალაგ-გადმოლაგება. მაგიდის ერთ კუთხეში მირეულ-მორეულ პაპიროსის ნამწვავებსა, ბოთლებსა და ლამბაქებს შორის მეტყველი თეატრალური რეკვიზიტების **ლირებულებას** იძენს წვრილი ვერცხლის ბალთებასხმულ ქამარში გაყრილი სატევარი, ოქროთი მოჭედილი, ღილებშესნილი ბუდიდან ამოწეული რევოლვერის ოქროვერცხლით მოსალტული ტარი, ხმარებისაგან დაფერილი, თალხი ფერის ჩოხა, სამხრეებიდან გადმომზირალი ყაზახთა ოფიცრის ფორმის სირმის ბრჭყვიალა ეპოლეტებიანი, სამასრეზე მიკერებული წმინდა გიორგის ჯვარი,

მინანქრით მოოჭვილი. **ჩამოთვლილი ნივთების ნაკრებით ავტორი აიძულებს მკითხველს მომეტებული ყურადღებით ჩაიკარგოს სავარძელში ჩაძინებული გმირის სახისმეტყველებაში.** **ძილისათვის მოუხერხებელ ავეჯზე, სავარძელში თამამი თავადური პოზით გაშლილა რაინდის სხეული:** „თავი სავარძლის ხავერდგადაკრულ ხელსაყრდენზე ჩამოედვა, ქვეშიდან ხელშეწყობილი, შავ წულა-მესტებში ჩასხლეტილი ფეხები საზურგეზე შეესროლა გადაჯვარედინებულად. ახალგაზრდა ქერა სახე დალენილი უჩანდა, ზოგან ნაოჭებს დაესერა, ზოგან კიდევ ჭრილობის ჩაღრმავებულ ზოლებს, რომელთაგან ერთი მარცხენა ლოყაზე აჯდა ირიბად“. სანამ გმირის სახელს გაგვაცნობს ლეო ქიაჩელი, მანამდე მძინარე სახისმეტყველებითი პორტრეტით მის დაძაბული შინაგანი სულიერებისაკენ მიგვაპყრობინებს ყურადღებას: „... სახეზე რაღაც ღრმა წუზილის ლანდები მიმოურბოდნენ... ცხვირის ნესტოები მოხშირებული სუნთქვისაგან უფეთქავდნენ...“

შინდისფერ კანივით შემოკრულ ახალუხში, წელის ნასკვს ორი თითი შემოწვდებოდა... ეს უჯუშ ემხას სხეულია – მეფის დამლილი ჯარის ოფიცერი, შტაბს-როტმისტრი ჩერქეზთა რაზმის აფხაზური ასეულისა, ავსტრიის ფრონტზე ნაბრძოლი ძიძიშვილის, ჰაკი აძბას, დახმარებით წითლების იერიშების შმაგ ნავარდს გამოქცეოდა, „სიცოცხლის გარდა, ორი რამ განძი ჩამოჰყოლოდა, რომლებსაც სიცოცხლეზე უფრო აფასებდა და უფრთხილდებოდა. ეს იყო სიყრმიდანვე მისი საოცნებო იფიცრის ეპოლეტები და წმ. გიორგის ოქროს ორდენი.“

შიშის ლანდების უჩინარი დაღი ძილში აწვალებს უჯუშს. ვაჟუაცური სხეულის ქვეცნობიერში ჩამძვრალი შიში აბორგებს ცხელებაშეყრილ არსს და მასთან თანაცხ-

ოვრებაში ძილშიაც ვერ მყოფობს. ძილში გამოხატული შიში აშინებს მის ამხანაგებს. აქ ვართო, ანუგეშებდნენ, სახელით მიმართავდნენ, მაგრამ ახლო, მისვლას საკვირველ მძინარესთან და ხელის მოკიდებას ვერ ბედავდნენ. **როცა შიშმა უჯუშის ქვეცნობიერიდან, სინათლის სხივის უსწრაფესად, თვალებში გადმოინაცვლა,** მოწითალო, მწვანე, არაამქვეყნიური შუქის ციალით შეშინებულებმა მათაც უკან დაიხიეს ძალაუნებურად. „ეს იყო შიში, რომლის მსგავსი არც ერთ იქ მყოფთაგანს მოჩვენებითაც კი არასოდეს მოჩვენებიათ“.

ისეთი ოსტატობით აღწერს ლეო ქიაჩელი ქვეცნობიერიდან ამოტყორცნილ შიშს ცნობიერში, რომ წამიერ მუნკის ფერწერული ტილო – „კივილი“ წარმოგიდგება. **შიშის წამიერ გამოსახულებაზე გამაოგნებელი, ალბათ, არაფერია,** ეს დაინახეს სწორედ უჯუშის ამხანაგებმა.

გონსმოსულმა უჯუშმა მალევე იცნო მეგობრები და ბავშვურმა ღიმილმა გაუციალა სახეზე. ღიმილმა ისინიც გაახარა. „ამისთანა რა მოგეჩვენა, უჯუშ, რომ ასე შეგვაშინე, დაწყნარდი, შე კაცო, არაფერია, ბოლშევიკები ჩვენში ჯერ კიდევ არ არიან. – მე კი სწორედ ისინი მომეჩვენენ... თითქოს... გემით მოვიდნენ“... შემდეგ გაირინდა, ეტყობოდა, სიზმარში განცდილი შიშისთვის თავი ვერ დაეღწია, – მერე ჰაკიც იკითხა, ხომ არ მოსულაო.

საყვირის უჩვეულო ხმამ და „მარსელიოზას“ მელოდიამ აღფრთოვანების ურუანტელი კიდით კიდემდე მიმოაბნიეს. ოთახში მყოფნი უმაღლ ფანჯარას მისცვივდნენ, უჯუში კი თავის ადგილზე დარჩა. მისი სიზმარი ამხანაგებმა რეალობაში დაინახეს ფანჯრიდან, მაგრამ დაჯერება გაუჭირდათ. მათ უჯუშს სთხოვეს: „მოდი აქ, თუ ძმა ხარ, იქნება უფრო გამოარკვიო, რა კრეიისერია

ჩვენკენ რომ უშველებელი ზარბაზნები მოუღერებია.“

უჯუშმა დააპირა ადგომა, მაგრამ ტანს ვერ მოერია, ფართოდ გაღებული თვალების ორივე გუგა თავის შეუნძრევლად წინა კედლისკენ მოატრიალა, ნიშანში ამოღებულ წერტილს მიაპყრო, ტუჩები აუცახცახდა, დაეჭიმნენ, როგორც სიზმარში და უცნაური ჩაშიშინებით ჰაერში მოხაზეს „შმიდტი“. ემხას თვალები ოთახის მიღმა იყურებოდა.

უჯუშის სიზმარში აღბეჭდილ წინათგრძნობას და შიშს მისი ამხანაგებიც ეზიარნენ, მაგრამ ბოლომდე მაინც ვერ გააცნობიერეს კრეისერის ქალაქში შემოსვლა და შიში დასწამეს. „სავარძლიდან სახეშეკრული წამოდგა, სულ სხვა თვალებით გახედა ამხანაგებს და შეკავებული ყივილის მსგავსი ხმით მიმართა: „მე და შიში ერთმანეთს არ ვიცნობთ, ვისაც არ სჯერა, შეუძლია გამომცადოს“.

უჯუშის რაინდული ბუნება თანცხოვრებაში ვერ მყოფობს მისსავე ქვეცნობიერში დალექილ შიშთან და ამხანაგების შეფასებასთან, ამიტომაც მიჰყვება მართალი ამბის გასაგებად მიმავალ მეგობრებს, თან „დალბილებული ხმით ბოდიშისნაირად“ განუცხადებს: „— თუმცა რა გითხრათ, იცით: არავის არ შეშვენის თქვას ვაჟკაცივარო, და ამ შემთხვევაში, შეიძლება თქვენ ხართ მართალი, წავიდეთ! მეც მოგყვებით, ვნახოთ რა ამბავია“...

მწერალი შენიშნავს, რომ ხმის კილოზე მაინც ეტყობოდა, რომ თავს შეურაცხყოფილად გრძნობდა და თავისი წინანდელი გამომწვევი სიტყვების გამართლება გულში ედო.“

რაინდული ზამბარა დაჭიმულია შიშის წინააღმდეგ.

შიში – სპირალისეპურად დატრიალებული ცეცხლის ალი ქალაქში

პალმების რიგის გასწვრივ კრეისერის მეზღვაურმა – ვასილ ხარიტანიუკმა ფარდულიდან თვალი მოჰკრა მაღალ და განიერ მხრებზე ბრჭყვიალა ეპოლეტებს და მის თვალებს ცოფის ალი შეუკიდა. მან თითის ნიშნებით ამხანაგებიც გამოიხმო. ერთი კი იფიქრა, თვალი ხომ არ მატყუებსო, მაგრამ მიამგვანა რა ყაზხთა ოფიცერს, დაედევნა.

„— ჰეი, შესდექ, უფალო ოფიცერო!“ – დაუყვირა ხრიტანიუკმა, თავდაჭერილად იყავ უჯუშ, ალბათ შენ გეძებენ! – ხმადაბლა გადაულაპარაკეს უჯუშს მგეობრებმა, დაიფანტნენ და მიიმაღნენ. მეზღვაური ცხვირწინ დაუდგა ტანის რაღაც უცნაური შემკვრივებით, თვალები გახურებული შანთებივით ჩაურჭო. ემხა არ შენძრეულა, მან კი კლანჭებად მომარჯვებული თითები ეპოლეტებში ჩაასო და მოსაგლეჯად მოსწია. იმავე წამს რევოლვერი გავარდა, განგმირული რუსი მეზღვაური პირალმა გაიშხართა.

რევოლვერის ხმამ შიშის ქარი სპირალისებურად დაატრიალა, მიტინგზე დაძმობილებული მოქალაქეები და მეზღვაურები წუთით განაბა. მწერლის თვალმა უმაღლესის წამიერი მეტამორფოზა არკვლა: როგორ აჩოჩქოლდნენ სხივის თავებს მობმული ლანდები ელვის უსწრაფესად და ბრბოდ გადაიქცნენ. „ბრბო შეიკუმშა, შექუჩდა და ქუჩის მეორე მხარეს დუქნებსა და სახლების კედლებს დამფრთხალ ფარასავით შეეფინა.“

ბრბოს ბრმა მოძრაობამ გააოგნა სამსონ დავანაძე, იგი ქუდმოხდილი იდგა და თავისთვის რაღაცას ბუტ-

ბუტებდა. ამ მოძრაობამ გაახევა ნარიქ ეშბაც „ფართოდ თითებგაშლილი მარჯვენა ჰერში აემართა, ვითომ ხან მეზღვაურებს აფრთხილებდა, დაიცადეთ, ნურაფერს მოქმედებთო, ხან კი ვითომ ხალხს რაღაც გამოურკვეველ ნიშანს აძლევდა, რომლის შინაარსი, ალბათ, მისთვისაც გაუგებარი იყო“. მოჩვენებას დაამგვანა შიშმა ნარიქ ეშბა.

გახევებულ სამსონ დავანაძეს და ნარიქ ეშბას ყურს მეზღვაურის ქლოშინით ნაამბობში მოხვდება სიტყვები: „ყაზახთა ოფიცერი“, „გიორგის კავალერი“. სამსონმა გაიგონა თუ არა ნათქვამი, თითქოს საიდანლაც ახალი ძალა, ღონე შეემატა, რაკი გაიგო, რაც მოხდა, ერთი ორად გამოიჭიმა მოედანზე, მოიხმო მილიციის უფროსიც და რიხიანი სტრატეგიაც უჯუშის შეპყრობისა სიტყვაში გადმოლვარა.

მიტინგზე გახევებული არ დარჩენილა ჰაკი (ამ სახელს სიზმარში განცდილი შიშმით გათანგული უჯუში ახსენებს სიტკბონებით „ჩემი ჰაკი არ მოსულა“?) ბოლშევიკების შემოსვლის, მიტინგის გამართვის ამბავი უჯუშის ძიძიშვილმა, ჰაკიმ ბიძამისისას გაიგო – კაც აძბასგან სოხუმში ცნობილი დალალი).

მოთხოვთ სცენური შუქი მხოლოდ ჰაკის მიჰყვება სხვის თავებს მოპმულს კი არა, ახლა უკვე მოწყვეტილ ლანდებს, ჰაკის მთელი აფხაზეთი იცნობდა, როგორც ემხას ძიძიშვილს და მის განუყრელ მხლებელს. მართალია, იგი ლანდივით დასდევდა უჯუშს, მაგრამ ლანდი არ იყო. ჰაკი ღირსების გვერდზე მდგომი რაინდია, მონის როლით დაკავებული მწერლის მიერ. თხზულებაში იგი თავისი ძიძიშვილის ზნეობრივ ღირებულებებს მონური თანადგომით ერთგულებს.

შიშის სპირალისებურად დატრიალებულმა ცეცხლის ალმა ხრიტანიუკის გვამს დელეგაცია გააყოლა ბექირბი ჩაჩბას მეთაურობით, რომელსაც ხმის ამოღების უნარი წართმეოდა. მასთან ერთად დამუნჯებულიყვნენ სამსონიც და ნარიქ ეშბაც. მრისხანე კუზმასთვის აუტანელი საყურებელი იყო ჩლუნგი პირმოთნეობითა და უაზრო ცერემონიით მის წინ დამდგარი დელეგაცია: „მიმიფურთხებია მე მაგათი თავადური პრანჭვა-გრეხვისათვის.“ ბექირბი ჩაჩბას მძევლად აიყვანენ გემზე.

სამსონის სტრატეგიამ ბრძოდ გადაქცეული ხალხი კვლავ მათ თავებს მიბმულ, ახლა უკვე მეძებარ ძალებად აქცია, რომელთაც ერთ საათში უნდა ეპოვათ უჯუში, რომელიც არ აინტერესებთ მართალი იყო თუ დამნაშავე.

შიშის ყუთში დაძრნის ჰაკი, როგორმე ძიძიშვილს მიაკვლიოს. უჯუშის დის – ლილის გაშვერილმა თითის მიმართულებამ სამიოდე ნახტომში უჯუშის წინ დააყენა. უსიტყვო კითხვა, უსიტყვო თანაგრძნობა გაკრთა ჰაკის თვალებში... „ახლა მთებია ჩვენი დამხსნელი“... სხივივით მოძრაობდა, კარაბინით ხელში, გეზი კაც აცბას სახლისკენ დაიჭირა. განგაში, ყიუინა ალყასავით შემორტყმოდა, ხალხის ტალღის აყრილი ქოჩორი დაინახა ჰაკიმ.

უჯუში და ჰაკი კაც აძბას ეზოში შეცვივდნენ, თავლას გაუპირისპირდნენ. კაცის ცოლს შიშმა მუხლები მოკვეთა. თავლაში კარი „დაჯორგეს“, შერჩეულ ჭუჭრუტანებს მიუსხდნენ იარაღით. ჰაკის უფრო მოხერხებულად ეჩვენებოდა დაფლეთილი სამოსით ხალხში გარეულიყვნენ. კაციც დაინახეს ეზოში შემოსული, დაუსვტინეს, მაგრამ ყიუინის ხმებმა დაახშო მათი სტვენა, ვერ გააგონეს. ცოლმა მათი თავლაში ყოფნის ამბავი დაახვედრა. ტყვიასავით მოხვდა ოჯახის ჰატრონს ეს ამბავი.

კაცის შეშინებული სახე არ გამოჰქონდა პაკის ჭუჭრუტანიდან. „— კაც, ნუ გეშინია, შენ არ გაგხდით ჩვენი ჭირის ზიარს“. „თავლას თქვენი ჭირი წაულია“, — აკანკალებული ხმით უთხრა კაცმა. უჯუშმა თხოვა კახის, თოუხანი მყავს დაბარებული და რომ მოვიდეს, ენდე, მომიყვანეო. კაცმა გულმართლად, პატივისცემით მიმართა შემდეგი სიტყვით: „ჩვენი გაზრდილი ხარ, უჯუშ, ვალდებული ვართ, შენს მაგიერ ჩვენ მოვკვდეთ ყველა“.

ამაღლვებელია დეიდაშვილების შეხვედრა. თვალცრემლიანები შეხვდნენ ისინი ერთმანეთს, კარგა ხანს შერჩათ გადაჭდობილი ხელები, გულაჩვილებული მარშანი ტირილს ძლივს იკავებდა. დუმილი გაგრძელდა, უჯუშმა თავიც იმართლა მასთან და უთხრა: რა მექნა, თავს დამესხნენო. „შოუპარი და ლილი შეიპყრეს, — წამოიგმინა თოუხანმა ხელების გაშლით და თოუხანის არიდებული თვალები რომ დაინახა, ემხებს გადახედა, მერე ისიც გააგებინა ბექირბი ჩაჩბა რომ ჰყავდათ მის მაგივრად დატყვევებული.“

უჯუშმა გაიგო რა ყოველივე, თოუხანს მიეჭრა და სულშეხუთულად ჰკითხა, — მერე?... სიჩუმე ჩამონვა, მცირე ხნის დუმილის შემდეგ ერთ-ერთმა ემხამ უჯუშს უთხრა: ბექირბი ჩაჩბას განირვა არ იქნებაო და შენთან ეს სიტყვა დაგვაბარეს. ესეც თქვეს, მთელი აფხაზეთი ჩაერევა ამ საქმეში და უჯუშს სიკვდილისაგან იხსნისო.

ვაუკაცურია მისი განაცხადი ახლობლებთან: „მესმის, ძმებო, ყველაფერი, დაფიქრებაც კი პატივს ამყრიდა თქვენს თვალში, საჭირო არ არის ზედმეტი სიტყვა. მზად ვარ, გამოვცხადდე.“

პაკი სიმწრისაგან დაიკლაკნა, რაკი უჯუშის მოყვარულ ადამიანებშიც კი ვერ იპოვა მის გვერდით მდგომი

კაცი და მიწისფერი ტუჩებიდან გამოსცრა: „კადნიერებაა, რომ მდაბიო კაცი ბრწყინვალე თავადების წინაშე სიტყვის თქმას ბედავს, მაგრამ მე არ შემიძლია შენი თვი სიკვდილს დავუთმოო“...

როცა სასონარკვეთილი ჰაკი ვერას გახდა, ვერ იხსნა ძუძუმტე, გადაწყვიტა, დანაშაული თვითონ დაებრალებინა და მომხვდურთ განუცხადა: „მეზღვაური მე მოვკალიონ“. ის იყო უჯუშს უნდა ეყვირა ჰაკი ტყუისო, რომ თოუხანი მთელი ძალ-ღონით შეეტოტა, ადგილიდან დაძვრის საშუალება მოუსპო, პირზე აეფარა და სუნთქვა შეუკრა.

ბრბოს დაკარგული აქვს მოქალაქეობრივი შეგნება. შიშმა პირმეტყველი არსი — ადამიანი, პირით უტყვ უცნაურ სხეულად გარდაქმნა, რომელსაც აზროვნებითი გაშეებება (ამაღლამა) სჭირს, აღარ ანუხებს კაცობის გულის დუღილი. მათ გონებაში არც იბადება და არც კვდება სიტყვა — ადამიანობის გამოხატულება, ყოველივე ამას სისწორით ხედავს უჯუში, რომელსაც შიშის პერანგი აღარ აცვია უკვე კარგა ხანია. იგი ხედავს იმასაც, რომ აღარ არ-სებობს საზოგადო აზრი და მის კვალობაზე ადამიანთა კრებული, საზოგადოება. უჯუში — სხეულისა და სულიერების უმშვენიერესი ნასკვი უმშვენიერესი რხევით დგამს მიწიერი სიცოცხლის უკანასკნელ ნაბიჯებს: „ემხა თავანეული მიაპიჯებდა დინჯად და ნელა. მაღალი ტანი სწორად ეჭირა. განიერი ბეჭები ოდნავ რხევით მიჰქონდა. გემის ბანს იქით იცქირებოდა მაღლა შემართული თვალებით, გახევებულ და უმეტყველო სახეს მხოლოდ ერთი ხაზის მკრთომარება უცხოველებდა, რომელიც უძრავად თვალებში შეფინებოდა: ეს იყო ნაღვლიანი ღიმილის ძლივს შესამჩნევი ციმციმი, რომელიც სიცოცხლის უკანასკნელ

დარღს გამოხატავდა, უნდო შეგნებით დაძლეულს.“ ეს მოძრაობა უვერტიურაა ცის კიდურზე გართხმულ მონითალო სინათლის კრომასთან შესაერთებლად. მკითხველი გრძნობს, რომ უჯუშის ვაჟკაცობა ზედროულია და ზესივრცული.

აი, ასე მოაქცია დასაღუპავად სპირალისებურად დატრიალებულმა ცეცხლოვანმა ალმა უჯუშ ემხა, მაგრამ, სანამ ეს მოხდება, მანამდე დაუღალავად მუშაობს ყოველივე ამის აღსაწერად ლეო ქიაჩელის კალმით ამუშავებული შიშის ფუნჯი.

* „შიშის ფითრი დაფრქვეოდა შოუპარს“

* რა დაემართა უჯუშის დას – ლილს შიშით მწერალი ასე გადმოგვცემს: „მთელი მისი უაღრესად გაკვირვებული და შეშინებული არსება იმ ორ თვალში იყო მოთავსებული, რომლებიც დაუდევრად რბოდნენ უცხო ადამიანების ერთი სახიდან მეორეზე.“

* **მეძებარ ძალლად გადაუქცევია შიშს რაუდენ თორია, მდიდარი მესაკუთრე.** „ის მაინც გეცოდინება, შენი ვაჟის ძიძიშვილი, ჰავა აძბა, სად იმყოფება, უჯუში უთუოდ მასთან იქნება.“

* „ერთი სათის ვადა ყველას ცეცხლივით შეეკიდა და შიგ ტვინში აუვარდა.“

* ემხას შესაპყრობად სახლისკენ დაძრული ყიუინა უცებ რისხვიანი გუგუნით მოედო.

მწერლის მხატვრულად ამეტყველებული ფუნჯი მიგვანიშნებს, რომ შიში ისეთ ურჩხულად ქცეულა, რომ ყველას თავში ამოიზარდა, ამიტომაც მოსდებია კიბოს მეტასტაზივით ქალაქის ყველა კუთხე-კუნძულს, ამიტომაც დაფრინავს ღამურის ტანის გაბედულებით მორალურ სიბნელეში.

ორი ადამიანი, რომელიც შიშმა ვერ მოდრიკა, არის უჯუშ ემხა და ჰავა აძბა. **ბრძო ბრძანა, ამიტომ ისინი გან-ნირულნი არიან დასაღუპავად. ქალაქი შიშის ყუთია, ყუთ-ში მორალური სიბნელეა, სიბნელეში შიშის ცეცხლი სპი-რალისებურად ტრიალებს, რათა ცეცხლის ალმა გასწიროს ლირსეული, რომ ულირსნი გადარჩნენ. ლირებულებებით არსებობას ველარ ახერხებს ზნეობრივი გმირი.**

ძნელი საყურებელია შოუპარისთვის, როგორ სწირავს ქალაქი მის შვილს დასაღუპავად. ასეთ ვითარებაში ფსიქოლოგიურად ტყდებიან, იკუნტებიან ადამიანები, მაგრამ იგი სახლში შეჭრილ მილიციონერებსა და გაბედულ შეიარაღებულ მოქალაქეებს მედიდურობით დაჭერილი მაღალი ტანით ხვდება, ჩვეულებრივი ზრდილობით. შოუპარის მტკიცე დგომა განსაკუთრებული პატივისცემით მსჭვალავს მკითხველს მის მიმართ.

უჯუშს თანაუგრძნობს, მისი მდგომარეობა დიდ ტკივილს აყენებს თოუხან მარშანსაც. თოუხანის ცრემლი საკუთარ უნიათობასაც დაედინება უთუოდ.

მკითხველისათვის სასიამოვნო მოსასმენია კაცის გულმართალი სიტყვები ვაჟკაცის მიმართ.

ძნელია, შავ-თეთრ ფერებში გამიჯნო პიროვნებები ამ მოთხრობაში. ლეო ქიაჩელი ასეთი გმირების დახატვით მიგვანიშნებს იმაზე, რომ მათ ავალიათ პასუხისმგებლობა თავიანთი სიცოცხლით, პასუხისმგებლობა ოჯახზე, შვილებზე, ახლობლებზე, რათა სპირალისებურად დანთებულ ცეცხლის ალს მიაფერფლონ თავიანთი სხეული. ერთგულების მდინარეში თავის დახრჩობა სასიკეთოს ვერაფერს მოიტანდა, პირიქით, იქნებ შოუპარის სიცოცხლე უფრო დიდი გმირობაა.

გრძნობაში თრი მდინარე მოთხოვაში

მოთხოვაში შავი და თეთრი მდინარესავით ერთვის ერთმანეთს და ერთი კალპოტით მიიჩქარიან **ლალატისა და შურისგების**, **ლირსებისა და ერთგულების** მდინარეები, მაგრამ ისინი ისე განირჩევიან ერთმანეთისაგან, როგორც შავი და თეთრი არაგვი.

შურისგების შავი მდინარის სათავე ბოცმანი კუზმა კილგაა, კლასობრივი თეორიებით თავგამოტენილი ადამიანი და ამ აზროვნების მონა. ის იყო ძველი მეზღვაური, შმიდტის თანამებრძოლი, რომელსაც მეფის მთავრობამ ამბოხებაში მონაწილეობისათვის უვადო კატორლა მიუსაჯა. 1917 წლის რევოლუციის შემდეგ ისევ თავის საქმეს დაუბრუნდა და შავი ზღვის ფლოტში თვალსაჩინო ადგილი დაიკავა. მტრებმა მას მეტსახელად „მრისხანე“ შეარქვეს. საბჭოთა მთავრობამ კრეისერ შმიდტის უფროსობა ჩააბარა.

საკვირველი სახისმეტყველებით კუზმა კილგას პორტრეტი ვიქტორ ჰიუგოს კვაზიმოდოს ჩამოჰვავს სახის მარცხენა ნახევრით. „ამ კაცის ერთ ტანზე ორ პირისახესა და სამ თვალს ხედავდნენ სრულიად გარკვეულად.“ „ეს იყო შედეგი დიდი, ღრმა, ძლივს შეხორცებული ჭრილობისა, რომლის მოწითალო კვალი მთელ სახეზე გაუდიოდა ირიბად, მარცხენა საფეთქლიდან დაწყებული, ნიკაპის მარჯვენა კუთხემდე. მარცხენა თვალის ზედა ქუთუთოს ერთი ნახევარი შუაში გაჭრილ წარბ ქვეშ ჩამოთლილი ჰიუნდა და გაშიშვლებული, კავლის ნაწილი ამ ადგილას მუდამ ღია, ცალკე თვალის შთაბეჭდილებას სტოვებდა მეორე ნაწილის გვერდით, რომელსაც ქუთუთოს ნაგლეჯი შერჩენოდა... სახის მთელი ეს კანშემოჭ-

იმული ნახევარი უძრავი და უცვლელი იყო, სულ ერთნაირი გამომეტყველების მქონე, რომელიც უცვლელად რისხვის გამოხატულებას ატარებდა, წინააღმდეგ მეორე მთელი ნახევარისა, რომელსაც მშვიდი ღრმა და ხანდაზმულობის გონიერი იერით ამეტყველებული თვალი ამშვენებდა.“

ლეო ქიაჩელმა, მართლაც, მაღალი პროფესიონალური მწერლური ოტატობით ერთ პორტრეტულ სახეში წყობილებით დაიტანა საბჭოთა მმართველობა, სისტემური მიმართება მოვლენებისადმი, ადამიანებისადმი და საზოგადო ხალხისადმი. კუზმა კილგა ორსახოვანი იანუსია, ისევე, როგორც თავად რევოლუცია. მათი სახის ერთი ნაწილი თანამოაზრებისადმი ლმობიერი, მეგობრული, ხოლო მეორე – მრისხანე, შეუბრალებელი მათდამი, ვისაც იგივე შეგნება არ ჰქონდა. საყურადღებოა ის მომენტიც, რომ მწერალმა საშიში, ამაზრზენი კვაზის გამომეტყველების ნახევარი, სახის მარცხენა მხარეს განათავსა, რაც ზედმეტად დაკვირვებულ მკითხველს მიანიშნებს დაუნდობლობის საბოლოო მორალურ მარცხზე. კუზმა ორი კონტრასტული ხმით მეტყველებს: 1. შემტევი ხმა, შიშის მომგვრელი და მეორე სამო ბოხი – მეგობრული ხმა.

კუზმა კილგას სახის „მეორე მთელ ნახევარს მშვიდს, ღრმას, გონიერი იერით ამეტყველებულს“ მხოლოდ მაშინ ვეცნობით, როდესაც ის ურთიერთობაში შედის ჰაკი აძბასთან. ჰაკი თეთრი მდინარის ერთგულების სათავეა თვით მრისხანე ბოცმანისთვისაც კი, რადგან იგი მას უყურებს როგორც ჩაგრულ ადამიანს, რომელიც ბრმად წირავს სიცოცხლეს ბატონისათვის, რომელმაც არ იცის, რომ მისი ერთგულება და თავდადება მხოლოდ რევლუციისთვის არის საჭირო. კუზმასთვის გაუგებარია,

უჯუშისათვის თავდადება რატომ უნდა იყოს ჰაკისთვის წმინდათაწმინდა ვალი, ამაში გლეხის ბრმა თავგანწირვა ამოიკითხა ბატონისათვის. როდესაც ჰაკიმ უჯუშის დანაშაული დაიბრალა, იგი შეეცადა მისთვის აემაღლებინა კლასობრივი შეგნება, რადგან ჰაკის კლასობრივი სიბრძმავე საკუთარ შეურაცხყოფად მიიღო და გულში გადაწყვიტა, ამ იშვიათ ტიპს ახლო გასცნობოდა, რათა ეცადა მისი „დამუშავება“.

კუზმას სურვილია, როგორმე გააგებინოს ჰაკის, რომ უჯუში მისი მტერია. ჰაკისაც, თავის მხრივ, უნდა დაუამხანაგდეს მას და ემლიქვნელება ნდობის მოსაპოვებლად. „— მე ვიბრძოლებ შენს მხარეზე, კაპიტან“... „ბევრი გყავს მტერი კაპიტან... კარგი იქნებოდა, რომ შენს ძალას ერთი-ორი კაცი კიდევ შემატებოდა, უფრო ძლიერი იქნებოდი“. კუზმას მაინცდამაინც ვერ გაერკვია თავისი უცნაური რუსულით რისი თქმა სურდა ჰაკის, მაგრამ მაინც გამოეხმაურა: „შენ კი აქამდის ჩვენს მოსისხლე მტერს უჭერდი მხარს. მაშინაც კი ეხმარებოდი, როცა მან ერთი მებრძოლი ამხანგი ვერაგულად მოგვიკლა, ხოლო მეორე დაგვიჭრა. ორივე შენისთანა ხალხის, მუშების, გლეხების თავისუფლებისთვის იბრძოდა... ჩვენი მტერი შენი მტერიცაა, ეს უნდა იცოდე!...“ „ის, ვინც შენმა თავადმა მოჰკლა, გლეხი იყო უბრალო, მერე შავ მუშად მუშაობდა ქალაქებში. ძლივს ირჩენდა თავს და წვრილ ცოლ-შვილს გაჭირვებით კვებავდა... ორი შვილი დარჩა, რომელთაგან უფროსი მხოლოდ სამი წლის არის“...

აი, ამ მონათხოვბებით ცდილობს კუზმა ჰაკის გონიერაში კლასობრივი იდეოლოგიის ნათელი შეიტანოს, მაგრამ ცხადზე ცხადია, ეს დიალოგი ვერ მოქსოვს მათ შორის ურთიერთობების ხალიჩას, ისინი ერთმანეთის

სულში ვერ იხედებიან.

უკანასკნელი პატივი მიაგეს მეზღვაურებმა მგლოვიარე დარაზმულობით ვასილ ხრიტანიუკის ცხედარს. ჰაკიმ გულამოსკვნით წამოიყვირა... „ვაჲაჲაჲა... ვაჲაჲა... დამაო!“ მთელი ტანით ჩაიკეცა, იატაკზე დაემხო, სახეზე ხელი აიფარა. „ტირილი არ იქნება,“ – ჩაესმა კუზმას შენიშვნა და მანაც ხმა გაკმიდა.

იატაკზე კუზმას გვერდით თავქვედამხობილ ჰაკის არ შეუნიშნავს, რომ იმავე კიბით, რომლითაც ხრიტანიუკის გვამი ამოასვენა ორმა რევოლვერმომარჯვებულმა მეზღვაურმა მალევე უჯუში ამოიყვანა და ცხედრის კვალდაკვალ გემის ქიმისკენ უხმოდ გაატარა. არც უჯუშს დაუნახავს კუზმას გვერდით თავქვე დამხობილი ხმაგაჲმენდილი ჰაკი.

ზარბაზანმა ზედიზედ ჩაიგრუხუნა, თოფებმაც გაიტკრციალეს, ჰაკიმ ახლალა ასწია თავი, წელში გაიმართა, ყურთასმენა რევოლვერის ხმაშ შეუნგრია და მისმა თვალებმა ალბეჭდეს კეფაზე მიყენებული რევოლვერის ლულა.

რევოლვერის ხმაც და უჯუშ ემხაც სადღაც უცსკრულში ჩაინთენენ. გამწარებული ჰაკი გიჟივით ყვიროდა და კბენდა მეზღვაურებს, კუზმას კი სულიერად აუჯანყდა: „კაპიტან, მე შენი მეზღვაური ძმასავით ვიტირე, მით ძმობა შემოგვიცე... შენ კი უჯუში მომიკალი. ძალლი ყოფილხარ, კაპიტან...“ ჰაკის თვალები სიძულვილის ცეცხლის ნაპერწკლებს აფრქვევდნენ გარშემო და პირიდან დორბლი ცვიოდა. კუზმაც შეზარა მისმა შესახედაობამ, სახის უძრავი ნახევარიც კი მოუქცია და აუკანკალდა.

მეზღვაურებმა ბოცმანის ბრძანებით ხელი შეუშვეს ჰაკის. ის ერთი ნახტომით გემბანის მოაჯირთან გაჩნდა. კილგამ დაიგმინა, – შესდექ! სანამ ტანს მოაჯირზე გადასახტომად მოიმარჯვებდა, ჰაკიმ კუზმასკენ მოიხედა შელრინებით.

„შენ სიკვდილი გეკუთვნის ჩემგან! – შესძახა კუზმამ და იმავ წამს რევოლუციიც გავარდა. შუბლგანგმირული ჰაკი იატაკზე გაიშხლართა, წამით სიჩუმე ჩამოვარდა. – „სულ ერთია, ეს მონა ადამიანად მაინც არ გამოდგებოდა, აიღეთ, გადააგდეთ“, – მშვიდი ხმით თქვა კუზმამ.

პოსეიდონის ძლიერებით შიშის ქარს ბერავს ცხვირიდან კუზმა კილგა. ამ ქარის მიმართულებით ჰაკი მანამდე მოძრაობს, სანამ უჯუში ცოცხალია, მაგრამ მას შემდეგ, რაც ძიძიშვილი უფსკრულში ჩაინთქა, იგი ამ ქარის საპირისპირო მიმართულებით იბრძვის.

ძუძუმჭების სხეულებს ერთი მორალური გული ამუშავებდა, ამიტომაცაა, რომ უჯუშის სიკვდილის შემდეგ ჰაკი სიძულვილს აფრქვევს პირიდან დორბლი ცვივა და ცხოველურად ღრენს.

კუზმას ყელში შურისგების ბურთს ბერავს უშიშარი ადამიანის გამოჩენა, არსად გამოკრთება მისი ბრაზი იმ გარემოებაზე, რომ მისი სამი მეზღვაური დაამარცხა მხოლოდ ერთმა ოფიცერმა. აშკარაა, შურისძიების ბოლმა განპირობებულია იმით, რომ შიშის მიკრობმა მის სხეულში შეაღწია. ხორცით მამაცი კაპიტნისთვის აუტანელია უჯუშის ვაჟკაცობა, მითუმეტეს, რომ იგი თავადია. შიშის ფრქვევა კუზმას ფანტომური საკუთრებაა, მას კერავის დაუთმობს.

სოციალური მდგომარეობით გათამამებული ვასილ ხრიტანიუკი რევოლუციის შედეგად აღზევებული ახალი მბრძანებელია, რომელიც მიემოწმება და მიემგვანება კუზმა კილგას სახის მარცხენა ნაწილს. დამცინავი მიმართვა აწეული ხმით „უფალო ოფიცერო“, სიძულვილით ანთებული თვალები, კლანჭებად ქცეული თითები იფერფლება უჯუშის ღირსების წინაშე, უფერულად.

სათაური — მოთხრობის პარიზში

უჯუშ ემხა თხზულებაში რაინდობის ეტალონია, ის ცენტრალური პერსონაჟია მოთხრობაში, რადგან მოვლენათა განვითარების ხდომილებებში მხოლოდ იგი მოექცა ღალატსა და შურისგებას შორის. მკითხველს მეტად მგრძნობიარე მიმართება აქვს მისადმი, იქნებ როგორმე გადარჩეს ქალაქში ღირსების ერთადერთი ცოცხალი მაგალითი ამ შიშით თმებდავარცხნილ საზოგადოებაში, უჯუშის ფიზიკური გადარჩენის გზა კიდევაც გამოჩნდა, ჰაკი მილიციის უფროსს განუცხადებს, მე ვარ მკვლელიო, თოუხანი უჯუშს მთელი ძალ-ლონით შეეტოტა, როცა ადგილიდან მორღვევა დააპირა, მან მხოლოდ საშინელი დამუქრებით წამოყვირება მოასწორ ძიძიშვილის სახელისა. უმალ ხუთიოდე თავადის ხელისგული აეფარა პირზე, ვიწროდ შეკრეს წრე მის ირგვლივ, თან ეუბნებიან: „კარგად იქცევა, ძიძიშვილი რომ არის, თავიც უნდა გასწიროს შენთვის“, „ერთი გლეხი შენისთანა თავადს რომ შეეწიროს, რა დიდი ამბავია, ბოლშევიკები ბატრაკად ჩათვლიან, იქნებ არც დახვრიტონ... კბილების ღრჯიალით ჰაკიც მუქარით ცდილობს გააჩეროს უჯუში, მაგრამ ნათესავებს ხელიდან დასხლეტილი რაინდი

წარდგება მილიციის უფროსის და ქალაქის თავის წინაშე: „აქ ვარ მეზღვაურების ნამდვილი მკვლელი და გნებდებით. გთხოვთ, ახლავე გაათავისუფლოთ ბექირბი ჩაჩბა და დედაჩემი!“

ღირსების დღისა და ღამის გზაგასაყარზე წამით არ შეყოვნებულა უჯუში, მეტად ტრაგიკული საყურებელია ახლობელ თავადთა გაბრძოლება ძიძიშვილის მსხვერპლშეწირვით გადაარჩინონ რაინდი, ისინი ვერ ხვდებიან, რომ უჯუშის მორალური მკვლელები ხდებიან ამით. თავადების საქციელი ინსტინქტურია, მათ შეგონებებს კი ხავსის ძლიერებაც არა აქვს მისთვის.

ერთადერთი ადამიანი, რომელიც უჯუშის გვერდზე დგას ფიზიკური და მორალური თავგანწირულებით, არის ჰაკი. მკითხველი, რომელსაც რამდენჯერმე აქვს წაკითხული თხზულება და, რა თქმა უნდა, იცის, როგორ მთავრდება, ჰაკის გამოჩენისას სიჩქარეს უმატებს კითხვისას, ამასთანავე, უცნაურია, მაინც გიჩნდება პატარა იმედი, იქნებ როგორმე გადარჩეს უჯუში, თითქმის ჰაკის ემგვანები – მკითხველი შიშის ყუთში ისევ ბორგავ, როგორც ჰაკი. მოკლედ რომ ვთქვათ, ჰაკი მკითხველში ჰიპოსტასირდება.

და მაინც, რატომ დაარქვა ჰაკის სახელი მოთრობას, როცა უჯუში გაცილებით უფრო გულის გულში ჰყავს მკითხველს?

უჯუშის სახეში ლეო ქიაჩელი ინახავს ისტორიულ და სულიერ სინამდვილეს. მან თავისი პიროვნული და მოქალაქეობრივი ღირსების დასაცავად მოკლა მოძალდე, მაგრამ ამაში გარკვევის მსურველი არავინაა, არავის აინტერესებს ვინაა მტყუანი და ვინ – მართალი. ღირსების მატარებელი ადამიანები საბჭოთა სინამდვილეში იძალებოდ-

ნენ, მაგრამ საპატიმროში ექცეოდნენ, სადაც უმრავლესობა იხოცებოდა. არ ჩანდნენ ღირსების გვერდზე მდგომნი, შიშის ყუთის დამსხვრევა კი მხოლოდ მათ სიმრავლეს შეეძლო.

ეს მოთხოვთ შიშის წინააღმდეგ, შიშის გასანადგურებლად დაწერილი მოთხოვთაა, ამიტომაც სიკვდილი, თავის მხრივ, არის მეტაფორა დასკვნისა. სიკვდილი გათავისუფლება აუტანელი ყოფისაგან, ჯოჯოხეთი არის ლეჭვა ერთი და იმავესი, ანუ შეუძლებელი სიკვდილი – შიში.

ლეო ქიაჩელი მოთხოვთაში ყოველივეს აგვინერს იმისთვის, რომ დაინახოს ის, რასაც ხედავს. რას ხედავს მწერალი? მწერალი ხედავს, რომ ღირსების გადარჩენა თანადგომაშია, რომ ერთი ჰაკისნაირი თანამდგომი ფიზიკურად ვერ გადაარჩენს, მაგრამ მორალურად ღირსების მზეს უფრო ააკაშკაშებს.

ჰაკის შიში ვერ მოერეოდა იმიტომ, რომ წაკვთიანი, ხმელი, სწორად სხმული ტანი აქვს, მარდი და მოქნილი კატასავით. თმები შიშისაგან ყალყზე არ შეუდგება, იმიტომ რომ ზამთარ-ზაფხულ თმებგადაპარსული იყო. ბრბოს სიბრმავისთვის მიუშვერია კუპრივით შავი წვერულვაშით დამშვენებული სახე, შავი ჩამოწოლილი წარბებით, ლაპარაკის დროს მორიგეობით რომ იზნიქებოდნენ და აჩენდნენ ბუდეებში ღრმად ჩამსხდარ პატარა თვალებს, საგნებს ისარივით რომ ერჭობოდნენ. სიცოცლის ასეთ ტანს შეუძლია მოქალაქეობრივი აზროვნება და ქცევა, ასე სწამს მწერალს თავად, ამიტომ წარმოგვიდგინა ასეთი პორტრეტული სხმულობით... მაგრამ იგივე ტანი, ძიძიშვილის ერთგულების აღტკინებით უკვე ჩაფერიფლი-

ლი კლასობრივი თეორიებით განათლებულთათვის, მონაა, რომელიც ადამიანად არ გამოდგებოდა. მწერალი იძულებული იყო მოთხრობა ისე დაეწერა, რომ ნაწარმოებში მზირალ ბოლშევიკურ თვალს თავისი საამებელი დასკვნა ამ პერსონაჟზე გაეჭერებინა მასებში.

თავისთავად ჰაკის უპირობო ერთგულებამ უჯუშისადმი გარკვეულწილად შეიძლება ანტიპატიური ღრუბელიც წარმოშვას. დავუშვათ, უჯუში თავად რომ ყოფილიყო მოძალადე, ჰაკი ხომ მას მაინც უერთგულებდა? ჰაკის მამის სიტყვები: „სიცოცხლე იმიტომ მოგეცი, რომ უჯუშს შესწირო, როცა ამის საჭიროება დადგება.“ მამისაგან დაკისრებული ცალმხრივი მოვალეობა გარკვეულწილად ჰატივს ჰყურის მას. მწერალს ყოველივე ეს მოთხრობისათვის გადასარჩენ მწვანე შუქად სჭირდებოდა ცენზორის ხელში.

უჯუშს – ღირსების დამცველს, გვერდით მდგომი ჰა-ერივით სჭირდება. გვერდით მდგომი მისი იმედია, იმედი კი ღლომის ძალასა და ვეფხვის შეუპოვრობას მატებდა, ამიტომაც უკიოდა ხან ხმამაღლა, ხან ჩუმად შეჭირვებული. „სიკვდილზე უფრო მნარე იყო უიმედობის გრძნობა“ იმედი – უერთგულესი ადამიანი მხოლოდ ერთი. ჰაკის ერთადერთობა ფერმკრთალი მინიშნებაა იმაზე, რომ ჰაკი ღმერთის ძლიერებით მყოფობს უჯუშის ფსიქიკაში. უჯუშის ირგვლივ სიბრუნვეში ერთადერთი ჰაკია მზე. უჯუშს ავთანდილის პირით შეეძლო ეთქვა: „... ჰე, მზეო, ვინ ხატად გთქვეს მზიანისა ღამისად.“

მზიანი ღამის ერთადერთობის შინაარსით დადის ჰაკი – ღირსების დამცველი.

მოთხრობის მთავარი სათქმელი სათაურში აქვს მი-

ტანილი ავტორს ხილული და უხილავი ძაფებით. ჰაკი ხილული ძაფით მონაა, უხილავით კი – ღმერთი. მთავარი ისაა, რა ხელს უკავია თხზულების კალეიდოსკოპი: კლასობრივი თეორიებით გამოტენილი ტვინი აქვს, თუ ძიძიშვილობის ტრადიციებით გამსჭვალული სულიერება, შიშის ვარაყებიან რეალობაში კონფორმისტულად სუნთქავს, თუ ამბოხი აქვს შიშის წინააღმდეგ. მაშასადამე, იმის მიხედვით, როგორი ვინაობით აზროვნებს მკითხველის ტვინი.

უფრო მწვავედ რომ ვთქვა, მისი ვინაობა რომელი ტინის კლდეზე ურტყამს თავს. ფოკუსი რაზე შეუძლია და ამასთანავე, რაზე სურს გაასწოროს. შევნიშნავ, რომ შესაძლებლობა და სურვილი ერთმანეთს უნდა ემთხვეოდეს. სურვილი კი იმის მიხედვით იბადება რეალობის წინაშე (რომელიც მუდამ სიკვდილის ენაზე ელაპარაკება ადამიანს) მის ხორციელ მგრძნობიარე კანს, როგორი ემოციური ტყაპუჭი ფარავს.

ოქტავის სრულყოფილებით ხმიანობს ოთხივე სმენადობის მკითხველისათვის ეს მოთხრობა, ოთხივე შემთხვევისათვის სრულიად განსხვავებული მელოდიით. ამის კვალობაზე კალეიდოსკოპური ხალიჩაც, მოთხრობაში დანახული, ოთხ ნახატზე სწორდება სრულყოფილებით. ამიტომაცაა, რომ მოთხრობის ზედმეტად დაკვივრებულ მკითხველს სურს აღმოაჩინოს დეტალებს შეფარებული მწერალი.

სიტყვას შეფარაგული მცირალი

ფუტკრის ხავერდოვანი სიტყვის სხეულით დაფრინავს მწერალი, თითქოს მწერივით უღონო, შეუმჩნეველი, ზოგიერთ პერსონაჟს თაფლიან სიტყვას ათქმევინებს, ზოგს ნექტრავს შეუმჩნევლად, მაგრამ ისე, რომ მისი აწნილი სიტყვის ზუზუნი გამოკვეთილად სხვადასხვა მსოფლალქმის მკითხველს ყურში არ შეეჩიროს.

- ფრთხილად, მაგრამ მაინც ეხჩირება მკითხველს სამსონ დავანაძესთან მიმართებაში გამოყენებული სიტყვები, „პირდაუბანელმა ქალაქის საბჭოს მიაშურა“, „შენით მოალაჯებდა“, „აიმრიზა ქალაქის თავი“, „... დავანაძის ჭკუამახვილობის და ალლოს მაჩვენებელიც იყო“ (ირონიული ელფერი აქვს ამ სიტყვებს).
- „.... კისერწაგრძელებულები ქვემდან შესცეროდნენ უფროსის სიდინჯით მათკენ მიმავალ საკვირველებას. (საკვირველებაში იგულისხმება კუზმა კილგა, კისერწაგრძელებულებში – ნარიქ ეშბა და სამსონ დავანაძე).“
- „ხრიტანიუკის თვალებს ცოფის ალი შეუკიდეს მიმავალ ემხას ოფიცრის ეპოლეტებმა.“
- ... მიტინგი შეირხა, მერე ყურებდაცქვეტილი გაინაბა, გარინდდა.“

სიტყვა ყურებდაცქვეტილი, კურდლლის ეპითეტია. ე. ი. ამდენ ხალხს ერთად კურდლელივით შეშინებია.

- „ბრძო შეიკუმშა, შექუჩდა... დამფრთხალ ფარასავით შეეფინა“.“

მკითხველს უნდა აინტერესებდეს სიმპათია-ანტიპათიის სეფე სანთელი სიტყვისა, რა დეტალებს შეაფარა

ავტორმა, რომ მის ბილიკზე იაროს შეუცდომლად, თვითონ ლეო ქიაჩელი, ალბათ, მიღმა ქვეყანშიც კვლავ ელოდება თავისი მოთხრობის შეუცდომელ მკითხველს.

რვა ათეული წლის განმავლობაში უკვე ჩაიარეს კლასობრივ ბრძოლებში ჩართულებმა, ჩაიარეს ტრადიციებში ჩართულებმა, ჩაიარეს შიშთან კონფორმიზმში ჩართულებმაც; სამივე ტიპის მკითხველი მოვლენებს მხოლოდ შავ-თეთრი ფერებით ხედავდა, პერსონაჟებსაც ორ სვეტში მიჯნავდა – დამნაშვეებად და უდანაშაულოებად.

„ჰაკი აძბას“ ჭეშმარიტი მკითხველის მოლოდინშია ავტორი, ავტორი, რომელსაც სულიერი ამბოხი ამოძრავებდა შიშის წინააღმდეგ, ამიტომაც დაამშვენა საქართველოს ცა შიშის გასანადგურებლად ჰაერში აშვებული ცეცხლოვანი ფრანით – მოთხრობით „ჰაკი აძბა“.

პერსონაჟთა გალერეა

მეტად აუცილებელია გავიაზროთ, როგორი ვინაობით წარდგება მკითხველის წინაშე მოთხრობის სათაურში გაყვანილი ავტორის საყვარელი გმირი, სათაურში გაუყვანელი, მწერლის ასევე საყვარელი გმირი – უჯუშემსა, უსახელო, სახელითა და გვარით გაცნობილი პერსონაჟები, უჯუშების მეგობართა წრე, თავადთა წრე და ყველაზე მთავარი – ხალხი.

ჰაგი – ადამიანია, რომელსაც შეუძლია უჯუშების უპირობო სიყვარული. უპირობო სიყვარულის უნარით ბუნებაში დაჯილდოებულია დედა, მაგრამ ეს სიყვარული სხეულებრივ თავგანწირულებამდე ვერ აიზიდება

ხოლმე რეალობაში მრავალი მიზეზის გამო და ასევეა ამ მოთხოვნაშიც. ჰავას, როგორც გამორჩეული პერსონა-ჟის, ღირსება-უნიკალურობა ამ ჰარამეტრშია სწორედ საოცარი და გამაოგნებელი.

თავისდაუნებურად მოდის კითხვა: რა გრძნობა-დი წყარო კვებავს ჰავას ფსიქიკას, თავგანწირულების ძარღვი სისხლსავსე მჩქეფარებით ატაროს მთელი სიცოცხლე, არც ერთი წუთის გამოტოვებით. უპირველესი წყარო, საზოგადოდ, ადამიანის განყენებულად სიყვარული და მეორე – გენერაციული ბმულობა ტრადიციებთან. ეს სისავსე კატის მოქნილობით ატარებინებს სხეულთან ერთად მორალსაც. ნაკლებსაკვირველია კატის მოქნილობა სხეულში, მაგრამ განსაცვიფრებელი ფსიქიკაში. უჯუშისადმი თანაგრძნობა ბრწყინვალე თავადების წინაშეც ათქმევინებს თავის სიტყვას. მოულოდნელია მკითხველისთვის ჰავას მლიქვნელობის უნარი კუზმასთან მიმართებაში, მოულოდნელია გააფთრება თავადების შეჩინებულ წრეში მოქცეული უჯუშისადმი: „ვფიცავ შენს მზეს, უჯუშ, ჩემი ხელით დაგკლავ და მერე ხორცს ძალებს შევაჭმევ, თუ არ გაჩუმდი!“...

უჯუში – ამ პერსონაჟის სიმაღლე იმაში მდგომარეობს, რომ მან შიში დაამარცხა თავის არსში განფენილი ღირსებით. აღსანიშნავია ისიც, რომ იგი თავის თავში უკმარობის მომენტსაც ატარებს. თვითკმარ სიმაღლეს თავის თავთან მარტოდ დარჩენილი მხოლოდ მაშინ ატარებს, თუ იგი ჰავასთან ერთად არის. ჰავი მას იმისთვის კი არ სჭირდება, რომ ამოეფაროს, არა, იგი ჰავასთვის კაშკაშებს, მას ჰავას თვალებში დატანილი ღირსების ანარეკლის კაშკაში სჭირდება, ღირსების ინსტიქტია ვიღაცაში გადადნეს მორალურად. ნამდვილად სწორია, ამ

კულტურით უნდა აალდეს ღირსება.

განსაკუთრებულ სიმპათიას იწვევს უჯუში უფროსებთან მიმართებაში, იგი ბავშვივით თავდახრილია თოუხანთან და შოუპართან, მხოლოდ მათთან იმართლებს თავს: თოუხანთან პირისპირ საუბარში, ხოლო დედასთან ლილის პირით შენათვალში. ორივე მისთვის ოჯახის მართულებია, ამიტომაც დგას კუთხეში და თავისი ქცევის მართებულობას მხოლოდ მათ უხსნის, ხომ უკვე აშკარაა, რომ მან სიცოცხლე წაგო.

უჯუშის მეზობერთა ზრე – ისინი უჯუშისადმი მზრუნველი და ფრიად კეთილად განწყობილი ადამიანები არიან. ყველანი ერთად შეშინებულები ადევნებენ თვალს კოშმარული სიზმრებით გატანჯულ მეგობარს, მხოლოდ გულით თანამგრძნობი მიუხვდებოდა მიზეზს ასეთი სიზმრებისას: „უჯუშს დიდი შიში აქვს გამოვლილი ბოლშევიკების წყალობით, ალბათ, ეს შიში ჯერ კიდევ გულში ჩარჩენია და ამიტომ ეჩვენება, თორემ საიდან სადაო? ყველანი ერთად მიდიან ქუჩაში იმისთვის, რომ უჯუშს მართალი ამბავი მოუტანონ, მეგობრებს თან გაყოლილ უჯუშს ვიღაც უკნიდან დაუძახებს: „შესდექ, უფალო ოფიცერო“, ხუთივე ჩოხიანის ამ წინადადებაზე სინქრონული მოძრაობით ერთი კაცივით შემოტრიალება ადასტურებს მათ პატივისცემას უჯუშის მიმართ. სანამ უჩუმრად თვალს მიეფარებოდნენ, დამრიგებლური სიტყვაც დაუგდეს: „თავდაჭერილად იყავ, უჯუშ, ალბათ შენ გეძებენ!“.

თავადება ჯგუში – თავადები გაბედულებას იჩენენ მეტად კრიტიკულ სიტუაციაში, უნდათ უჯუშის სხეული გადაუმალონ სიკვდილის დასჯის უინით ავსებულ თვალებს. მათი ღირსეული საქციელი უჯუშის გარშემო

შეჩიტებული დგომაა.

ხალხი – ყველაზე დიდი დამნაშავეა ნაწარმოებში. მართალია, ბრალი ყველას მიუძღვის შიშის სპირალისებურად დატრიალებულ ცეცხლის ალში, მაგრამ კონკრეტული დამნაშავე არავინაა, ბრალი არავის ედება. მოხდა სწორედ ისე, როგორც ნარიქ ეშბამ გათვალა. პასუხისმგებლობის ტვირთი მისმა გონივრულმა ბოლშევიკურმა საქციელმა, სიტყვამ, ქმედებამ აქცია უდანაშაულო დამნაშავეებად.

ხალხის დანაშაული მის მიამიტობაშია, მიამიტობა კი შიშმა თავის ფილტვებად გამოიყენა და პოსეიდონზე დიდი ძლიერებით დაპტერა ქალაქს (კუზმა ვერაფერს უზამდა, ხალხმა კი უქნა).

შიშის ბაცილით დაავადებული ხალხი მართვადია, შეთანხმებულად მოძრაობს, რათა რეალობის მორგების ჯაჭვში თავი ფიზიკურად გადაირჩიოს, ცეცხლი ღირსებისა ერთ არსში თავისითვის იწვის, მის მორალურ კაშკაშს ხალხი ვერც ამჩნევს, ამ კაშკაშს პატივს სცემს მხოლოდ თოუხანი, ხუთიოდე თავადი, ეს კაშკაში კი მხოლოდ ჰაკისთვისაა სიცოცხლის აუცილებელი პირობა.

მიტინგზე შეკრებილი ხალხი რევოლუციის ხმაზე სრულ უსუსურებაში ვარდება და კურდღელს მიემგვანება: „რევოლუციის პირველი ხმის გაგონებაზე მიტინგი შეირხა, შემდეგ ყურებდაცქვეტილი გაინაპა, გარინდდა. შემდეგი სროლის ხმა თითქოს არც კი გაუგონიაო, ისევ უძრავი და სულგანაბული დარჩა.“

შიშის გუშაგები

სოხუმის დელეგატებმა, სამსონ დავანაძემ და ნარიქ ეშბამ, მოტორიანი ნავიდან შეათვალიერეს სამხედრო გემი. გაუკვირდათ, რომ გემზე კაცთაგანი ვერ შენიშნეს მხოლოდ მიახლოებისას, კარგა დაკვირვების შემდეგ გაარჩიეს „ზარბაზნების ყელებსა და საფეხურებს შორის მიმალული ორი გუშაგის უძრავი სილუეტების ნაკვთები, რომლებიც პირველად ზარბაზნის ბრინჯაოს ნაწილები ეგონათ“.

პირველი გუშაგი – რეინისფერი პროფილით დგას ზარბაზნების ერთ მხარეს.

მეორე გუშაგი – ზარბაზნების მეორე მხარეს იდგა მისი მხოლოდ ორი ნაკვთი, მოჩანდა ზარბაზნების ყელს ზემოდან შუბლწამოხურული სახე შავ ღრუბლებში ჩამსხდარი თვალებით. უჩინარი ტანის გვერდის ხაზზე მარჯვენა ბარძაყის თავთან მიმაგრებული კუნთებდაჭიმული მკლავი და მუშტი, რომლებიც თოფის კონდახს მუხრუჭივით შემოკვროდნენ. ორივე გუშაგი ლარის სისწორით დასცექროდა ნავში მსხდომთ.

გუშაგთა სტატიკური ფიგურები ზემოქმედებს დელეგატებზე „მათ სახეზე განსაკუთრებული უსიტყვო გაკვირვება გამოიწვია, რომელშიაც გემის მოულოდნელი დისკიპლინისადმი მორიდება და შიში იხატებოდა და ფარული ეჭვიც.“

გუშაგების ტანი მათში განთავსებული იარაღის მართვადი ნაწილია და მეტი არაფერი, ეს თრგუნავს, აცვიფრებს, აშინებს ადამიანს.

სურათის უძრავ გამოსახულებად ქცეულ გუშაგებს შემდეგ ჩაენაცვლება თითქოს კინოკამერის ობიექტივში

მოხვედრილი, ახლა უკვე სხვა მეზღვაურის, ტანის მოძრავი ნაწილი. „არ გასულა ხანი, რომ კიბეზე შარვალგად-მოშვებული ორი ჩექმა ამოძრავდა ერთი-მეორის სწრაფი ცვლით და ნავის პირდაპირ საფეხურზე ორივე ერთად შედგა“. საყურადღებოა, რომ მკითხველს ნამდვილად უქმნის საზოგადოდ ჩექმის აბსტრაქტულ განწყობილებას. განწყობილებას, რომლითაც მთელი მსოფლიო იცნობს იმ ერს, რომლის შვილიც იყო ეს მეზღვაური.

მწერალი გამორჩეული ხელწერით წარმოგვიდგენს, მოძრავი ჩექმები როგორი სახისმეტყველების ადამიანს მოჰყავდა მოძრაობაში. მას გულამოლებული ხალათი ეცვა, წელზე ფართო ქამარი ერტყა, რომელშიც ნაგანი ჩაერჭო. მზისგან დამწვარი, ძვლებამობურცული ქოსა სახე აქვს, შეუპოვრობის იერი რომ გადაჰკრავს, გულ-მკერდი მთლიანად დატატუირებული – ნამგალი და ჩაქუჩი აჯდა ერთმანეთს გადაჭდობილი. მას კატის სიმარდითაც შეუძლია მოძრაობა. ქალაქში აფრიალებული წითელი რევოლუციური დროშები მეზღვაურში ბადებს სურვილს გემთან მისულ დელეგაციას ლალად შეხვდეს, მართალია, ეჭვის თვალს მაინც გადაუბრიალებს, მაგრამ ვასილ ხრიტანიუკს გაეცნობა და მეგობრების შერქმეულ ზედმეტ სახელსაც ასწავლის.

ლეო ქიაჩელის ყოველი პორტრეტული შტრიხი ვა-სილ ხრიტანიუკის წარმოსადგენად გამოყენებული ლი-რებულებას კარგავს მაშინ, როცა კუზმა კილგა ასე უდი-ერად მიმართავს მას: „– შენ რად ღრიალებ აგრე, ხრი-ტანიუკ, ბატისტვინო!“

სამსონ ჯავანაშვი – ერთ-ერთი რეალური დამნა-შავეა მათ შორის, რომელთაც შეეს ხალხი კურდღლის

ინსტიქტებით.

სამსონი თავადაა შიშის ქვაბი, მას სიმალლე, ზორბა ტანი ვერ შველის, შიშს პატარა გაბედულებით მაინც დაუხვდეს. მაგრამ ლოგიკას იყენებს, როცა შეგროვილ მოქალაქეებს არნმუნებს თავიანთი შიშის ახირებულობაში და ეტყვის: გემი, იმიტომ არის გემი, რომ ზღვაში მიმოდიოდეს, მაშ, ხმელეთზე ხომ ვერ ივლისო. მას შიშთან მიახლოვებაც კი ტრავმას აყენებს. ეტყობა, ამიტომაც გადაწყვიტა, თუ განგაში ტყუილი აღმოჩნდებოდა, სასტიკად დაეტუქსა ისინი, ვინც ხალხში ჭორს ავრცელებდა და შფოთს იწვევდა. სამსონ დავანაძის ლიტერატურულ პორტრეტს წითელი წვერიც ამშვენებს მკერდზე დაფენილი, ამით მწერალი უთუოდ ხაზს უსვამს მის ცხოვრებისეულ გამოცდილებას, მაგრამ ყველა გამოცდილება საკუთარი მდგომარეობის შენარჩუნებისთვის სჭირდება. მონახავს თუ არა შექმნილ მდგომარეობაში გადარჩენის ვიწრო ბილიკს, უმალ სიხარულისაგან წამოიძახებს „ევრიკა!“... იქნებ ასეთი შინაგანი ბუნების გამო მის წვერს ანტიპატიური წითელი ფერი ამიტომ აქვს?

რევოლვერის ხმამ მიტინგის მსვლელობისას სამსონის გადარჩენის ბილიკები წამში დაანგრია. „მიტინგის დაცარიელებულ ადგილზე რამდენიმე კაცი დარჩენილიყო, რომელთაც არ იცოდნენ, როგორ მოქცეულიყვნენ, ან საით წასულიყვნენ, მათ შორის ზორბა ტანი განირჩეოდა მკერდზე დაფენილი წვერით. იგი ქუდმოხდილი იდგა ერთ ადგილას და თავისთვის რაღაცას ბუტბუტებდა გაუგებარს, მოჩვენებას რასმე დამსგავსებოდა.“ **საყურადღებოა, ამ მომენტში მწერალი აღარ ახსენებს წვერის ფერს, წითელი ეშმაკობის თავი აღარ აქვს მის ეშმაკობას ალბათ და ამიტომ ტანიც უხერხემლო დგომითაა,**

კაცობის ქუდიც აღარ ამშვენებს, ყოჩალი მოლაპარაკე მხოლოდ გაუგებარ ბუტბუტს ახერხებს... და ყველა ნიჭიერებით გამოცლილი მოჩვენებას ემსგავსება. სამსონი მოჩვენებას მხოლოდ რამდენსამე ხანს ჰგავს, რაზმის უფროსთან მოხმობილი მეზღვაურის ქლოშინით ნაამობი „სამსონ დავანაძის ყურებმაც“ ზედმიწევნით მოისმინეს (ავტორის ეს გამონათქვამი მეტად ფამილარულია მთელ ქალაქზე მზრუნველ ადამიანზე. აქ და სხვაგანაც იგრძნობა მწერლისეული ანტიპატია) და ახალი ძალით, ღონით ივსება მისი არსება. რაკი შეიტყო მომხდარი ამბავი, ისიც გაიგო, ვინ იყო, მან უკვე იცოდა, როგორ უნდა ემოქმედნა და ახლა უკვე „ერთიორად გამოიჭიმა მოედანზე“. მილიციის უფროსი მოიხმო თანაშემწებით, სასტიკი ბრძანებები გასცა, რათა ოფიცერი ემხა აღმოეჩინათ და ცოცხალი მიეგვარათ მისთვის. მერე ყოველივე მგრგვინავი ხმით რუსულადაც თქვა, მეზღვაურებს რომ გაეგონათ.

თვალშისაცემია სამსონ დავანაძის მსახიობური ნიჭიერება, ირონიულად რომ ვთქვა, კაცური სიმაღლე, როცა დიდი რიხით მივა უჯუშთან, პატივისცემის ნიშნად ქუდის მოხდით აძლევს სალამს. ირონიულია თვით ავტორი მის მიმართ, როცა საჭირო დროს კვლავ ქუდით წარდგება უიარაღო უჯუშის წინ და ფრიად გულშიჩამნვდომ სიტყვებს ეუბნება: „ძალიან ვწუხვარ, თავადო, რომეს მეტად საწყენი საქმე შეგემხთვათ და ჩვენც იძულებულები ვართ, სასტიკი აუციებლობის წინაშე ქედი მოვიხაროთ. დარწმუნებული იყავით, რაც გაგვივა, ცდას არ დავაკლებთ, რომ მდგომარეობა შეგიმსუბურებთ“. თანაგრძნობის გამომხატველი სახე, რომელსაც უჩვენებს უჯუშს და მის ახლო ნათესავებს, სრულიად განსხვავებული მსოფლალქმას

მკითხველისათვის ერთნაირად ამაზრზენია. **სამსონის, როგორც ლირსების ზრდილობიანი კაციჭამიის, სახე ამ ეპიზოდში შიშვლდება სრულყოფილად.**

თავად ლირსების კაციჭამია ვერ ეგუება და ხასიათს უფუჭებს სამსონს ვასილ ხრიტანუკის დამცინავი მზერა, ფამილარულად ხელის წათათუნება.

რაზდენ თორია – რაზდენ თორიას მოთხრობის პირველივე თავში გვაცნობს ავტორი.

საგულისხმოა, რომ მწერალი მას გვაცნობს, როგორც ბინოკლის მეპატრონებს. ამ საგანს – ბინოკლს რაზდენი გასართობად არ დაუმეგობრდებოდა, მას უთუოდ შიშის განცდა ანუხებდა. შორით ჭრეტა პრევენცია იყო შიშისგან თავდასაცავად. სამსონსაც საყურადღებო სიტყვებს ჩასჩურჩულებს „– მოგეხსენება სიფრთხილეს თავი არ სტკივაო“, აშკარაა, რომ არც თვით სამსონთან ყურში შემძვრალი მეგობრობა არაა უბრალო შემთხვევითობა.

რაზდენ თორია, მდიდარი მესაკუთრე, სოხუმის გავლენიანი მკვიდრთაგანია, უპარტიოა, მაგრამ საგანგებოდ იწვევენ კრებაზე. „– ჩვენ უბრალო ხალხი ამ ანგარიშებში არ ვერევით, ეს ჩვენი საქმე არ არის, – ამბობს კრებაზე სიტყვით გამოსული რაზდენი. ეს დიპლომატიური თავმდაბლობა და გასროლის საშიშროება მთელ დარბაზს მისი აზრების თანამოზიარედ ხდის.

რაზდენ თორიას პირვენებისადმი პატივისცემას სრულიად კარგავს მკითხველი, როცა უჯუშის დედას უსინდისო კითხვას უსვამს: „ის მაინც გეცოდინება, შენი ვაჟის ძიძიშვილი, ჰაკი აძბა, სად იმყოფება, უჯუში უთუოდ მასთან იქნება.“ შოუპარის საუბრის კილომ

„თავხედ ვაჭარს აგრძნობინა, ჩემი პასუხის ღირსი არ ხარ, მაგრამ ახლა სხვა გზა არ მაქვსო“, საყურადღებოა, რომ ლ. ქიაჩელმა სიტყვა, თავხედი საკუთარი ხელით ესროლა რაჟდენს.

რაჟდენი შესანიშნავად ფლობს ობიექტურ რეალობასთან მყნობის ნიჭიერებას, რასაც ავტორი მიკროსკოპული ხედვის უნარით ამჩნევს, მაგრამ ასევე მიკროსკოპულად ნამდვილად არ აგვინერს.

რაა საგულისხმო ამ პერსონაჟში

- მდიდარი ადამიანი ყველაზე მშიშარაა. მას შიში მაშინაც კი აწუხებს, როცა ის არსადაა. ამის მიხედვით ირჩევს ამხანაგს, საყვარელ ნივთს.
- მდიდარ ადამიანს საჭირო დროს აქვს ხალხთან ყოფნისა და მასზე ზრუნვის სურვილი, მაგრამ საჭირო დროს ვერ უდგას პატრონად ღირსებას.

ნარიძ უშაა — მუშათა, გლეხთა, ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს თავმჯდომარე, სამსონ დავანაძის კარგი მეგობარი, რევოლუციონერი ნაციმბირალი. აფხაზთა შორის ყველაზე უფრო წინდახედული, ჭკვიანი და მოქმედი კაცი იყო. მას მთავრობის საწინააღმდეგო განწყობილებას სწამებდნენ, მიიჩნევდნენ რუსეთის მომხრედ. საბჭო, რომელსაც იგი თავმჯდომარეობდა, თითქმის არ მოქმედებდა. ამ ორგანიზაციის მოვალეობად ისიც ითვლებოდა, რომ დროგამოშვებით, როცა ვითარება დაიძაბებოდა, მომენტის შესაფერის რეზოლუციას მიაღებინებდნენ და გაზეთში გამოაცხადებდნენ.

სამსონ დავანაძემ, მძიმე წუთებში თავისი ამხანაგი ნარიძ ეშბა რომ გაიხსენა, „წვერის დაფერთხვით თავის თავს მიხვედრა მოუწონა“ და სიხარულით შესძახა: „ევრიკა!“

ნარიძ ეშბას კრიტიკულ სიტუაციაში ღავირების უნარი ფრიად მოსწონს სამსონ დავანაძეს და შურითაც კი ავსებს მისადმი იმის გამო, რომ მან უცბად იპოვნა მოხერხებული გამოსავალი. თავის თავთან მარტოდ დარჩენილი ქალაქის თავი დაასკვნის: „აფხაზები ბუნებით დიპლომატები არიან, კიდევ მაჯობა, მგონი ჭკუაში“. სინამდვილეში ნარიძ ეშბას ეს ნიჭიერება შეთვისებული ჰქონდა ბოლშევიკებისაგან: პასუხისმგებლობის ტვირთი გაერნანილებინა ისე, რომ ბრალი ყველას და ამავე დროს არავის დასდებოდა.

ნარიძ ეშბას ძნელად შესაჩნევი ნიჭიერება დაუნახავი დარჩა თვით სამსონსაც, დეკლარაციის კითხვისას კრებაზე. მის ეშმაკობას ჩადარაჯებული ყურადღებით აგვინერს თავად ავტორი. საყურადღებოა, იგი ბოლო გამომსვლელია. ბექირბი ჩაჩბას მიმართვამ ისინი მოსალოდნები საშიშროების წინ დააყენა, რაჟდენ თორიას რჩევამ მოქმედების გზაზე მიუთითა, ნარიძ ეშბამ კი ისეთ სიტყვიერ ლაბირინთში გაახვია გარკვეული, აზრის დანახვა შეუძლებელი იყო. მისი „დასკვნა წინდახედულად იყო მოზომილი და ავტორს ყოველგვარ ეჭვს გარეშე აყენებდა, რაგინდ თვალსაზრისით გაგესინჯათ იგი.“ ყველა რევოლუციის მხარეზე ამ ბილიკით გაიყვანა.

ნარიძ ეშბას ვირტუოზულობა იმაში მდგომარეობს, რომ მისთვის მთავარი ის კი არ არის, რას გაგებინებს კრების მონაწილეებს, არამედ ის, თუ რას აფიქრებინებს მათ.

ვასილ ხრიტანიულთან საუბარში ნირწამხდარ სამ-

სონს ყოჩალად შეენაცვლება ნარიქ ეშბა. მისმა სიდინ-ჯემ, გამართულმა რუსულმა მეტყველებამ გააკვირვა მეზღვაურები, ამიტომაც მისი ძმური სალამი და მიტ-ინგზე მიწვევა პატივად მიიღეს.

მართლაც, მარჯვე სიტყვის, ქცევის ნარიქ ეშბას აზ-როვნებითი გაშეშება – ამალგამა, ემართება მიტინგის მსვლელობისას რევოლუციის ხმაზე. **ლეო ქიაჩელმა ამ პერსონაჟთან მიმართებაში მკითხველს აგრძნობინა, შიშს როგორ შეუძლია პიროვნების ყველა შესაძლებლობის მო-ცელვა მყისიერ.**

ბეჭირბი ჩაჩბა – მხცოვანი თავადის, ბეჭირბი ჩაჩბასადმი, მწერალი მკითხველს სიმპათიით განაწყობს არა მარტო მისი დარბაისლური გარეგნობის გამო, არამედ მისი პირსწორი სიტყვის და ქცევის გამო. მაშინ, როცა კუზმა კილგა რისხვისმფრქვეველი თვალით ზომა-ვდა მას, ბეჭირბი არავის ამოფარებია „ქუდმოხდილი შეს-ცქეროდა მთელი ტანის დარბაისლური აზროვნებით და ჭალარა თმების გვირგვინში ჩამჯდარი ნათლად გაშლილი პირისახით“.

კუზმას საშინელ, სასტიკ შესახედაობას ბეჭირბი ჩაჩბაზე ზებუნებრივ რამ მოვლენასავით ემოქმედნა, კუზმას ტუჩები ისე მოეკუმა, თითქოს დაუსრულებელი ზიზლისა და სიძულვილის ფურთხს დაურიდებლად მას შიგ პირისახეში უმიზნებსო. „მიმიფურთხებია მე მაგათი პრანჭვა-გრეხისათვის“, – ამბობს კუზმა, მაგრამ ბეჭირბი ჩაჩბას სახისმეტყველებას ოდნავი მწიკვლითაც კი ვერ სვრის მკითხველის თვალში.

მწერლის სიმპათია აშკარად იკითხება მისი მისამარ-თით ენობრივი სალაროს დახვეწილობაში.

მოთხოვობის ლირსებაა, რომ თხზულების თარგს ამშ-ვენებენ პერსონაჟები, რომლებიც სხვადასხვა სოციოლო-გიური შრეებიდან არიან წარმოდგენილნი, ისინი თანამე-დრვეობას ნათლის შუქს ჰქონენ, გაერკვნენ იმის ბუნებაში, რაშიც თავად მონაწილეობენ. ესაა სწორედ ამ მოთხოვობის მარადიული სიცოცხლის საწყისი.

სიდიადე ლეო ქიაჩელისა

1. დაუჯერებელია, მაგრამ ფაქტია შიშის ზეობის ეპოქაში შიშის წინააღმდეგ წერთ მოთხრობას. ამ ქმედებამ ათეიზმის ეპოქაში ქიაჩის ხატთან პირსწორი სხეულით წარგადგინათ და მოიხადეთ კაცური ვალი სიმართლის წინაშე.

2. როგორც მწერალმა ზუსტად იცოდით, რომ თანამე-დროვენი ვერ წაიკითხავდნენ ამ მოთხრობას, რადგან ვერ დაჩრდილებოდნენ იმ წერტილებში, საიდანაც წამოვიდოდა კითხვები, რომელთა პასუხები მიახვედრებდნენ მკითხველს მწერლის „მორალ სტორის“.

3. თქვენთვის, როგორც პიროვნებისათვის ძნელი საყურებელი იქნებოდა **მდუმარე მასებში ჩანოლილი პირით უტყვი ადამიანი.** ეს მასები პირმეტყველი ნიჭიერებით გაარღვევთ ამ ნაწარმოებით თქვენ, გარღვევით უჩინმაჩინის სიტყვით.

4. კონსტანტინე ლაკერბაია – ეს სახელი და გვარი უთუოდ მოსწრება თქენს ყურს. იგი იყო პორუჩიკი ნიკოლოზ ემუხვარის ამხანაგი, რომელიც მასთან ერთად მსახურობდა პოლკში. კონსტანტინე ლაკერბაიამ თავად ნახა უნტეროფიცერი კინოვალ-ჩუკის მკვლელობის გამო მეზღვაურთა გამხეცებულმა ბრძომ როგორ აკუნა იქვე ნიკოლოზ ემუხვარი და სახლში დაბრუნებულმა იმ საღამოსვე მოიკლა თავი.

კონსტანტინე ლაკერბაია ქიქოძების ოჯახურ ალბომი გაიცნო საპატრიარქოს სატელევიზიო არხის მაყურებელმა თავის უმშვენიერეს მეუღლესთან – მერი შერვაშიძესთან ერთად.

რეალური გმირის ლიტერატურული ათინათი მოთხრობა-ში უჯუშ ემხას ის ოთხი ამხანაგია, სინქრონული მოძრაობით რომ გვამახსოვრებენ თავს. მეგობრობის, სულიერი ერთობის რეალური ამბავი და ლიტერატურული ტილოს განსხვავებულობის მიზეზი ლეო ქიაჩელის ფილოსოფიური განონასწორებულობაა, რომელსაც ულმობელი დრო ავალებდა აფთიაქის სასწორის სიზუსტით გაესწორებიან ემოციები, როდესაც ამ თხზულებას წერდა.

5. მოთხრობაში მოქმედება დილაზე იწყება და მთავრდება

მზის ჩასვლით. ერთი დღის მზით განათებული გრძლიობა ბრძოს, როგორც სვანეთში უწოდებენ, „უგანაჩენოთა“ ჩასახვის, ფეხმძიმობის და დაბადების აქტია. ამით ავტორმა დედო ზარის ზრიალით ამცნო მკითხველს შიშის ფენომენის დამანგრეველი ძალა. ეს ძალა უბრალოდ შეგროვილ ადამიანთა სიმრავლეს თვალის დახამსამებაში ბრძოლდ გადაქცევს. ბრძოლული ყოფის სისაზიზლრე კი იმაში მდგომარეობს, რომ იგი ამოვარდნილია ტრადიციიდან, განყვეტილი აქვს წარმოშობის ერთიანი კავშირი. სწორედ ეს იყო ავტორის მიზანი ეჩვენებინა მომავალი თაობებისათვის პირით უტყვი ადამიანების დამნაშავეობის სიშავე. **ასეთი შავი დამნაშავე თვით კუზმა კილგაც კი არაა.**

6. ნაწარმოების შინა არსობრივი აკროსტიზული არქიტექტონიკა შიფრავს სიტყვას – ღმერთი

I აქტი

ლ-ამე – ბრძოს დაბადებამ მორალურად დააბნელა ქალაქი

II აქტი

მ-ზე – მზესავით ბრწყინდება ჰაკის სახე. მასთან შეხვედრას ესწრაფვის უჯუში, მის გამოჩენას ელოდება მკითხველი, რადგან იგი მზის სხივივით მოძრაობს და ეფინება იმედს.

III აქტი

ერთი – ჰაკი ერთადერთია, რომელიც ღმერთის ძლიერებით მყოფობს უჯუშის ფსიქიკაში, ამიტომ იგი მზიანი ღამის ხატია

ძველი ბერძენი ფილოსოფოსი პლატონი სვამს ასეთ კითხვას: „რა არის ის, რაც გვაუწყებს, რომ რაღაც შესაცნობია და გვაიძულებს ის შევიცნოთ?“ დასმულ კითხვას თვითონვე ასე ჰასუხობს: „ჩვენ თუ რამეს შევიცნობთ, იმიტომ კი არა, რომ ცნობისმოყვარენი ვართ, არც იმიტომ, რომ რაიმის კეთილი ნება გაგვაჩნია. შემეცნების სურვილი არაფერ შუაშია. ვიგებთ მხოლოდ ისეთ რამეს, რის მიმართაც უკვე ჩართულნი ვართ.“

სიდიადე ლეო ქიაჩელისა ის იყო, რომ ასეთ ჩართულობაში იყო ინტელექტუალურად შიშთან, ყოველივე ამან კი სიწმინდით, კაცურად ატარებინა ფსევდონიმი ქიაჩის ხატისა – ქიაჩელი.

როდის ხდება საცნაური სიტყვის იღუმალი მატყველება

ქლიერმა ადამიანურმა განცდებმა: ტკივილმა, სიხარულმა, სევდამ, სიყვარულმა, მეგობრობამ თუ სხვა რა-ლაც შემთხვევამ ინტელექტუალური წვდომის სურვილით შეიძლება მიგახედოს ერთი სიტყვისაკენ... და როცა ეს სიტყვა დამოუკიდებლად აღმოგაჩენინებს პასუხს დავით გურამაშვილის კითხვაზე – „ვინა ვართ?“ აღტაცებისაგან ფრენას დაიწყებ.

მოდით, ამჯერად მგრძნობიარე დაკვირვების ველში მოვათავსოთ ჩემი ცხოვრების ეს სევდიანი ეპიზოდი. ერთ უწყინარ, ტკბილ რაჭველ კაცს, ჩვენი ერის სიმღერასა და ცეკვაზე საკუთარი ძარღვებით შემოხლართულს, ჭეშმარიტი ქალობისა და რაინდობის პატივისმცემელს, ივნისის ნედლი სურნელით გაუდენთილ თბილისში, ვერაზე, წესი აუგო მიცვალებულს მოძღვარმა და ბოლოს დასძინა: ვახტანგი გუგეშაშვილი იყო უბრალო ადამიანი და მიცვალებული არ შეაწყოთ ზედმეტი პატივისცემითო.

უბრალო ქართველი – ასეთი შეფასება საერო ყოფაში თითქოსდა ბევრს არაფერს ნიშნავს. მოძღვრის ბაგეთაგან გახმიანებულმა სიტყვამ კი ღრმააზროვანი მნიშვნელობით ჩამირბინა გულში... და იქვე ხმამაღლა წამოიჭრა კითხვა: თუ ასეთებს უბრალოებს ვუწოდებთ, მაშინ ვინდაა ბრალიანი ქართველი?... ვინაა და – ცნობილი გამოჩენილი, სასახელო, წარმატებული, სასიქადულო, დიდებული, მაგრამ არამც და არამც ბრალიანი.

ქართული ენა მათ ბრალიანებს არ უწოდებს. ეს მე ჩემდა უნებურად წამომცდა ქართულისათვის მიუღებელი მსოფლშეგრძნებით. რამდენი სინომიმი მოიგონა ჩვენმა

ენამ, რომ უბრალოს საპირისპიროდ ბრალიანი არ გამოეყენებინა. არ მისცა დიდი ქართველებს ეს სახელდება იმიტომ, რომ შინაარსში ხმიანდება რაღაც დანაშაული, ბრალი. საოცრებაა ქართული სულიერების ასეთი მგრძნობიარე მიმოხრა ენაში, სიტყვის საშუალებით შეიგრძნობა არისტოკრატიზმი ერისა.

მნელი კი არა და შეუძლებელია გამოჩენილი, ცნობილი, წარმატებული, სასიქადულო, დიდებული გახდე პატარა ბრალეულობის გარეშე მაინც. მაგალითისთვის ილიას ბიოგრაფიიდან ეს ამბავიც იკმარებს. „ერთ დღეს ალავერდში მივდიოდით ხატობაში და აი აქ გზაში ილია სიხარულით მითხრა: „კოხტა მომილოცე გავათავეო. სოლომონმა აი ამდენი ფული გამომიგზავნა პეტერბურგში. ახლა მამიდა მაკრინეს დავავალე სულ მთლად დაუბრუნე მეთქი. ახლა თავისუფალი ვარ. მეტად ნასიამოვნები იყო ილია, რომ მძიმე ტვირთი თავიდან მოიშორა“. ცნობისათვის სოლომონ ჭავჭავაძე ის პიროვნებაა, რომელთანაც ასეთი პირობა შეკრა მამიდა მაკრინემ: თუ მის ობოლ ძმისწულს გაუგ ზავნიდა თვეში 400 თუმანს უნივერსიტეტში კურსის დასრულებამდე, მაშინ ილია პეტერბურგიდან რომ დაბრუნდებოდა შეირთავდა მის შვილს. მართალია, ეს უილიაოდ მოხდა, მაგრამ ილია მაინც დაემორჩილა.

რაოდენ დიპლომატურია ქართული ენობრივი ხავერდოვნება, როცა რიგითი ქართველის ღირსება მის არა ბრალეულობაში დაინახა და უწოდა „უბრალო“.

რიცხოვნებით პატარა ერს დიდი ლტოლვა აქვს ჰყავდეს ბევრი წარმატებული, მსოფლიოში წარმოჩინებული ადამიანი. კონსტანტინე გამსახურდიას შეძახილიც გაგახსენდება მყისიერ: არ გაჯობონ დიდი მდინარეების პირას დაბადებულებმათ, თავის თავს რომ ეხმიანებოდა.

აი რატომაც განიხილავს ჩვენი ენა პოზიციური სახელ-დებით წარმატებულობას და ჩვეულებრივ რიგით ქართველობას.

ასეთი ზრდილობით დგანან თხუთმეტი საუკუნით ნახედნი ქართული სიტყვები 21-ე საუკუნის ინტერიერში და სხვა ენების შემსწავლელ ადამიანებს ისეთ ინსტრუმენტებს ჩუქნიან მაღალსა და დაბალს ერთმენეთისგან რომ გაარჩევინებენ.



„შემეცნება წინა ცხოვრების გახსენებაა“ (მ. მამარდაშვილი)

ენა იდუმალი მისტიკური კავშირია წინაპრებთან, ამიტომაც გამიჩნდა სურვილი სიტყვის მეშვეობით გავსაუბრებოდი წინაპრებს, რომელთაც ულამაზესი ენობრივი სხეული გვაჩუქეს, რომელიც ისეთივე ძეგლია როგორც ნიკორნმინდა, ბედის თასი, ხახულის კარედი, ჩაკრულო, ცეკვა ქართული . . .

ქართული ენის შემეცნებითი ზარის გუგუნი რომ ის-მოდა უთუოდ ამიტომ გადაწერა საქართველოდან შორს მყოფმა იოანე ზოსიმე 962 წ. საბანმინდის ლავრაში ლექსი „ქებაი და დიდებაი ქართულისა ენისაი“.

ციტატები ლექსიდან

1. „დამარხულ არს ენაი ქართული...“
2. „მძინარე არს დღესამომდე...“
3. „და სახარებასა შინა ამა ენასა ლაზარე ჰქვიან“
4. „შემკული და კურთხეული სახელისა უფლისაითა მდაბალი და დარწმუნებული.... .“
5. „რამეთუ ყოველი საიდუმლოი ამა ენასა დამარხულ არს...“

დროთა კავშირი არ უნდა დაირღვეს. ურღვევობის გარანტი კი ქართული ენაა და მისი შემმეცნებელი ადამიანი.



„მძინარე არს დღესამომდე“

მძინარე სიტყვის შეღვიძება ხანდახან ისეთივე უსიამოვნოა, როგორც ტკბილ სიზმრებში შესულ ადამიანს აწუხებს უხეში ნჯღრევა.

ტკბილი სიზმარი – ცხოვრებასთან მორგებული ყოფაა. შეღვიძებული სიტყვა კი არქეტიპულ კონიუნქტურაში გადასვლა, რომელიც გაგასალაშინებს, პროკრუსტეს სარეცელზე დაგაკრავს და დამოკლეს მახვილსაც ჩამოგკიდებს თავთან.

საუკუნეების განმავლობაში ვინ აღარ არწია ტკბილად უცხო აკვანში ჩაძინებული ქართული. მოდით ფრთხილად შევაღვიძოთ სიტვები. პირველად მივადგეთ სასიხარულო სიტყვას ქორწილი.

ქართულად მოაზროვნე, ქართული სმენადობის ადამიანი ამ სიტყვაში წაიკითხავს მთელ წინადადებას: ქორმა წინილა წაილო ან ქორწინილი.

თანადროულ ყოფაში ძალიან ხშირად ქალ-ვაჟი პოსტპოზიციური შინაარსით დგანან ერთმანეთის პირისპირ. გამარჯვებული სიყვარულის დროშაზე იდეალებად, დასასწავლ სასიყვარულო ისტორიებად, სწორედ ისინი აიზიდებიან ხოლმე უმთავრესად. ამ სიტყვასთან მიმართებაში კი ისინი დგანან როგორც ქორის ფორმაში გამოწყობილი წინილა და წინილას ფორმაში გამოწყობილი ქორი, რომლებიც რაც არ უნდა აპიარო, მაინც უნიჭოს სპექტაკლად აღიქმება.

❖

ნიჭიერი სპექტაკლი კი იმალება სიტყვებში ქმარი და ცოლი. ქმარი სიტყვა ქამარიდან უნდა მომდინარეობდეს. მამაკაცის სალტოდ შემორტყმული მკლავი განა ქამარს არა ჰგავს? რომლის ზომიერი მოჭერა თუ ქალმა ვერ იგრძნო მსწრაფლვე აცნობიერებს, რომ სიყვარული ირ-ლვევა. სიტყვა ცოლი უთუოდ ცომიდან მომდინარეობს. (ფონეტიკურად ლ და მ ხშირად მონაცვლეობენ ქართულ-ში). მამაკაცი იღწვის რბილი, დამყოლი, ფაფუკი ხასიათი ჩამოუყალიბოს მეუღლეს, ამისათვის კი სხვადასხვა ხე-რხს მიმართავს.

❖

საინტერესო იქნება ცოლ-ქმართან დაკავშირებული სიტყვა ოჯახი გავიაზროთ. ო-ჯახ-ი ო-ოპ-ხვნეშა ისმინება ამ ბგერაში. ჯახ-ცოლ-ქმრის ორომტრიალის საქმი-ანობითი ხმაური.

❖

უკვე მასწავლებელი ვიყავი, როცა რაჭაში ერთ-მა შრომაში ცხოვრებაგამოვლილმა პანაზუნა ქალმა, სოფელი სიყვარულით ნატაშიკას რომ ეძახდა, სიცილ-ით მკითხა: მარინიკა შენ გეცოდინება რას ნიშნავს ქვე. მთელი საქართველო დაგვცინის ამ ქვეზე და ჩვენ ვერ მოვიმალეთ მაგისი თქმა. თუ ქალი ხარ, ეგება გამოიცნო რა ეშმაკად შეგვიყვარდა ასე ძალიან, უმაგისოდ შენი ჭირიმეს რომ ვერ ვამბობთო. უიმე ქვე რა ვიცი ნატაშა ბიცოლამეთქი ვუთხარი და მხიარული უდარდელობით დავშორდით ერთმანეთს.

გავიდა ორ ათეულ წელზე მეტი და ჩემს ცხოვრებაში

მეტად კრიტიკულ სიტუაციაში სიტყვა ქვეყანა საცნაური გახდა თავისი არსობრივი მეტყველებით – ქვედა ყანა, მზის ქვეშეთის ყანა და ნატაშიკას დამსხვილებული ხე-ლის მტევნით შემოხაზულ კითხვით წინადადებას იქვე უცაბდედად გაეცა პასუხი.

რა არის ქვე?

მზის ქვეშეთში შენი ჭირიმე

ღრმა ჩაკვრივების შემდეგ მიხვდები რატომ მიანიშნებს მხოლოდ მზის ქვეშეთს, მართლაც, დიპლომატიური რაჭული დიალექტი.

ნატაშიკასთანა ადამიანებს კითხვის დასმით სიზუსტით უთუოდ მრავალგზის გაუოცებიათ ალბათ ცნობილი კრიტიკოსი, ლიტერატურისმცოდნე გურამ ასათიანი, თორემ ამ მსჯელობამდე მხოლოდ საკუთარი აზრიანი თვითდინებით ვერ მივიდოდა: „ისეთი ვარაუდიც არსებობს, თითქოს ქართული „კვირა“ (კვირა დღე) „გაკვირვებიდან“ მომდინარეობდეს. ადამიანი ექვს დღეს მუშაობს, მინას ჩასცექრის, მეშვიდე დღეს კი ცას ახედავს და გაიკვირვებს თავის არსებობას, სამყაროს ხილვით გაოცდება და გაიხარებს...“

❖

სუფრა – სუ-ჩუმად, ე. ი ჩუმად ფრენა მართლაც, ამ შინაარს ატარებს ქართული სუფრა სადღეგრძელოს ადრესატები დადებით ღირებულებაში ფასდებიან, ამიტომაც ისინი სულიერ ამაღლებას, ფრენას განიცდიან.

❖

სულელი – სულ-ელი ე. ი ყოველთვის რაღაცას ვინც ელოდება სულელია. სინამდვილეში კი მოვლენათა რიგი-

თობას ადამიანი ვერ დაადგენს.

ცებს ლოიალობა ქალტული ენისა ადამიანისადმი.

❖
ხელმწიფე – ხელი, რომელიც მწიფე ნაყოფს იძლევა.
სახელმწიფო – ჭეშმარიტად ბრძნად მეტყველი სიტყუ-
ვაა, რომლის მიღმა გადახედვა ყველას შეუძლია.

❖
ნინაპარი – შენს წინ გაპარული.

❖
ფუფუნება – ასე უნდა წავიკითხოთ ფუ-ფუ – ნება.
ნებიერი ცხოვრება დიდად მოსაწონი რომ ყოფილიყო
ქართული ზნეობისათვის, ორჯერ ფუ-ფუს არ დაურთავ-
და ჩვენი ენა.

❖
ოცნება – ოცი ნება ე. ი ოცი სურვილი.
ზეკარი – ზეციური კარი

❖
დამერწმუნებით, რომ სიტყვამ შეგვაღებინა ყოფი-
ერების კარი სიზმარში.

ქართულის სიტყვის სემანტიკური დასასრული თავ-
ად ადამიანია და ამ ადამიანების მიერ შექმნილი სახელმ-
წიფო.

„შემეცნება წინა ცხოვრების გახსენებაა“ (მ. მამარ-
დაშვილი). რაც უფრო ინტელექტუალურად შევიმეცნებთ
წინა ცხოვრებას, მით უფრო დიდი სიზუსტით მივემოწმე-
ბით ჭეშმარიტებას“.

ლირსება – ლირებულებებით არსებობა

❖
საწყალი – ამ სიტყვაში ჩადებული აზრი უმალვე სა-
ჩინო გახდება, თუ ერთ დაკარგულ ბერასაღვადგენთ
– სად წყალი. უკიდურესად შეჭირვებული ადამიანის
ფიქრებში ჩაგვახედებს ეს სიტყვა, იგივე შინაარსის მა-
ტარებელია იდიომა „რა წყალში ჩავვარდე“

❖
არამზადა – არაა მზადა. ამ სიტყვას ვუწოდებთ ცუდ
ადამიანს. თუ ამ სიტყვის შინაარსს გავიაზრებთ, გაგვაო-

პროვინციალიზმი და მოქალაქეობა

პროვინციალიზმი და მოქალაქეობა, ერთი ყურძნის ორი მტკვანი, თანდართულ საქართველოში ძმურ მარანში ტკბილად განისვენებენ. ისინი ცნობილი ქართული გამოცანის: „ორნი არიან, ტოლნი არიან, სწორნი არიან, მოიმღერიან“, პასუხადაც გამოდგება.

პროვინციალიზმი და მოქალაქეობა, მართლაც, დღეს ტოლნი არიან, სწორნი არიან და თანაც მოიმღერიან.

პროვინციალიზმი და მოქალაქეობა ეს მეტად სადავო აბსტრაქტული ცნებები დიდი დისკუსიების საგანი ხდება საზოგადოების ყველა სოციალურ შრეში. საქმე იმაში გახლავთ, რომ ერთი და იგივე პიროვნებებში მყოფობს ორივე ფენომენი მოძრავი პარამეტრებით, იმისდა მიხედვით ობიექტური რეალობა (ხშირად სიცოცხლის გადარჩენის აუცილებლობა) რას მოითხოვს მისგან, მოქალაქეობას თუ პროვინციალიზმს.

დავიწყოთ იქიდან, რომ ადამიანის შესახებ შეხედულებებს გვიყალიბებს სამი განზომილება: მეტყველება, ქცევა, ჩაცმულობა. ეს განზომილებები სხვადასხვა სიტუაციებში სრულ წარმოდგენას გვიქმნის ინდივიდზე. ამ სამ შრეში საცნობია პროვინციალი და მოქალაქე.

მეტყველებით, ჩაცმულუბით თუ ვარცხნილობით, პროვინციალი ადვილად ემსგავსება მოქალაქეს. ემსგავსება კი არა და რიგ შემთხვევებში უფრო გაფაციცებული ყურადღებითაც კი ეპყრობა ჩაცმისა თუ საუბრის სტილს. ქალაქელებზე ბევრად ავანგარდულნი არიან მეტყველებაში, თავიანთი განათლების წარმოსაჩენად მოსწონთ უცხოური სიტყვების ხმარება და ა. შ.

ლაკმუსის ფურცელი ჭეშმარიტი პროვინციალის

ამოსაცნობად მისი საქციელია. ადამიანის საქციელი ქვეცნობიერიდან მომდინარეობს და ინტელექტუალურ კონტროლს არ ექვემდებარება (რასაც ვერ ვიტყვით მეტყველებასა და ჩაცმულობაზე. ისინი ინტელექტუალურ კონტროლს ექვემდებარებიან).

საჩინო სიბრტყე, რომელიც ვიზუალურად გაგარჩევინებთ ერთმანეთისგან პროვინციალსა და ქალაქელს, ევროპულად დაკვალული ბალია. ბალში სავალ ბილიკს თავად ირჩევს პროვინციალი და თუნდაც ფეხი დაისვაროს, აუცილებლად გზას შეიმოკლებს, რაოდენ სასაცილოც არ უნდა იყოს სმოკინგი, წვრილი ქუსლები და ძვირფასი ქურქიც კი ვერ შეზღუდავს მის სურვილს გზა შეიმოკლოს.

გადაავლეთ თვალი თბილისის ბალებს და თითქმის ყველა გაზონში აღმოაჩენთ ასეთ სოფლურ ბილიკს.

ახლა იგივე ადგილას დაუკვირდეთ ქალაქელს, არამც და არამც რაგვარ საჭიროებასაც არ უნდა წარმოადგენდეს ამ ე. წ. სოფლურ ბილიკზე გაატარო, ფეხს ვერ დააბიჯებინებ. მაშასადამე, ქალაქელი მონიშნულ ბილიკზე დადის, პროვინციალი კი სავალ ბილიკს თავად ირჩევს თამად.

ამჟარაა, რომ პროვინციალიზმი არაა დაბადების ადგილი, მშობლების განათლება, სოციალური წრე, წარმოშობა, რასაც ამ თემაზე დისკუსიის მონაწილენი იშველიებენ ხოლმე. ქალაქელი მხოლოდ მაშინ გახდება მოქალაქე თუ გაზონზე არა მარტო თვითონ არ გაივლის, არამედ სხვასაც არ გაატარებს. ე. ი. შეიძლება ქალაქელი იყო, მაგრამ მოქალაქე არა.

საქციელის ეს თარგი ქმედითად მუშაობს, თუ პროექტიას შევუცვლით და საქმიანობაში გადავიტანთ.

თუ გაზონზე მოსიარულენი ფეხს ისვრიან ისე, რომ

ქალაქელმა შეიძლება დასცინოს, საქმიანობაში ე. წ. „ახ-ალი ბილიკის“ შემოქმედნი ხდებიან. ამ უნარით ისინი თავს იწონებენ კიდევაც და ავტორიტეტები ხდებიან. მაგრამ, აღსანიშნავია, რომ მათ აქ უკვე ჭირდებათ ამტკიცონ თავისი უპირატესობები: პატიოსნება, ნიჭიერება და ა. შ. ამიტომაცაა, მათ ირგვლივ ჩნდება მოვლენების მხოლოდ შავთეთრად შემფასებელი საზოგადოება. საზოგადოება, რომელმაც კარგად უწყის შემდეგი: რეალობის ჭადრაკის დაფაზე მხოლოდ შავ-თეთრი ფიგურები მოძრაობენ. ყოველივე ეს ადამიანებს აიძულებს თავისი აზრები პოლუსებში განზიდულ მსჯელობებში მოაქციონ. შავ-თეთრ სათვალით მაყურებელნი თავისთავად ექცევიან ერთმანეთთან სინთეტიკური ურთიერთობების ბადეში. ეს ქსოვილი წელვადია, ბევრს იტევს და თანაც ბრჭყვიალა სირმებსაც შეიცავს. თავისთავად ასეთი ბადე, რაც უფრო მეტად ჰგავს ბუნებრივს, მით უფრო ცივილურია, მისაღები და კომფორტული. უარყოფითი მხარე მხოლოდ იმაში მდგომარეობს, რომ საკმარისია კონტექსტი შეიცვალოს, რომ იგი უმალვე ლპება.

ნათქვამია, „საცა მიხვალ იქაური ქუდი დაიხურეო“. თბილისში კი ეს ანდაზა პირუეუ მუშაობს ყველა სიბრტყეში. ამიტომაცაა მოქალაქეობა და პროვინციალიზმი ძნელი საცნობი თუ გასარჩევი.

პროვინციალები და მოქალაქეები ერთი და იგივე მატერიის სხვასხვა ფორმები არიან, რომელთაც კარგად გაეგებათ ერთმანეთის და ურთიერთობის პარმონია ყველასთვის საჩინო დისპარმონიად იშვიათად გადაიქცევა ხოლმე. ამიტომაც ისინი სწორედაც რომ ორნი არიან, ტოლნი არიან სწორნი არიან და თანაც მოიმდერიან.

მარინე კიკნაველიძე. 2005 წელი. მაისი.

ოჯახი, სახლი

ხუთმა ქალმა გამზარდა: ბებიამ, დედამ და სამმა დედამ. ზღვა სიყვარული მაჩუქეს და ისეთი, რომ ამ ზღვაში ვცხოვრობდი ყოველგვარი განცვიფრების გარეშე მანამდე, სანამ ისინი ცოცხლები იყვნენ და მას შემდეგ, რაც მიღმა ქვეყანაში გადასახლდნენ.

დროთა მდინარებამ ერთხელ სიკვდილ-სიცოცხლის ზღვარზე დამაყენა, ქალაქური ცხოვრების გრგვინვა-გრიალს გამომგლიჯა და დასევდიანებული მომაქცია სახლში. დღის იმ მონაკვეთში, როცა სახლში მარტო ვრჩებოდი, ყველა ნივთი, რომელიც დედაჩემის, დეიდების ნაწილები თუ ხელშენავლები იყო განსაკუთრებულ სითბოს, თანაგრძნობას ასხივებდა... დედის საკერავ მანქანას რომ შევხედავდი, უკან დაბრუნებული კინოკადრივით გადაირბენდა ჩემს გონიერაში მისი ხელის მოძრაობა, მაქოზე ძაფს რომ გადაახვევდა და თავის ადგილას ჩაუდგამდა. სიმშვიდეს აფრქვევდა როდინის ქვა, ჩოინა.

გერმანული მასტიკის ედელვაქსის სურნელი ჩვენი სახლების სასიამოვნო ჰაერი იყო. როცა ამ სურნელს შევიგრძნობ, ისინი უხილავად ჩემთან არიან. მარადუამს მახსოვს დედაჩემის ხმიანად, ბრძანებლური კილოთი, თითის ქნევით ნათქვამი: „რომელ სახლშიც მასტიკა არ მუშაობს, იქ სპეციფიკური სუნი დგება და გადადის ტანსაცმელზე, ფარდებზე. კარს რომ ვაღებ, პირველ ნაბიჯს კრიტიკული ყნოსვით ვადგამ სახლში და ბედნიერი ვარ, თუ მასტიკის სურნელი ოდნავ მაინც ესალბუნება ჩემს ცხვირს.“

საოჯახო საქმიანობაში შემომეხმიანებიან ხოლმე ჩემი დედამთილის-სონია დაუშვილის (კოტე დაუშვილის თანატოლი, მასთან ერთად გაზრდილი) სიტყვები:

„ნიორმა თქვა: ვინც უმარილოდ დამნაყოს, ჩემსავით გამწარდეს“-ო. ოხრახუშის, ქიძის გარჩევისას ბოლქვებს რომ ვჭრი და ვყრი სიჩქარის გამო, თენგიზი (დეიდაჩემის ქმარი) შემომძახებს „მთავარს ყრი, ბალაბურდოს იტოვებ, ბოლქვში მეტი ვიტამინებია“.

სახლის დროებით გარინდულ სივრცეს ჰამლეტ გონაშვილის ხმახავერდი არღვევს. ნელ-ნელა ტრისტანის – ჩემი მაზლის ოჯახში გატარებული პირველი იანვრების გუგუნად გადაიქცა. ყოველ ახალ წელს ისხდნენ თავის საქმესთან და ცოლებთან პირსწორი კაცები: ანზორ (თორლვა) ავსაჯანიშვილი, გოგი გამელალდიშვილი, ზაურ დადივაძე, ბორია ქევხიშვილი, მათი უმცროსი ძმა-ჩემი გიორგი და მარტო ხმაში კი არა, ბეჭებზე, წარბებში, მკლავებში, მუხლებში ატარებდნენ ქართველობის სიხარულს, სატკივარს, შემართებას. ფურცლიდან ფურცელზე გადაწერილი სიტყვებივით ჰგვანან ერთმანეთს ჰამლეტ გონაშვილის და ტრისტანის სახისწყობა, მიმური გამომეტყველება. სხეულში განსახებული ვაჟკაცური ლომგულოვნება და სახეზე ჩაქსოვილი სინაზე ერთდროულად შეგაგრძნებინებდა ფორტეს და პიანოს...

ზაფხულში სალათს რომ ვაკეთებ, უმალ ბებო მახსენდება. ის მომცრო, ლამაზ თეფში პატარა ნაკუნებად მიჭრიდა პომიდორს, კბეჩა რომ არ დამჭირვებოდა, თვითონ ყველა საქმეს თავს დაანებებდა, სამად მოკეცილი მოერგებოდა ერთ უპატარავეს სკამს, ნიკაპი მუხლებთან რომ ჰქონდა მიახლოვებული ისე და სათვალეებიდან ლიმილიანი თვალით მიმზერდა მანამ, სანამ ბოლო ნაჭერს არ მივირთმევდი.

თებერვლიდან მოკიდებული, კანარკუნურების გამოჩენიდან ივნისის ჩათვლით, გაზაფხულს აკისკისებდა შერ-

ჩეულ ლარნაკებში ეთო დეიდა. დაწვრილებული ხმით, ხმამაღლა მოეფერებოდა ხოლმე ყვავილებს „გენაცვალოთ, გენაცვალოთ ეთომ“. და ეხლა თუ სადმე ყვავილი იპრანჭება ჩემს სახლში, ეთერი ცოცხალი მგონია...

აი ასე, დაუმთავრებლად შემიძლია მოვყვე ჩემი ოჯახის უმშვენიერეს ამბებზე, უკვე სპექტაკლებად რომ აღვიქვამ ასაკში შესული. ამ ფიქრებთან მრავალგზის მიცხოვრია წინა წლებშიც, მაგრამ სევდიანმა დღეებმა გამომატანინა დასკვნა: ოჯახში ცხოვრება, საქმიანობა, საკრალური კავშირია სხვადასხვა მატერიალურ თუ სულიერ პლასტებთან. მართალია, საქმიანობა ხორციელდება აწმყოში, მაგრამ იმავდროულად უწყვეტი კავშირი გვაქვს წარსულთან, რისი საშუალებითას სწვდები მომავალს.

საკმარისი არაა მხოლოდ ოჯახი შევქმნათ, უფრო მთავარია: ვიცოცხლოთ, ვისაქმიანოთ, ვიმღეროთ, ვიტიროთ, ვიცეკვოთ, ჩვენი ხელის სითბო, მზრუნველობა სიყვარული მისწვდეს ყველა კუნძულს. გადახდილი ფულით, ან მოვალეობის განცდით დალაგებული სახლი აწმყოდან აწმყოში გადადის და იქვე იფერფლება. ოჯახის სიყვარულით დატვირთული ქმედება: სადილის გამზადება იქნება, კერვა თუ ქინძის დანაყვა, წარსულიდან მომავალს სწვდება, რომელიც სევდასთან ერთად სიხარულსაც გგვრის.

დედა უგემრიელეს ბაჟეს აკეთებდა, არასოდეს მისწავლია როგორ ამზადებდა, მე მხოლოდ გემო მახსოვდა და შევძელი ისეთივე თინაობა.

პიროვნება უნდა დაიბადოს სინამდვილეში, ზნეობრივ აქტებში. ოჯახური საქმიანობა ჭეშმარიტი სინამდვილეა, ზნეობრივი აქტია, ამიტომ დროთა კავშირი უწ-

ყველ წრებრუნვაშია. იქ, სადაც ეს სინამდვილე ნაყიდია, შეკვეთილი, მოსამსახურის შესრულებული, იქ ყოველი საგანი მკვდარია, მომავალი თაობის წინაშე ვერ წარდგება თავისი სითბოთი და სახისმეტყველებით.

საკუთარი ფანტაზიით განხატული სახლი უფრო საინტერესოა, ვიდრე მოდის ტენდენციებით შექმნილი, დიზაინერთა ნამუშევარი, რომელშიაც შენ კი ვერ ავლენ ხასიათს, მის დანაწევრებულ სივრცეში ჩამჯდარი, იქნებ პროკრუსტეს სარეცელზეც მოხვდე.

ჩემს ირგვლივ მუდამ წუნუნებენ ქალები: ჩემი ცხოვრება შევაღიერება მომავალი სისუფთავეს, საჭმლის კეთებას, ლეიბების და საბნების, ბალიშების მოვლას და ა. შ., მაგრამ მაინც ასე აგრძელებენ ცხოვრებას.

აგორაზე უნდა გამოიტანო აზრი და აგორაო (მ. მარდაშვილი) ეს არის გზა ჭეშმარიტების შესაცნობად. სწორედ ამიტომ მომინდა თეორეტიზაცია მომეხდინა ქართული ოჯახური ფენომენისა.

ქართული ოჯახის ქსოვილში განფენილი იდუმალება სამ სანთელივით ჩამოქნილ სიტყვაში დგას ძეგლად. ეს სიტყვებია: წარსული, აწმყო, მომავალი.

წარსული – წარმავალი სული

აწმყო-აწ-ახლა მყო-მყოფობა ე. ი. ახლა ყოფა

მომავალი-მომა-პრეფიქსი, ვალი-გადასახდელი ვალი.

აწმყო-ახლა ყოფა საქმიანობის ორი ნაწილისაგან შედგება. ერთი, რომელიც აწმყოდან აწმყოში გადადის, ნაცარივით განიბნევა და მეორე, რომელიც მბადია ახლისა-აწმყოდან მომავალში გადადის. „ჩვენ უნდა ჩვენი ვშვათ მყობადი“, – ბრძანებდა ილია. აშკარაა, სიტყვა აწმყოში ჩადებული აზრი თხელ, გაბნეულ, უმიზნო

ქმედებად ჩათვალა და ამიტომაც შექმნა ახალი სიტყვა – მყობადი, რომელშიც აწმყოსათვის საჭირო სიბრძნე მაწონივით შეადედა.

ვინ, ან რა არის მყობადი?

ყოფიერების მბადი არის ის სიცილი, ის ტირილი, ის ცეკვა, ის საქმიანობა, ის შენება, ის ნგრევა, ის სითბო და გნებავთ ის სიძულვილი, რომელიც ადამიანს ვალს დააკისრებს წარმავალი სულის წინაშე. ნათელია, შინაარსში დრო-სივრცეთა ასეთმა კავშირმა მრავალუამიერი გახადა ქართული ენა.

ჩემი ოჯახის ხშირი სტუმარი ვახტანგ გუგეშაშვილი შალვა ჯაფარიძისგან (დიდი თეატრალის გიგა ჯაფარიძის ძმა, ცნობილი ლოტბარი, ქართველობას გუდასტვირითაც რომ დაამახსოვრა თავი) ნასწავლ „ასლანურ მრავალუამიერს“ განსაკუთრებული რიხით, მშვილდივით მოზიდული დაჭიმულობით, ფეხზე დამდგარი მღეროდა, გაკვანძული ღრმა სურვილი რომ ეხატა ცხვირსა და ტუჩებზე ქართველური ღირსებით შემოეძახა წოდებითში – „მრავალუამიერი, მრავალუამიერო“. სუფრაზე მსხდომთ გვეღიმებოდა, როცა ყველანი დამსხდარნი აგუგუნებდნენ ვახტანგი მარჯვენით ხელშემართული, ფეხზე მდგარი, ხერხემალგაჭიმული მღეროდა.

ეხლა, როცა ვახტანგი მიღმა ქვეყანაშია, ნამდვილობით შევიმეცნებ: სმა იმიტიმ სიამოვნებდა, რომ ამ წუთებში თავს ჟამიერი მთელის ნაწილად აღიქვამდა. გრიგოლ რობაქიძის წინადადება: „აი ფსიხიური განცდა ქართველისა“, – დიაგნოზად შემიძლია მივუსადაგო.

საოცარია, სცენაზე ატანილი სიმღერა თუ ცეკვა, ჩემთვის ნამდვილობის მხოლოდ ფოტოგრაფირებაა. ამ ფოტოგრაფირებით, გატაცებულია საქართველო, ნამდ-

ვილობა კი ძნელი სანახავი და მოსასმენი გახდა.

ერთი ოცდახუთი წლის წინ ნათქვამი მახსენდება; ეზოში შემოვედით მე და ჩემი მეუღლე (170 ოჯახი ცხოვრობს) გაბრაზებული მეზობელი გვეუბნება: „აგერ პირველ სადარბაზოში მიცვალებულია და შეხედეთ მე-4 სადარბაზოში რა დღეში არიან, როგორ მღერიან, სირცხვილი აღარ აქვთო“. მაშინ ძალიან შევწუხდი, ვერ ვიგებდი მართლა რა ამღერებდათ. ეხლა მესმის ასე თუ ისე მოგვარებულ ოჯახებში იმ „დიდ მთელთან, „უამიერთან“, შეერთების სურვილი ძლიერი წადილი იყო.

ახლა გადიან დღეები, კვირები, თვეები, წლები, მე თავად აღარ მომისმენია ეს ნამდვილობა, უცაბედად ბედნიერების ფუნჯს რომ გადაატარებდა მეზობლების „ლოვიებს“ და მოფარფატე ფარდებს. სიმღერამ, ცეკვამ ფოტოგრაფიაში გადაინაცვლა ლამაზ რესტორნებში, სა-დაც ვახტანგისნაირი სოლო კონცერტი რომც ჩაატაროს ვინმე, მანქანის „პარპრესზე“ ჩამოგორებული წვიმის წვეთებივით წაშლის გვერდზე მაგიდის ღრიანცელი ან მიკროფონში შესრულებული შეკვეთილი სიმღერა. სურათებზე აღბეჭდილი კადრები უკონტექსტოდ შეიძლება „ფეისბუქზე“ მოხვდეს, (ძალიან უყვართ რესტორნებში გადარებული სურათები) ან ზოგ შემთხვევაში პატარა ალბომში.

მხოლოდ ეხლა ვხვდები, ჩემო ვახტანგ, გამაგრებულ მუცელზე ხელს ძალით რომ მაბრახუნებინებდი და გულიანად, უშიშრად შესცინოდი სიკვდილს „შეხედე რავა მაქვს მუცელი გაბრიგინებულიო“, ჩემი მოქმუხნული სახე გსიამოვნებდა და თანაც ჩემთან უფრო კარგად გრძნობდი კაცობის გამოცდა ჩაბარებული რომ გქონდა ოჯახში საქართველოსთან: ორი ლამაზი, აბრეშუმივით ქართუ-

ლად დამყოლი, ზრდილი გოგოების მამას. ეხლა უკვე მიღმა ქვეყანაში შემიძლია გამოგდახო: ამას, ვახტანგი, ვეღარ ახერხებენ მიღიონების პატრონები, ურავლესობას მხოლოდ თმები და კაბები უფრიალებთ აბრეშუმივით, ხასიათი კი ვერა.

ჩემი ოჯახის ჭუჭრუტანიდან ასე იმზირება საქართველო... და მაინც ვის ან რას მიმართავდა ქართელი, როცა ასლანურ „მრავალუამიერს“ მღეროდა.

„მრავალუამიერო, მრავალუამიერო...“ ამ სიტყვაში ჩადებული დახასიათება, ხოტბა მიემართება ენას. მრავალუამიერი ღირებულებით სახიერობს ქართული ენა, რომელიც მობილური ტელეფონის შესაძლებლობებით საუკუნეების სილრმეებს გაგარღვევინებს, მკითხველის ხელში ჯადოსნურ ჭოგრიტად გადააქცევს და სურვილისამებრ გასწორებულ ფოკუსში პოლიტიკურ, ეკონომიკურ, კულტურულ, სოციოლოგიურ, ფილოსოფიურ, ენათმეცნიერულ შრეებში ჩაგახედებს.

რამ გახადა ჩვენი ენა უამიერი?

სახლი, ოჯახი ქართულ სივრცეში ის ადგილია, სადაც ღმერთმა აზრსა და ქმედებას ენის საშუალებით ერთურთი აპოვნინა და დაუძახა შემო ქმედება... აი ასე იქცა ჩვენი სახლები და ოჯახები შემოქმედად, მომვლელად, სიცოცხლის მიმნიჭებლად სიტყვისა – სუფრაზე, პლასტიკისა – ცეკვაში, მელოდიისა სიმღერაში და ა. შ. წარმავობის ნისლს ყოველწუთიერად რომ ებრძვის როდინის ქვაში ხან წყლის, ხან ნივრის ნაყვით, ხან კერვით, ხან ცეკვით, ხან სიმღერით, ხან მტვრის საწმენდი ჩვრით.

ქართული ოჯახი შემოქმედების შინ დაბუდებული არსის ნამდვილობის ბიოლოგიური ველია, სადაც ქალისთვის დიასახლისი დაურქმევია. დიალაც სახლისი, მარ-

თლაც სახლისი, რადგან მხოლოდ მას აბარებდნენ იარაღს ოჯახში სტუმრობისას ჩოხიანი ქართველები.

საოცარია, თვისება უამიერობისა როგორ შეიძინა ჩვენმა ენამ, როცა ვერც ერთმა ენამ დედამიწის ზურგზე ეს ვერ შეძლო. ამ თემაზე მსჯელობას დიდი ინტერესით მოუსმენდა ქართველობა ფსიქოლოგებს, ფილოსოფოსებს, ენათმეცნიერებს.

ჩემეული მიხვედრილობით კი ასე მჯერა: ქართულ სახლსა და ოჯახში ედგა სიმართლის ყველაზე დიდი ტახტრევანი ოდითგან, რომელსაც სიტყვაში ჩადებულ აზრში ამონმებდა უამიერ. სიმართლე და სიტყვა ერთ აზრს ატარებდა. ამასთანავე, ერთი რამ ცხადზე ცხადია: ოჯახში მსჯელობის დასკვნა ქართულ სიტყვაში ჩადებული აზრის თარგზე თუ მოიჭრა, ალგებრის კრებულში შეტანილი ამოცანის პასუხივით შეამონებ ნამდვილობას.

ქართულ სიტყვებში ქართული ცხოვრების ამბავი ისმინება, თუ ნელ-ნელა დახანებით, ფიქრიანად წარმოთქვამ. წარსული, აწმყო/მყოობადი, მომავალი-ეს სიტყვები ქართულ სახლისა და ოჯახის ფილოსოფიურ ლერძს შეგამეცნებინებს. ის ოჯახი, სახლი, რომლის ცხოვრება ამ სიტყვებში ჩადებული აზრით ვერ შინაარსდება ინგრევა, მას მომავალი არა აქვს. ესაა მიზეზი აბელ არავიძის ოჯახში დატრიალებული უბედურებისა. (თენგიზ აბულაძის ფილმი „მონანიება“).

„აბელ, ვარლამი“, – კივის შეშფოთებული ცოლი. რა ვქნათ, მიცვალებული არ დავმარხოთ? რა გზას უნდა დაადგეს ოჯახი, ვარლამს-წარმავალ სულს, თავისი პატივი რომ მიაგონ. ისინი ბევრს ფიქრობენ, ცდილობენ, ბოლოს მაინც სამართლის იმედი აქვთ. სამართალი კი ისეთივე ძნელი დასაყენებელია, როგორც ერთნაირი ფერ-

ები კუბიკ-რუბიკის გვერდებზე. ადვილი მისახვედრია რატომ ფიგურირებს ასე თვალისმომჭრელად ეს რეკვიზიტი სასამათლო დარბაზში. სამართლის აღდგენის თეორიული გზა არსებობს, რეალური კი არა, მიცვალებულს მაინც ამოთხრით ემუქრებიან.

აბელი არავიძეა, არავის ძე. აბელი იღწვის როგორც ძე მიცვალებულის ფიზიკური და მორალური ხელშეუხებლობისათვის, მაგრამ შეუძლებელია. გაწვალებული მიცვალებული იხვენება: „დააბნელეთ, დააბნელეთ“. ვინაა დამნაშავე? ვარლამი, რომელმაც უზრუნველი მატერიალური ბედნიერება დაუტოვა თავისი „ღვანლ-მოსილებით“, თუ ის ხალხი, ვინც ამბოხის გარეშე ისმინა: „ის იყო პირველი პირველთა შორის“.

სამართალი თუ არ არსებობს ქეთი ბარათელი ყველა ეპოქაში დაიბადება. ეს არის ქალი, რომელმაც სიმართლე ოჯახურ ტახტრევანზე დასვა. ამ სიმართლემ კი აბელი არავის ძეობამდე მიიყვანა. აბელი თავად აგდებს ხრამში მიცვალებულს.

დიდი გემოვნებით, მდიდრულად მორთულ, მხიარულ, უამრავი მეგობრებით დახუნძლულ ოჯახში ვეღარ თანაცხოვრობს წარსული და აწმყო, ამიტომაც აწმყო ამ ოჯახში მყოობადი-ყოფიერების მბადი ვეღარ ხდება, დანარჩენი ყველა ქმედება კი ნაცარივით განიბნევა.

სახლი-მატერიალური განზომილებაა

ოჯახი-მორალური, თანაც სამ დროში-წარსულში, აწმყოში, სავარაუდოდ მომავალში.

სამივე რგოლის: წარსულის, აწმყოს და მომავლის უამიერობა მხოლოდ სიმართლეს შეუძლია, რომელიც როგორც თვითონ სიტყვა გვიყვება: სი-მართლ-ე, მართალ-ი მართ კუთხეში ცხოვრობს, სახლის მართ კუთხე-

ში. სწორედ ოჯახი თავად მიჰყვება გზად თავის სიმართლეს-სიტყვას მოაცილებს შენამდე, ჩემამდე, გზაში რომ არაფერი შეემთხვეს და ამ სიტყვაში, ამ სიმართლეში გამოგზარდოს. ამიტომაცაა, რომ ქართულ სინამდვილეში დროის ეს სამი განზომილება შეთანხმებულ მართულ ან მირთულ დამოკიდებულებაშია ერთმანეთთან.

ასე მოაცილა ქართულმა ენამ სიმღერ-სიმღერით მშვილდივით მოზიდულ ქართულ ტანებში სიტყვა „მრავალუამიერი“ ქორნილებში, დაბადების დღეებზე, ახალ წლებზე 21-ე საუკუნემდე.

მაშასადამე, სახლისა და ოჯახის საძირკველი ყოფილა სიტყვა, რომელმაც სიმართლე მოაქცია ვარაყიან ჩარჩოში და მოზაიკური სიმართლე შექმნა. მრავალუამიერი-ეს სიტყვა ყველა ენაზე ორი სიტყვით ითარგმნება. ქართულად კი ერთსიტყვიანი ბრჭყვიალებით, მაურული ულერადობით, მონოლითურობით, დარბაისლურობით გვხიბლავს. ქართული ენისადმი მიმართული ეს სახოტბო სიტყვა ოშკივით, სვეტიცხოველივით მომხიბვლელია და ასეთივე სიძლიერის მორალური ძეგლია ქართველობისათვის, რომელსაც დრო ვერ დაანგრევს, თუ მგრძნობიარე ქართულ გულებში ივლის. დღესავით ნათელია, ქართული სახლისა და ოჯახის საძირკველზე სახლობს ნამდვილობა ქალობისა, კაცობისა, ნამდვილობა სიმღერისა, ცეკვისა, საქმისა, რომელსაც სახისმეტყველებით ცნობდა და ამოწმებდა ქართული ოჯახი.

მარინე კიკნაველიძე 2013 წ.

როგორ უდეა დავიცყოთ საკუთარი თავის შემაცნება?

ადამიანი სრულყოფილების სავალ ბილიკზე რომ დადგეს, უპირველესად საკუთარი თავი უნდა შეიმეცნოს და როგორც დავით გურამიშვილი ამბობდა – „ზეთი განუპარველი დააგროვო.“ საკუთარი თავის შეცნობა მხოლოდ ცალკეული მოაზროვნების სურვილი როდი იყო საუკუნეების განმავლობაში, ეს საფიქრალი ანუხებდა სხვადასხვა რელიგიურ, ფილოსოფიურ თუ ბიოლოგიურ მოძღვრებებსაც. „შეიცან თავი შენი“ – აი დევიზი ძველი საბერძნეთის რელიგიურ-ფილოსოფიური კერებისა. მათ მიაჩნდათ, რომ ადამიანი, თუ საკუთარ თავს შეიცნობდა, ეს სამყაროს შეცნობაც იყო.

და მაინც, საიდან უნდა დაიწყოს ადამიანმა საკუთარი თავის შემეცნება?... კარგი იქნება, თუ უპირველესად მისივე იდენტურობის დამადასტურებელი სახელი და გვარი გახდება დაკვირვების წერტილი. აქედან სახელი ამ საქმეში ვერ დაგვეხმარება, იგი პიროვნებას მხოლოდ ერთ ჭრილში გვაცნობს, იგი ქალია თუ მამაკაცი.

სააზროვნო სივრცეში გასატანი პირველი მეტყველი შრე თავის შესამეცნებლად გახლავთ ადამიანის გვარი. იგი პიროვნებას გადაეცემა წინაპრებისგან და გარკვეულ ინფორმაციასაც შეიცავს ზოგიერთ შემთხვევაში: მჭედლიშვილი, დურგლიშვილი, კვაჭანტირაძე, ოთარაშვილი... აღსანიშნავია ისიც, რომ გვარი შედგენილობით კომპოზიციურია უმრავლეს შემთხვევაში, ამასთანავე, კოხტადირგებს გრამატიკულ სამოსელს პრეფიქს-სუფიქსებისას, განსხვავებით სახელისაგან. მას მხოლოდ ერთადერთი გრამატიკული კაბა აცვია, რომელსაც საჭიროებისამებრ

იცვლის სახელობითიდან წოდებითის ჩათვლით.

ქართულმა ენამ გვარებთან მიმართებით ის მოახერხა, რომ **აზრსა და სიტყვას ერთმანეთი აპოვნინა**. გვარებში წარმოჩინდა ქართველთა ეგოცენტრული ხასიათის ნაირგვარობა. ყოველივე ეს ზედაპირზე რომ ამოტივტივდეს, საჭიროა, გავიაზროთ ქართული ენის საგანგებოდ გამოქნილი მიდგომა გვარებთან მიმართებით. თუ პუნქტობრივად ჩამოვაყალიბებთ ამ თვისობრიობებს იგი ასეთ სახეს მიიღებს:

1. ინფორმაცია, რომელიც თვით სიტყვაში დევს ზედაპირზე: მჭედლიშვილი, გედევანიშვილი, დურგლიშვილი, მეზურნიშვილი...

2. კომპოზიტი გვარები ორი სიტყვისგან შედგება ფუძეს + ძე ან შვილი. მაგ. : სააკაძე, ჯავახიშვილი, სიმონია, შენგალია. ფუძეს + მეშველიზმნის ნაშთი **ა**, რომელიც შეიხორცა სიტყვამ. (მეშველზმნის ნაშთი ვერ შეიხორცა გვარებმა, რომელთა ფუძე მთავრდება ა-ზე: ჯლარკავა, ცაავა, ღაჭავა, ზოდელავა).

3. პრეფიქს-სუფიქსებით შექმნილი გვარები: თუხარელი, მენაბდე, იშხნელი, ჩარკვიანი, წიკლაური.

* * *

კარგი იქნება იმაზეც დავთიქრდეთ, რაში დასჭირდა ქართულ ენას ასეთი გამოქნილი მიდგომა გვარებთან მიმართებით. გონივრული ეჭვი მიგვახვედრებს, რომ ქართველთა მკვეთრად გამოხატულ სახასიათო ნიშნებს ჭირი სჭირდა დაპირისპირებულობისა და ამიტომაც დაიბადა ენობრივი საჭიროება დაეხასიათებინა გენერაციული მიდრეკილებები ეგოცენტრული მგრძნობელობებისა.

ა) ქართულმა ენამ ძე და შვილი უწოდა, განსაკუთრებულად მოეფერა იმ ადამიანებს, რომელთაც დააყენებს რა ცხოვრებისეული რეალობა არჩევანისა და გადაწყვეტილების გზაჯვარედინზე, ყოველთვის იმაზე ფიქრობენ: როგორ შეაფასებს ჩემს საქციელს დედა, მამა, ბებია, ბაბუა, ამხანაგი, მეზობელი... ქართველთა ეს ნაწილი არქეტიპულია და ტრადიციულია, ამიტომაც ფიზიკური თუ მორალური სამოსის გახდა უძნელდება.

ბ) გვარებში, სადაც მეშველზმნის ნაშთი შეხორცებულია სიტყვასთან: დანელია – დანელი არის, კაკაჩია – კაკაჩი არის. წარმატებით გამოწვეული სიხარულის განცდა იკითხება ამ გვარებში. ენამ ხაზი გაუსვა მათ დაუოკებელ სწრაფვას, რაც არ უნდა ძნელი იყოს, ყველა შემთხვევაში დაემყნონ ანმყოს. თავის მიზანს, იყვნენ პირველები საქმიანობაში, ზოგ შემთხვევაში საჯაროდაც აცხადებენ. ასეთი ეგოცენტრული ხაზის ადამიანებს თანადროული ყოფა გამოუჩენს თუ არა ცხოვრების ახალ, ჯერეთ უვალ ბილიკს, ისინი დიდი გაბედულებით, ნიჭიერებით დაგამენ პირველ ნაბიჯებს. და აი ასე, ელვის სისწრაფით იბადებიან ახალ-ახალი წარმატებული, ცნობილი სახეები.

გ) თუხარ-ელ-ი, კორინთ-ელ-ი, იშხნ-ელი – ელ სუ-

ფიქსი მიუთითებს სადაურობას. ე. ი. ამ გვარის ადამიანებისათვის ყველაზე მნიშვნელოვანია ის მორალურზნეობრივი კოდექსი, რომელიც იმ მხარისთვისა დამახასიათებელი, სადაც დაიბადნენ.

დ) გელბახიანი, გოლეთიანი, ჩარკვიანი – იან სუფიქსი მიუთითებს რაღაცის მატარებლობას (ქუდიანი, ჯოხიანი). ამ ადამიანთა ზნეობრივი კანონები ეპოქის კორექტივებს ვერ ექვემდებარება, რადგან ის თავის არსში ატარებს მხოლოდ თავის კანონებს. ერთი ასეთი კანონია სისხლის აღების წესი, რომელმაც არაერთი საზოგადოებრივი ფორმაცია გამოიარა და დღესაც კბილებს აღრჭიალებს.

აი, ასე დაიტანებიან ზოგად შტრიხებში ქართული ხასიათები ჩვენი ერის მორალურ გეოგრაფიულ რუკაზე გრამატიკული საშუალებებით. აქვე შევნიშნავ, ნურავინ ეცდება ეს მსჯელობები კონკრეტულ ინდივიდებს მიუსადაგონ, ჭეშმარიტება კალმახივით გაგისხლტებათ ხელიდან, რადგან ყოველი ადამიანი გენეტიკურად კონგლომერატში ატარებს ხასიათის სხვადასხვა თვისებას.

მეტად ღრმა აზრობრივი დინებების შემცველია მერაბ მამარდაშვილის შეხედულება ერზე:

„ერი არის თვითქმედითი, თვითშემქმნელი არსი, რომელიც ყოველ წუთს იძადება ჩვენი ძალისხმევით. ეს ნიშნავს, რომ ამ ძალისხმევის შიგნით იძადება რაიმე არსი, რომელიც არის გარკვეული რიცხვის ერთობა ისტორიული ბედისწერის წინაშე.“

რადგან ერი „თვითქმედითი, თვითშემქმნელი არსია“, რომელიც ყოველ წუთს იძადება ჩვენი ძალისხმევით, ცხადია, ქართველი ერის სახასიათო სურათოვნების შემეცნებას და გააზრებას, დამერწმუნებით, დიდი მნ-ა აქვს. თუ რა მიზანს ემსახურება ეს ცოდნა დავით გურამიშ-

ვილზე ზუსტად ვერავინ ახსნის:

„ყმაწევილი უნდა სწავლობდეს საცნობლად თავისტდათა: ენი არის, სიღამ მთსულა, სად არის, წავა საღათ? გინცა ქმნა თიხა ჭურჭელად, რას უძღვნის ხელფასადათ? ვით ჰემა ხნატცეს არ ჩავარდეს ულაგმთ და უსადათ.“

ამ სტროფში ერთადერთი სიტყვა გულწასული ადამიანსავით მკვდარს რომ ჰემა, მაგრამ მაჯა მაინც სიცოცხლისა ესინჯება, არის სიტყვა ხნარცვი. ხნარცვი ტყეში სავალ გზაზე მოწყობილი უხილავი ორმოა, რომელიც დაფარულია გახირგული ტოტებით, ეკლებით, ხავსით თუ ბალახ-ბულახით. საკმარისია, ეს სიტყვა მოასულიერო, რომ აზრიც სრულყოფილებით აწვარუნდება. დავით გურამიშვილის აზრით, შემოქმედი, რომელმაც ადამიანის სხეული შექმნა სულის ჭურჭლად, თავისი მისის შემსრულებელ ადამიანს წყალობას მიაგებს: ლაგამისა და სადავის უქონელი ცხენის ჯოგივით არ ჩაცვივდნენ ორმოში.

მაშასადამე, ხასიათის ამოკითხვის ხელოვნება ლაგამად და სადავედ უნდა იხმაროს თავისი ვინაობის შემმეცნებელმა ადამიანმა.

აუცილებლად გასათვალისწინებელია დავით გურამიშვილის დიდაქტიკა, რომელიც მიმართულია ჭეშმარიტების შემმეცნებელი ადამიანისადმი:

„უნდა ქალმან და ყმაწევილმან დაპულტის ბაგე კბილთსა, ფეხი არ ახსნას საბლითა და ენა შებთრეილთსა, არ მასცეს წება შეძეტისა წარტას, წამწამს, თვალის კილთსა, არცავით თვით სხვა გაეკილთს, არც სხვისგან გაიკილთსა.“

თვალის კილო – სულხან-საბა ასე განმარტავს – „თვალის კილო წარზიდული“. ე. ი. გაიგებ რა ყოველივეს ირიბად თვალის წარზიდული კილოთიც კი (ცერად) არ უნდა შეხედო არავის.

დ. გურამიშვილი შინაგანი ფსიქოლოგიური განწყობის, სახის მიმური გამომეტყველების ნიუანსების გადმოცემით მიგვახვედრებს, რომ ქართულ ხასიათთა მკვეთრად გამოხატული კონტრასტული წარგვარობა ხშირად გამხდარა დაპირისპირების საფუძველი. ამ დაპირისპირებულობას დაბმული ფეხსაცმელი აუხსნია, მწარე სიტყვა აუხმიანებია, ბრაზით შეძრული წარბი, წამნამი, თვალის კილო, ალმაცერად აუმეტყველებია, თავადაც გაუკილავს და თვითონაც გამხდარა დაცინვის საგანი. დავით გურამიშვილი მოწინააღმდეგებს შუაში უდგება და დიდაქტიკოსის მშვიდი ხელდასმით სურს საბოლოოდ წაშალოს სურვილი ერთმანეთის გაკილვა-დაცინვისა.

დღესავით ნათელია, რომ ქართველების გადარჩენის საიდუმლო ეგოცენტრული ხასიათების წარგვარობის დამსახურებაა, რადგან ისინი უნისონში თანაარსებობენ და თანაარსებობენ ათასეული წლები. აშკარაა, მკვეთრად გამოხატული მხოლოდ ერთი სახასიათო ნიმუში აიაქ-სივით დაამთავრებინებდა ჩვენს ერს სიცოცხლეს.

ქართული ხასიათის მკვეთრად განსხვავებული წარგვარობა ისტორიის გადასარჩენ ლიანდაგზე სხვადასხვა მგრძნობელობის ადამიანებს აერთიანებდა და **შეძლები-სდაგვარად**, რა ნიჭიერებაც ჰქონდათ საჭირო დროის შესაფერისი, ისე ბრუნავდნენ. უზენაესისაგან **წაბო-ძები ძლიერი ბობი** – ინტუიცია და შთაგონება, კვებავდა ქართული ხასიათის წარგვარობებს, რომლებსაც წნავდა საქართველოს ასეთივე წარგვარი ფიზიკური განსხვავებ-

ულობა მთისა და ბარისა, უდაბნოსა თუ ზღვისპირა კლიმატისა. ასეთი პირობა სხვადასხვა ცოდნის და წარმოსახვის ბადეში ამყოფებდა „ისტორიული ბედისწერის წინაშე“ გაერთიანებულ არსა. ისტორია კი გვიდასტურებს, რომ ამ არსა ინტუიცია ნაკლებად დალატობდა, თუმცა აღმა ხნულს დაღმა ფარცხავდნენ, თუმცა ხშირად კახაბერს იმას არქემევდნენ, ვინც არ იყო კახაბერი.

დავით გურამიშვილს, რომელიც „ცეცხლის კევრის“ ტრიალმა მთელი სიცოცხლით მოისროლა საქართველო-დან, მას მაინც არ უვლია ქვეყანაზე ეკლიანი სიტყვის შერქობის სურვილ-სიამოვნებით, მისი პწკარედებიდან მხოლოდ სინანული იღვრება. სიმართლე, სინანულით ნათქვამი, მხოლოდ ესაა დაპირისპირებულობის შენელების, განქლევის და გაქრობის მაღამო.

მაშასადამე, ქართულმა ენამ გვარებში დაგვიხასიათა სხვადასხვა გეოგრაფიულ გორაზე დაბადებული და შექმნილი ძვლის სიმკვრივის ხასიათები იმიტომ, რომ დაპირისპირებულობის დროს – **ჭირში საჭიროდ** გამოგვეყნებინა ეს ცოდნა, ეკალი კი იქ არ ჩაგვერჭო, სადაც იარა იყო, არამედ დავით გურამიშვილის მსგავსად სიმართლე მხოლო სინანულთან დაგვეწყვილებინა.

ქართულ სიტყვაში ჩადებული საზრისი და კლასიკური შემოქმედებითი ქმნილება ინტელექტუალური შემეცნების სისწორით გვაყენებს ცოდნის საფეხურზე, მაგრამ არანაკლებ აუცილებლობას წარმოადგენს გავიაზროთ თავისი მიწიერი ცხოვრების – სკნელის სივრცეში როგორი ნიშა – შეღრმავებული ადგილი უკავია მწერლის სხეულს. აი, აქედან იწყება საკუთარი თავის შემეცნების გზა და მის კვალობაზე საკუთარი თავის აგების აქტი. წიგნის და ცხოვრების სწორმკითხველთა არმია მხოლოდ

ამ გზით დაიბადება. არმია, რომელიც წიგნში ცხოვრებას წაიკითხავს და ცხოვრებაში – წიგნს. ამ არმიების სამშობიარო ადგილი საჯარო სკოლაა. სკოლა, რომელმაც ჯარა ექიმის ცოდნა-სიყოჩაღით უნდა ამშობიაროს აზროვნებაში კარგად გაწვრთნილი თავი – თაობა, მთავრობად რომ გამოადგება საეროდ მოსაქმე მხედრობას.

სიწრფელით წრფეზე, ჯარის წესრიგით მდგომი ადამიანთა ერთობლიობა სისწორით შემოხაზავს წრეს სახელმწიფოებრიობისას და მწიფე ნაყოფსაც მიუძლვის ხალხის სახელით, თუ კულტუროლოგიური შეუცდომლობა მუდმივად განახლებადი, რეცეფციის კონტექსტში იქნება მოქცეული. სწორედ ამიტომ საკუთარი თავის შემეცნების გზა სხვადასხვა გზაჯვარედინზე გადის, მთავარი კი ისაა ამ გზებზე ჯვარი სიყვარულის შინაარსით ვატაროთ თავის ვერტიკალურ (ლმერთის) და ჰორიზონტალურ (მოყვასის) წრფეებში. ყოველივე ეს რომ შევძლოთ, ჩვენს თავში უნდა აღმოვაჩინოთ, „ვისი გორისა ვართ“.

პოლოსიტყვაობა

ბატონი შალვა ნუცუბიძე უნივერსიტეტში კითხულობს „ვტ-ის“ ცნობილ სტროფს: „ესე ამბავი სპარსული, ქართულად ნათარგანები“... ნათარგმანები არ უნდა გავიგოთ დღევანდელი მნიშვნელობით. ადრე არაერთ სიტყვას სხვა შინაარსი ჰქონდა. მაგალითად, მინისტრი – მსახურს ნიშნავდა, პატრონს ცხენს დაუჭერდა და ზედ შესვამდა. ახლანდელი მინისტრები კი, თუ უნდათ ცხენიდან ჩამოგსვამენ და ვირზე შეგსვამენ. ნიკო კეცხოველმა თვალები დაუბრიალა. „მე ბატონო, ბურუუაზიულ მინისტრებზე მოგახსენებ“, – მიუგო დიდმა შალვა ნუცუბიძემ.

ღრმა პატივისცემით, თავმდაბლობით და კრძალვით გთხოვთ, ბატონო მინისტრებო, აცხოვრეთ თქვენი თანამდებობა რეალობაში სიტყვის ძველი მნიშვნელობითი შინაარსით, დაგვიჭირეთ ცხენი, რომ ნიჭიერი მხედრობისათვის უკვე საზრისში მომწიფებული ქართული სიტყვა შევსვათ მასზე. ქართული სიტყვა, რომელსაც „მილენიუმებით უტარებია შინაგანი შეგრძნება – სამშობლოზე მაღლა ჭეშმარიტება დაეყენებინა.

ჭეშმარიტებაა ქართული სიტყვა, რომელსაც შეუძლია სიტყვა, რომელსაც შეუძლია სიტყვა აცხოვროს მდიდარი საგნობრივი მნიშვნელობით. ჭეშმარიტებაა ქართული სიტყვა, რომელსაც შეუძლია იცხოვროს ერის ქვეცნობიერში, როგორც ენის განსახების ესთეტიკურმა ფენომენმა. ჭეშმარიტებაა ქართული სიტყვა, რომელსაც ხელენიფება თხუთმეტსაუკუნოვანი მთლიანობით იცხოვროს, როგორც თანადროულმა მოწმე ცნობიერებამ.

სარჩევი

| | |
|---|-----|
| რეცენზია | 3 |
| წინასიტყვაობა | 4 |
| დავით კლდიაშვილი | 7 |
| „პირამიდებში“ | 24 |
| პაოლო იაშვილის ლექსი „პირამიდებში“ | 25 |
| ლექსის შინაარსი | 26 |
| გრძნობა-განცდა | 27 |
| მუსიკალურობა | 28 |
| სიტყვა ელვარე | 28 |
| ლეო ქიაჩელის მოთხრობა | 31 |
| შიშის გასანადგურებლად აშვებული | |
| ცეცხლოვანი ფრანი | 31 |
| წინასიტყვაობა | 32 |
| ლეო ქიაჩელი „ჰაკი აძბა“ | 35 |
| შიში მიკროსამყაროში | 43 |
| შიში — სპირალისებურად დატრიალებული | |
| ცეცხლის ალი ქალაქში | 47 |
| გრძნობების ორი მდინარე მოთხრობაში | 54 |
| სათაური — მოთხრობის კარიბჭე | 59 |
| სიტყვას შეფარებული მწერალი | 64 |
| პერსონაჟთა გალერეა | 65 |
| შმიდტის გუშაგები | 69 |
| რაა საგულისხმო ამ პერსონაჟში | 74 |
| როდის ხდება საცნაური სიტყვის იდუმალი მეტყველება ... | 78 |
| პროვინციალიზმი და მოქალაქეობა | 86 |
| ოჯახი, სახლი | 89 |
| როგორ უნდა დავიწყოთ საკუთარი თავის შემეცნება? | 99 |
| ბოლოსიტყვაობა | 107 |

შეცდომების გასწორება

- გვ. 21 – „დვინით“ – უნდა იყოს „დვინით“
გვ. 41 – „პერცეფიცირებს“ – უნდა იყოს „პერცეფცირებს“
გვ. 85 – „სიზმარში“ – უნდა იყოს „საზრისში“
გვ. 96 – „სიმართლის“ – უნდა იყოს „სიმართლეს“